მტირალას ეროვნულ პარკში ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

პროექტის დოკუმენტი № 04



აჭარის დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის მომსახურების მიწოდება.

პროგრამა: აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა
კონტრაქტი: #064/09/2015

Contents

1. მოკლე მიმოხილვა 6

2. შესავალი 12

2.1. არსებული ინფორმაცია 12

2.2. გეგმის მიზანი და ამოცანები 13

2.3. ზოგადი მიდგომა 14

2.4. მეთოდოლოგია 16

3. მტირალას ეროვნული პარკი და დამხმარე ზონა 18

3.1. ზოგადი ინფორმაცია 18

3.2. სოციალურ-ეკონომიკური ჩარჩო 21

4. ტერიტორიის შეფასება 26

4.1. მტირალას ეროვნული პარკის მენეჯმენტი და ადმინისტრაცია 26

4.1.1. მენეჯმენტის სისტემა 26

4.1.2. მართვის არსებული გეგმა 27

4.1.3. ზონირება 29

4.2. მტირალას ეროვნული პარკის და დამხმარე ზონის ღირსშესანიშნაობების და სერვისების შეფასება. 33

4.2.1. ტერიტორიის აღწერა და ძირითადი მახასიათებლები 33

4.2.2. არსებული ინფრასტრუქტურის და სერვისების შეფასება 39

4.2.3. რეკრეციული აქტივობები ღია ცის ქვეშ 47

4.2.4. გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო პროგრამების/მოხალისეობის პროგრამების აღწერა და შეფასება. 49

4.3. დამხმარე ზონის აღწერა. 50

4.3.1. მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონის კულტურული რესურსები. 50

4.3.2. დამხმარე ზონის ბიზნესის ანალიზი: განთავსება, რესტორნები, მაღაზიები. 56

4.4. ტურიზმზე მოთხოვნის ანალიზი 61

4.4.1. არსებული მოთხოვნა ტურიზმზე 61

4.4.2. ეკონომიკური სარგებელი ადგილობრივი თემებისთვის 63

4.4.3. მომხარებლის ქცევის განმსაზღვრელი მარკეტინგული ტენდენციები და გავლენები. .64

4.4.4. პოტენციური ტურისტული ბაზრები 65

4.5. მარკეტინგი და რეკლამირება 68

4.6. ძირითადი შეზღუდვების და შესაძლებლობების ანალიზი. 71

4.6.1. მტირალას ეროვნულ პარკში ტურიზმის განვითარების შეზღუდვები 71

4.6.2. მტირალას ეროვნული პარკის ძირითადი შესაძლებლობები და კონკურენტული უპირატესობები....73
5. SWOT და TOWS ანალიზი....76
5.1. SWOT და TOWS ანალიზი....76
6. პოტენციური ტურისტული სერვისები და ობიექტები - ბიზნესშესაძლებლობები. 82
6.1. პოტენციური ტურისტული პროდუქტების და სერვისების აღწერა, რომლებიც უნდა შემუშავდეს. 83
7. სტრატეგიული გეგმა....86
7.1. ხედვა, მისია და მიზნები....86
7.2. სტრატეგია....87
8. სამოქმედო გეგმა....89
9. აქტივობების შეჯამება....159
10. დანართები....170
10.1 დანართი 1: ვიზიტორის კითხვარი....170
10.2. დანართი 2: რუკები....170
10.3 დანართი 3: შემოთავაზება ბილიკის შემუშავებაზე....170
10.4. დანართი 4: თემატური ტურების და საოჯახო საგანმანათლებლო აქტივობის მომზადების მაგალითები....175
10.5. დანართი 5: შეხვედრის ოქმი - სტრატეგიის საბოლოო შეთანხმები სემინარი....178
11. ბიბლიოგრაფია....179

ცხრილები

ცხრილი 1: მტირალას დაცული ტერიტორიის დამხმარე ზონის დემოგრაფიული მონაცემები. წყარო: შავი ზღვის ეკო აკადემია 22
ცხრილი 2: მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონის დასახლებების დემოგრაფიული მონაცემები. წყარო: შავი ზღვის ეკო აკადემია.....23
ცხრილი 3: მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონის მოსახლეობის განაწილება ასაკის და სქესის მიხედვით. წყარო: შავი ზღვის ეკო აკადემია.....23
ცხრილი 4: დაცული ტერიტორიის თითოეულ კატეგორიასა და ფუნქციურ ზონაში ნებადართული აქტივობები. წყარო: მტირალას ეროვნული პარკის მართვის გეგმა (დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2015). 33
ცხრილი 5: ხის და ბუჩქის სახეობები მტირალას ეროვნულ პარკში, რომლებიც შეტანილია საქართველოს წითელ წიგნში. წყარო: მტირალას ეროვნული პარკის მართვის გეგმა.....37
ცხრილი 6: ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (ICUN) წითელ ნუსხაში (კატეგორიები CR, EN და VU) და საქართველოს წითელ ნუსხაში (კატეგორიები CR და EN) შეტანილი ფაუნის სახეობები, რომლებიც გვხვდება ეროვნული პარკის ტერიტორიაზე. წყარო" მტირალას ეროვნული პარკის მართვის გეგმა.....38
ცხრილი 7: მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციული შენობა ჩაქვში. წყარო: მტირალას ეროვნული პარკი. 41
ცხრილი 8: ვიზიტორთა რაოდენობა მტირალას ეროვნულ პარკში. წყარო: მტირალას ეროვნული პარკი. 61
ცხრილი 9: ტურიზმის საერთაშორისო ბაზრობების ჩამონათვალი. წყარო: HIDRIA.....69

გრაფიკები

ნახატი 1: მტირალას ეროვნული პარკის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის სახელმძღვანელო პრინციპები. 17
ნახატი 2: მტირალას ეროვნული პარკში ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესი. წყარო: HIDRIA 18
ნახატი 3: მტირალას ეროვნული პარკის მდებარეობის რუკა. 19
ნახატი 4: მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონის რუკა. წყარო: HIDRIA. 22
ნახატი 5: მტირალას ეროვნული პარკის ორგანიზაციული სტრუქტურა. წყარო: მტირალას ეროვნული პარკი 27
ნახატი 6: მტირალას ეროვნული პარკის პირველადი ზონირების რუკა. 31
ნახატი 7: მტირალას ეროვნული პარკის მთავარი გეოგრაფიული მახასიათებლები. წყარო: მტირალას ეროვნული პარკი. 36
ნახატი 8: ფლორის სახეობები მტირალას ეროვნულ პარკში. წყარო: საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზა. 38
ნახატი 9: ზოგიერთი სახეობა მტირალას ეროვნულ პარკში. წყარო: საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზა. 40

ნახატი 10: ტაქსები ჩაქვში (ზემოთ მარცხენა ფოტო); ახალი საგზაო ნიშნები მტირალას ეროვნული პარკის გზაზე, გზის მდგომარეობა (ქვემოთ მარჯვენა ფოტო). წყარო: HIDRIA. 41
ნახატი 11: ვიზიტორთა ობიექტები მტირალას ეროვნულ პარკში. წყარო: HIDRIA. 42
ნახატი 12: ვიზიტორთა ცენტრი ჩაქვისთავში. წყარო: HIDRIA.....43
ნახატი 13: წაბლნარის ბილიკის მთავარი ღირსშესანიშნაობები. წყარო: HIDRIA. 45
ნახატი 14: ცივწყაროს ბილიკის მთავარი ღირსშესანიშნაობები. წყარო: მტირალას ეროვნული პარკი. 46
ნახატი 15: რეინჯერის სახლი და ფრინველებზე სათვალთვალო კოშკი მტირალას ეროვნულ პარკში. წყარო: HIDRIA. 47
ნახატი 16: მტირალას ეროვნული პარკის მიერ მოწყობილი ეკოსაგანმანათლებლო აქტივობები. წყარო: მტირალას ეროვნული პარკი. 51
ნახატი 17: მთავარი ბუნებრივი და კულტურული რესურსების მდებარეობა მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში. წყარო: HIDRIA. 52
ნახატი 18: მასპინძლობის ბიზნესი მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში. წყარო: HIDRIA.....57
ნახატი 19: თაფლის სახლი ჩაქვში. წყარო: HIDRIA. 62
ნახატი 20: უცხოელი ვიზიტორები მათი წარმომავლობის მიხედვით, 2015 წელი. წყარო: მტირალას ეროვნული პარკი. 63
ნახატი 21: ეკონომიკური შემოსავალი ტურისტული აქტივობებიდან 2014-2015 წლებში (ლარი). წყარო: მტირალას ეროვნული პარკი. 64
ნახატი 22: ბროშურა აჭარის დაცული ტერიტორიების შესახებ. წყარო: აჭარის რეგიონის ოფიციალური ვებგვერდი. 72
ნახატი 23: დაცული ტერიტორიების ბუკლეტების ნიმუშები. წყარო: HIDRIA.....142

1. მოკლე მიმოხილვა

მტირალას ეროვნული პარკი, მაჭახელის ეროვნულ პარკსა და კინტრიშის დაცულ ტერიტორიასთან ერთად, წარმოადგენს კონსერვაციის პრიორიტეტულ ტერიტორიას მთის ტიპის კოლხური ეკოსისტემების შესანარჩუნებლად. „აჭარის დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა“ ფარგლებში შემუშავდა, მიზნად ისახავს პრაგმატული სტრატეგიის და გეგმის შემოთავაზებას, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმიდან შემოსავლების მდგრად ზრდას ისე, რომ ამან უარყოფითად არ იმოქმედოს აჭარის დაცული ტერიტორიების კონსერვაციის ამოცანებზე.

„მტირალას ეროვნული პარკის 2016-2020 წლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის“ მიზანია სახელმძღვანელო პრინციპების განსაზღვრა ამ პარკსა და მის დამხმარე ზონაში მდგრადი ტურიზმის ეფექტიანი განვითარებისთვის. ამ მიზნის მისაღწევად, სამოქმედო გეგმა ხუთი კონკრეტული ამოცანის ირგვლივ შემუშავდა:

1. ეროვნული პარკის ცნობადობის გაზრდა ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.
2. ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა მათი მოლოდინების შესაბამისი ხარისხიანი აქტივობების შეთავაზების მეშვეობით.
3. ტურიზმიდან მიღებული ეკონომიკური შემოსავლების ზრდა შემოსავლების ამოღების მექანიზმების მდგრადი სისტემის დანერგვის გზით.
4. მტირალას ეროვნული პარკის მახლობლად მცხოვრები თემების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების და დასაქმების შექმნის გზით.
5. მტირალას ეროვნული პარკის ბუნებრივი და კულტურული რესურსების შენარჩუნება და გაძლიერება.

ამ ამოცანების განხორციელების გზების განსასაზღვრად ჩატარდა ფართომასშტაბიანი კვლევა და საკონსულტაციო პროცესი. ამ პროცესის შედეგად მიღებული ინფორმაცია წარედგინა დაინტერესებულ მხარეებს საბოლოო შეთანხმებისთვის, ხოლო მათგან მიღებული შენიშვნები და კომენტარები გათვალისწინებული იქნა სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის საბოლოო დოკუმენტში.

მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციული და ადამიანური რესურსების, ტურისტული ღირსშესანიშნაობების, სერვისების და ღირებულებების პირველადი შეფასებით გამოვლინდა ის უმნიშვნელოვანესი შეზღუდვები და შესაძლებლობები, რომლებიც სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში უნდა გაგვეთვალისწინებინა:

შეზღუდვები	შესაძლებლობები
• დაინტერესებული მხარეების სუსტი მონაწილეობა დაცული ტერიტორიის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. • კონცესიების შემუშავებისთვის მკაფიო პოლიტიკის ან ჩარჩოს არარსებობა. • რესურსების და მასალების ნაკლებობა ტურისტული გამოცდილების გასაუმჯობესებლად. • ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების საჭიროება. • ხანმოკლე ტურისტული სეზონი.	• მდიდარი ლანდშაფტი და ეკოლოგიური მრავალფეროვნება, მათ შორის ფრინველებზე თვალთვალის ზონები. • სათავგადასავლო და სპორტული აქტივობები. • ადგილობრივი თემების დინამიზმი და სტუმართმოყვარეობა. • ტერიტორიული სიახლოვე კინტრიშის დაცულ ტერიტორიასა და მაჭახელის ეროვნულ პარკთან. • ტერიტორიული სიახლოვე ბათუმსა და ქობულეთთან. • რეგიონში მომუშავე სხვადასხვა ტუროპერატორი.

წინასწარი შეფასების ბოლოს ჩატარდა დეტალური SWOT (ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები) და TOWS (საფრთხეები და შესაძლებლობები, ძლიერი და სუსტი მხარეები) ანალიზები, რათა დაგვედგინა მტირალას პარკში ტურიზმის განვითარების ძლიერი და სუსტი მხარეები და განგვესაზღვრა ნაბიჯები, რომლებიც საჭიროა, რომ დაიძლიოს სირთულეები, შემცირდეს რისკები და მეტად გაძლიერდეს პარკის ძლიერი მხარეები მისი მთავარი მახასიათებლების გამოყენების მეშვეობით. ეს მახასიათებლები შეიძლება შემდეგ კატეგორიებად გამსხვილდეს:


- **ადგილობრივი კულტურა**
- **სათავგადასავლო ტურიზმი (მრავალფეროვანი აქტივობები)**
- **ფრინველებზე თავლთვალი ანუ ბერდვოჩინგი**

ზემოჩამოთვლილი მტირალას ეროვნულ პარკში ტურისტული პროდუქტების განვითარების **ძირითად ელემენტებს** წარმოადგენს. მთავარი ტურისტული პროდუქტები, რომლებიც კარგი პოტენციალის მქონედ განისაზღვრა, არის:

ა) ***ტურისტული ბილიკები,*** რომლებიც დაცულ ტერიტორიაზე არსებულ ღირსშესანიშნაობებს აკავშირებს, სოფლად მცხოვრებ თემებს ერთმანეთთან კომუნიკაციის, ხოლო ტურისტებს ბუნებით და კულტურული ღირებულებებით სიამოვნების მიღების შესაძლებლობას აძლევს. განისაზღვრა ორი ახალი ბილიკი, რომლებსაც დიდი ტურისტული პოტენციალი აქვთ: ყოროლისთავის ბილიკი (სიგრძე 9 კმ) ორი შესაძლო ლატერნატიული მარშრუტით, რომელთა დამატებით შესწავლაა საჭირო ამ ბილიკის სათანადოდ შესამუშავებლად; აგარის ბილიკი, რომელიც მშვენიერ სოფელ აგარას პარკთან აკავშირებს და ასევე, სხვადასხვა გზით უკავშირდება არსებულ მარშრუტებს. ასევე, შესწავლილი იქნა მარშრუტი, რომელიც სამ დაცულ ტერიტორიას ერთმანეთთან აკავშირებს.

ბ) ***ბიზნესშესაძლებლობები*** იმ სერვისების საფუძველზე, რომლებიც ადგილობრივმა მოსახლეობამ და მცირე კომპანიებმა შეიძლება უზრუნველყონ დაცული ტერიტორიის ვიზიტორების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; მაგალითად, განთავსების, კვების, საინფორმაციო სერვისები, ადგილობრივი პროდუქტების გაყიდვა, გამყოლიანი ტურები, ტრანსპორტირება და სხვა.

მტირალას ეროვნული პარკის და შემოთავაზებული პროდუქტების წინასწარი შეფასების შედეგების და პარკისთვის შემუშავებული ხედვის საფუძველზე **ტურიზმის განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში** შემდეგი 6 **მიზანი** განისაზღვრა:



ზემოთ განსაზღვრული მიზნების მისაღწევად სულ ხუთი **სტრატეგიული მიმართულება** განისაზღვრა, რომლებიც მთელ რიგ აქტივობებს მოიცავს. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოკლედ არის აღწერილი „მტირალას ეროვნული პარკის 2016-2020 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“, რომელიც შემოთავაზებულია ამ სტრატეგიის განსახორციელებლად და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად.

სტრატეგიული მიმართულება 1: მართვა და მმართველობა	
ამოცანა 1.1. 2017 წლისთვის მრჩეველთა რეგიონული საბჭო წარმოადგენს აჭარის დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარების კოორდინირების მექანიზმს.	
ქმედება	**აღწერა**
1.1.1	რეგიონულ დონეზე მრავალაქტორიანი პლატფორმის - მრჩეველთა რეგიონული საბჭოს - ჩამოყალიბების მხარდაჭერა და მასში აქტიური მონაწილეობა.

1.1.2	პოტენციურ პარტნიორებთან თანამშრომლობის ალიანსების შექმნა.
ამოცანა 1.2. თანამონაწილეობითი მექანიზმი მმართველობის გასაძლიერებლად შექმნილია დაცული ტერიტორიის დონეზე 2017 წლისთვის	
ქმედება	**აღწერა**
1.2.1	მტირალას ეროვნული პარკის მრჩეველთა საბჭოს შექმნა.
ამოცანა 1.3. 2020 წლისთვის, მტირალას ეროვნულ პარკში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი იზრდება 50%-ით.	
ქმედება	**აღწერა**
1.3.1	შესასვლელი ბილეთის შემოღება მტირალას ეროვნული პარკის კონსერვაციის და მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად.
1.3.2	არსებული ინფრასტრუქტურის ადეკვატური მართვის უზრუნველყოფა.
ამოცანა. 1.4. 2019 წლის ბოლოსთვის მონიტორინგის და შეფასების სისტემა განსაზღვრული და დანერგილია, რათა გამოავლინოსვიზიტორების ზემოქმედება ბუნების ღირებულებებსა და ადგილობრივ თემებზე.	
ქმედება	**აღწერა**
1.4.1	კვლევის მომზადება მტირალას ეროვნულ პარკში ვიზიტორთა გამტარუნარიანობის მართვაზე.
1.4.2	ვიზიტორთა ზეგავლენის მონიტორინგის სისტემის შემუშავება და დანერგვა.
1.4.3	კვლევის შემუშავება ტურიზმისადმი ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულების შესასწავლად.
1.4.4	ვიზიტორთა კმაყოფილების კვლევის შემუშავება და ჩატარება.

სტრატეგიული მიმართულება 2: შესაძლებლობების გაძლიერება	
ამოცანა 2.1. დაცული ტერიტორიის პერსონალის შესაძლებლობების და უნარების გაძლიერება მდგრადი ტურიზმის, გარემოს დაცვის და ბიზნეს დაგეგმვის საკითხებში.	
ქმედება	**აღწერა**
2.1.1	დაცული ტერიტორიის პერსონალისთვის ტრენინგის პროგრამის შემუშავება და განხორციელება.
2.1.2	სასწავლო ტურების ორგანიზება რეინჯერებისთვის/დაცული ტერიტორიის პერსონალისთვის.
ამოცანა 2.2. ადგილობრივი თემების ცოდნის გაღრმავება დაცული ტერიტორიის გარემოსდაცვითი ღირებულებების და ტურიზმთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.	
ქმედება	**აღწერა**
2.2.1	ადგილობრივი თემებისთვის ტრენინგის პროგრამის შემუშავება და განხორციელება.
2.2.2	სასწავლო ტურების ორგანიზება ადგილობრივი თემების წევრებისთვის.
2.2.3	ადგილობრივი ფერემრების/მწარმოებლებისთვის ტრენინგის პროგრამის შემუშავება და განხორციელება ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და პროდუქტის შეფუთვაზე.

სტრატეგიული მიმართულება 3: ადგილობრივი თემების განვითარება	
ამოცანა 3.1. 2019 წლისთვის მტირალას პარკთან ასოცირებული ტურისტული სერვისების პროვაიდერები აკმაყოფილებენ დაცული ტერიტორიების სააგენტოს/ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტის სტანდარტებს.	
ქმედება	**აღწერა**
3.1.1	განთავსების და კვების სერვისების ადგილობრივი პროვაიდერების მომსახურების ხარისხის შეფასება.
ამოცანა 3.2. 2020 წლისთვის შექმნილია და ფუნქციონირებს მინიმუმ 5 ახალი ადგილობრივი ბიზნესი.	
ქმედება	**აღწერა**
3.2.1	ახალი პოტენციური ბიზნესის შეფასება და მხარდაჭერა დამხმარე ზონის თემებში.
ამოცანა 3.3. 2020 წლისთვის პარკის ადმინისტრაციამ გამოიკვლია, გააძლიერა და პოპულარიზაცია გაუწია კულტურულ და ტრადიციულ აქტივებს.	
ქმედება	**აღწერა**
3.3.1	შეფასების ჩატარება მტირალას ეროვნულ პარკსა და მის დამხმარე ზონაში მთავარი კულტურული აქტივების იდენტიფიცირებისთვის.

სტრატეგიული მიმართულება 4: ინფრასტრუქტურის განვითარება	
ამოცანა 4.1. 2017 წლისთვის, მტირალას ეროვნულ პარკთან მისვლა ადვილად და კომფორტულად შეიძლება.	
ქმედება	**აღწერა**
4.1.1	ხელშეკრულების გაფორმება საგზაო დეპარტამენტთან მტირალას ეროვნულ პარკთან მისასვლელი გზის გაუმჯობესებაზე.
4.1.2	პარკის უბნებთან მისასვლელის გაუმჯობესება და მანქანების სადგომისთვის შესაფერისი ადგილის უზრუნველყოფა.
ამოცანა 4.2. 2018 წლისთვის 50%-ით იზრდება მოთხოვნა ტურისტულ პროდუქტებზე.	
ქმედება	**აღწერა**
4.2.1	არსებული საჭიროებების განსაზღვრა ისეთი აქტივობების ეფექტიანი განხორციელებისთვის, როგორებიცაა საცხენოსნო ლაშქრობა და კანოეინგი.
ამოცანა 4.3. 2018 წლისთვის შემუშავებულია ახალი და მდგრადი ტურისტული ინფრასტრუქტურა და პროდუქტები, რაც ვიზიტორებს შესაძლებლობას აძლევს შეისწავლონ და აღმოაჩინონ მტირალას ეროვნული პარკის ახალი უბნები.	
ქმედება	**აღწერა**
4.3.1	ყოროლისთავში ახალი ბილიკის მოწყობა და განვითარება.
4.3.2	ახალი პროდუქტების შემუშავება და განხორციელება ნიშური სეგმენტებისთვის.
ამოცანა 4.4. 2019 წლისთვის სრულად ფუნქციონირებს ახალი ბილიკი, რომელიც ვიზიტორებს შესაძლებლობას აძლევს, მოინახულონ აჭარის 3 დაცული ტერიტორია.	

ქმედება	აღწერა
4.4.1	ბილიკის შექმნა, რომელიც მტირალას ეროვნულ პარკს კინტრიშის დაცულ ტერიტორიასა და მაჭახელას ეროვნულ პარკთან აკავშირებს.
ამოცანა 4.5. 2020 წლისთვის ადგილობრივებისა და ვიზიტორებისთვის ფუნქციონირებს კომპლექსური გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო პროგრამა.	
4.5.1	ადგილობრივებისა და ვიზიტორებისთვის გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო და განმარტებითი პროგრამის შემუშავება და განხორციელება.
4.5.2	მოხალისეთა პროგრამის შემუშავება უნივერსიტეტებსა და რეგიონულ საგანმანათლებლო ცენტრებთან კოორდინირებით.

სტრატეგიული მიმართულება 5: მარკეტინგი და რეკლამირება	
ამოცანა 5.1. 2020 წლისთვის მტირალას ეროვნული პარკი ცნობილი იქნება ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.	
ქმედება	**აღწერა**
5.1.1	მარკეტინგის წლიური საოპერაციო გეგმის შემუშავება.
5.1.2	მონაწილეობა აჭარის დაცული ტერიტორიების საწევრო ბარათის შექმნაში.
5.1.3	ღონისძიებათა კალენდრის შედგენა ეროვნული პარკის ცნობადობის გასაზრდელად.
5.1.4	ახალი სარეკლამო მასალების შემუშავება და დამზადება, რომლებშიც ასახულია ახალი პროდუქტები, მარშრუტები.
5.1.5	გაცნობითი ტურების ორგანიზება სასტუმროებისთვის.
ამოცანა 5.2. მტირალას ეროვნული პარკის შესახებ ინფორმაციის მიღება ადვილია ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით.	
ქმედება	**აღწერა**
5.2.1	გამოსაყენებლად მოსახერხებელი და საძიებო სისტემებისთვის ოპტიმიზებული ტურისტული ვებგვერდის შექმნა მტირალას ეროვნული პარკისთვის.
5.2.2	მულტიმედიურად ჩამოტვირთვადი ბილიკების შექმნა და აჭარის დაცული ტერიტორიების შესახებ დეტალური ინფორმაციის შეტანა გოუბათუმი აპლიკაციაში.
5.2.3	სოციალური მედიის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება სხვადასხვა არხის გამოყენების გზით.

2. შესავალი

2.1. არსებული ინფორმაცია

საქართველოს დაცულ ტერიტორიებს მთავარი როლი აკისრია ბიომრავალფეროვნების კონსერვაციაში; ასევე, ისინი საუკეთესო რეკრეაციულ შესაძლებლობაა ვიზიტორებისთვის, ისიამოვნონ საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებით. ეკოტურიზმის და სხვა სახის ტურიზმის პოპულარიზაცია საქართველოს დაცული ტერიტორიების ფინანსური მდგრადობის გაძლიერების ერთ-ერთ ინსტრუმენტად განიხილება და შესაბამისად, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს.

ბოლო წლებში, ტურისტების მოზიდვის მიზნით, დაცული ტერიტორიების სააგენტომ და გარემოს დაცვის სამინისტრომ, საერთაშორისო დონორებთან კოორდინირებით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს დაცულ ტერიტორიებსა და მათ შემოგარენში ტურისტული ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარებისთვის. თუმცა, ტურიზმის მართვა დაცული ტერიტორიების ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა და ტურიზმის გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია მისი გონივრული დაგეგმვა.

გაეროს განვითარების პროგრამის პროექტი „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა“ მიზნად ისახავს საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტიანობის, მათი ბიო-გეგრაფიული დაფარვის და შეკავშირების გაუმჯობესებას, რათა უკეთ მოხდეს გლობალურად უნიკალური კოლხური ტყის კონსერვაცია.

2015 წელს შემუშავებული „აჭარის დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარების სტრატეგიით“ განისაზღვრა „დაცულ ტერიტორიებზე ტურისტული აქტივობების სისტემატური, კონტროლირებადი და ერთობლივი განვითარების“ სახელმძღვანელო პრინციპები, რომელთა მიზანიც ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თემებისთვის სარგებლის მოტანაა.

„აჭარის დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა“ ფარგლებში მომზადდა, მიზნად ისახავს, უზრუნველყოს პრაგმატული სტრატეგია და გეგმა ტურიზმიდან შემოსავლების მდგრადი ზრდისთვის ისე, რომ ამან უარყოფითად არ იმოქმედოს აჭარის რეგიონში დაცული ტერიტორიების კონსერვაციის ამოცანებზე.

„აჭარის დაცული ტერიტორიების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“, რომელიც ცოტა ხნის წინ შემუშავდა, განსაზღვრავს ტურიზმის მდგრადი განვითარების მთავარი მიზნების მიღწევის ზოგად სტრატეგიას და წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტს, რომლის ფარგლებშიც მომზადდა „მტირალას პარკში ტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“.

მტირალას ეროვნული პარკი, მაჭახელის ეროვნულ პარკსა და კინტრიშის დაცულ ტერიტორიასთან ერთად, კონსერვაციის პრიორიტეტულ ტერიტორიას წარმოადგენს მთის ტიპის კოლხური ეკოსისტემების შესანარჩუნებლად. თუმცა, თითოეულ დაცულ ტერიტორიას თავისი დამახასიათებელი თვისებები აქვს, რომლებსაც გაძლიერება და პოპულარიზება სჭირდება.

2006 წლის 25 მაისს საქართველოს კანონით (კანონი №3147 მტირალას ეროვნული პარკის შესახებ) მტირალას ეროვნულ პარკად დაარსების შემდეგ პარკში ტურიზმის მნიშვნელობა იზრდება. საერთაშორისო დონორების დახმარებით, ამ ტერიტორიაზე უკვე არსებობს ინფრასტრუქტურა და სერვისების ფართო სპექტრი; შესაბამისად, ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს არსებული ტენდენციის გაძლიერების და მდგრადობის უზრუნველყოფისკენ.

2.2. გეგმის მიზანი და ამოცანები.

„მტირალას ეროვნულ პარკში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის“ **საერთო მიზანი** ამ დაცულ ტერიტორიასა და მის დამხმარე ზონაში ტურიზმის მდგრადი განვითარების სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებაა.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის **ზოგადი ამოცანაა**:

- არსებული რეკრეაციული და საგანმანათლებლო აქტივობების გაფართოება და პარკის ბუნებრივი და კულტურული ღირებულებების საფუძველზე ისეთი ახალი აქტივობების შემუშავება, რომლებიც შეესაბამება პარკის კონსერვაციის ამოცანებს, უზრუნველყოფს დამატებით ეკონომიკურ შესაძლებლობებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ზრდის ეროვნული პარკის დაფასების გააზრების დონეს.

სტრატეგიის **სპეციფიკური ამოცანებია**:

- ეროვნული პარკის ცნობადობის გაზრდა ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

» ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა მათი მოლოდინების შესაბამისი ხარისხიანი აქტივობების შეთავაზების მეშვეობით.

» ტურიზმიდან მიღებული ეკონომიკური შემოსავლების ზრდა შემოსავლების ამოღების მექანიზმების მდგრადი სისტემის დანერგვის გზით.

» მტირალას ეროვნული პარკის მახლობლად მცხოვრები თემების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების და დასაქმების გაჩენის გზით.

» მტირალას ეროვნული პარკის ბუნებრივი და კულტურული რესურსების შენარჩუნება და გაძლიერება.

2.3. ზოგადი მიდგომა

ამ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიდგომა შეესაბამება „აჭარის დაცულ ტერიტორიებზე მდგრადი ტურიზმის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის“ პრინციპებს. სტრატეგიის **სახელმძღვანელო პრინციპებია:**

» **კოორდინაცია:** ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან კოორდინაციის და თანამშრომლობის გაძლიერება ერთიანი მიდგომის ჩამოსაყალიბებლად. ისეთი სტრუქტურების შექმნა, რომლებითაც შესაძლებელია ინფორმაციის მიმოცვლა და საერთო პროექტების შემუშავება დაგეგმილი აქტივობების ეფექტიანობის ასამაღლებლად.

» **თანამონაწილეობა:** ტურიზმის და ბიომრავალფეროვნების ერთიანი მართვისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი თემების და ტურიზმის ინდუსტრიის კერძო სექტორის აქტიურ მონაწილეობას და ჩართულობას. ადგილობრივი თემების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაცული ტერიტორიის მთლიანობის და კონსერვაციის უზრუნველყოფისთვის არის უმნიშვნელოვანესი. ტურიზმის კერძო სექტორის ინტეგრირება გააადვილებს ისეთი საბაზრო პროდუქტების განსაზღვრას, რომლებიც ტურისტებს მოიზიდავს. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ ქალები იყვნენ სათანადო წარმოდგენილი თანამონაწილეობით სტრუქტურებში. გენდერული ხედვა, რაც ითვალისწინებს ქალების გაძლიერებას მათთვის ბიზნესშესაძლებლობების შექმნის და მათი შესაძლებლობების გაძლიერების გზით, ასევე მნიშვნელოვანი საკითხი იქნება ამ ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარებისთვის.

» **ფინანსური მდგრადობა:** ტურიზმის განვითარებით მოსალოდნელია ფინანსური რესურსების ზრდა ისე, რომ დაცული ტერიტორია ნაკლებად იყოს დამოკიდებული გარე დაფინანსებაზე. მდგრადი ეკონომიკური შემოსავლის უზრუნველსაყოფად, რომლითაც დაცული ტერიტორიის კონსერვაციის და მართვის აქტივობები შეიძლება დაფინანსდეს, რეკომენდებულია ხარჯთსარგებლიანი ვარიანტების გამოყენება.

» **კონსერვაცია:** ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის საჭიროა მუდმივი მონიტორინგი, რათა მინიმუმამდე შემცირდეს გარემოზე ისეთი ზეგავლენა, როგორიცაა წყლის დაბინძურება ან გარემოს დეგრადაცია. გარდა ამისა, დაცული ტერიტორიის მნიშვნელობის და ღირებულებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების და ინფორმირების ერთ-ერთი საშუალებაა გარემოსდაცვით საკითხებზე განათლების და განმარტების მიწოდება.

» **ვიზიტორთა კმაყოფილება:** მდგრადი ტურიზმის მიზანია, უზრუნველყოს ტურისტების კმაყოფილების მაღალი დონე და შინაარსიანი გამოცდილება ხარისხიანი სერვისების შეთავაზების, გარემოს დაცვის და კონსერვაციის საკითხებზე ცნობიერების ამაღლებისა და ეკოლოგიურად რაციონალური ქმედებების ხელშეწყობის გზით.

მტირალას ეროვნული პარკისთვის კიდევ ორი პრინციპია საგანგებოდ განსაზღვრული:

» **კონკურენტულობა:** ეროვნული პარკი უნდა განიხილებოდეს, როგორც „ბიზნესი“, რომელიც პროდუქტებს და მომსახურებას სთავაზობს ტურიზმის ბაზარს. ტურიზმის ბაზარზე მტირალას პარკი უნდა გამოირჩეოდეს რეგიონის და ქვეყნის სხვა დაცული ტერიტორიებისგან. ეს კონკურენტულობა უნდა ემყარებოდეს პარკის ძლიერი მხარეების შემდგომ გაძლიერებას, უნიკალური გასაყიდი წინადადებების შემუშავებას და შინაარსიანი გამოცდილების შეთავაზების კრიტერიუმების განსაზღვრას.

» **დივერსიფიკაცია:** მტირალას ეროვნული პარკის ტურისტული აქტივობა ძირითადად კონცენტრირებულია სოფელ ჩაქვისთავის გარშემო. სტრატეგია ფოკუსირებული უნდა იყოს პროდუქტების და ვიზიტორთა ზონების დივერსიფიკაციაზე, რათა შემცირდეს ტურისტული ზეწოლა ამ უბანზე. ჩაქვისთავის ირგვლივ ტურისტული ნაკადების მართვა გადამწყვეტი იქნება ტურიზმის მდგრადობის უზრუნველყოფაში.



ნახატი 1: მტირალას ეროვნული პარკის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის სახელმძღვანელო პრინციპები.

2.4. მეთოდოლოგია

„მტირალას ეროვნული პარკის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ მომზადდა ფართო კვლევისა და კონსულტაციების საფუძველზე. 7-17 აპრილს ჩატარდა სველე სამუშაოები არსებული და პოტენციური ტურისტული პროდუქტების და სერვისების დეტალურად შესასწავლად. სტრუქტურირებული ინტერვიუები ჩატარდა ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, როგორებიცაა მტირალას პარკის ადმინისტრაციული პერსონალი, ტურისტული სერვისის ადგილობრივი პროვაიდერები, ტურიზმის რეგიონული ადმინისტრაცია, ეროვნული ექსპერტები და სხვა.

27 სექტემბერს, დაინტერესებულ მხარეებთან სტრატეგიის პროექტის განხილვის და საბოლოო შეთანხმების მიზნით, გაიმართა საჯარო კონსულტაცია; გარდა ამისა, 17 ოქტომბერს მოეწყო შეხვედრა დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან. სტრატეგიის პროექტზე გამოთქმული მათი შენიშვნები გათვალისწინებული იქნა მტირალას ეროვნული პარკის 2016-2020 წლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიის შემუშავებისას.




ნახატი 2: მტირალას ეროვნული პარკში ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესი. წყარო: HIDRIA

აჭარაში ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
საველე სამუშაოები; სტრუქტურირებული ინტერვიუები მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან;
მტირალას ეროვნული პარკში ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პროექტი;
საბოლოო შეთანხმების სემინარი;
მტირალას ეროვნულ პარკში ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

3. მტირალას ეროვნული პარკი და დამხმარე ზონა

3.1. ზოგადი ინფორმაცია

მტირალას ეროვნული პარკი 2006 წლის 25 მაისს დაარსდა (კანონი მტირალას ეროვნული პარკის შესახებ No. 3147). პარკი 15,698 ჰა ტერიტორიას მოიცავს. ბათუმიდან ხმელეთით ის 28.8 კმ-ით, ხოლო ზღვით - 12 კმ-ით არის დაშორებული. ბათუმიდან პარკის ვიზიტორთა ცენტრამდე მისვლას, რომელიც ჩაქვისთავში მდებარეობს, 1 საათი სჭირდება ავტომობილით. დაცული ტერიტორია ქობულეთის, ხელვაჩაურის და ქედის მუნიციპალიტეტებს შორის მდებარეობს. დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ კანონის მოთხოვნების შესაბამისად (ბრძანება#96, 28/01/2008), პარკის მართვის გეგმა 2015 წლის აგვისტოში დამტკიცდა.



ნახატი 3: მტირალას ეროვნული პარკის მდებარეობის რუკა.

მტირალას ეროვნული პარკი, კინტრიშის ეროვნულ ნაკრძალსა და მაჭახელას ეროვნულ პარკთან ერთად, წარმოადგენს იმ ეკოლოგიური დერეფნის ნაწილს, რომელიც გაქრობის საფრთხის წინაშე მყოფი კოლხური ტყეების ეკოსისტემის შესანარჩუნებლად შეიქმნა. ამ ეკოლოგიურ დერეფანში შედის თურქეთის ჯამილის ბიოსფერული ნაკრძალიც. ამ ნაკრძალით სრულდება სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დამახასიათებელი კონსერვაციის

ტრანსსასაზღვრო სივრცე, რომელიც მსოფლიოში ბიომრავალფეროვნების ზონად არის მიჩნეული.

კოლხური ტყე ზომიერი სარტყლის შერეული ტყის ეკოსისტემის სახეობაა, რომლისთვისაც რელიქტური სახეობების სიჭარბეა დამახასიათებელი. ეს რელიქტური სახეობები შემორჩენილია მესამეული პერიოდის მყინვარული ხანიდან, რომელიც დასავლეთ კავკასიას არ შეხებია. პარკში არსებული ფლორისა და ფაუნის ბიომრავალფეროვნება დამახასიათებელია მთის ტიპის კოლხური ეკოსისტემისთვის, რომელიც ზღვის დონიდან 500-დან 1,200 მეტრი სიმაღლის დიაპაზონში გვხვდება.

მტირალას მთები, რომლებიც შავ ზღვასა და აჭარის მთათა სისტემას შორის მდებარეობს, შავი ზღვიდან წამოსულ ნოტიო ჰაერს აკავებს, რითიც მტირალას პარკის ძალიან ნოტიო კლიმატს განაპირობებს. მთელი აჭარის რეგიონი ძალიან უხვნალექიანია, მაგრამ მტირალას მთა ამ რეგიონის ყველაზე ნალექიანი ადგილია. სახელი „მტირალა“ მას სწორედ ჭარბი ნალექების გამო შეერქვა, რომლის მოცულობაც წელიწადში 4,520 მმ-ს აღწევს.

მტირალას ეროვნული პარკის ხელუხლებელი კოლხური ნოტიო ფართოფოთლოვანი და შერეული ტყეები წარმოდგენილია წაბლის (Castanea sativa) და ფოთლოვანი წიფელის (Fagus orientalis) ხეებით, მარადმწვანე ქვეტყით, რომელშიც გვხვდება აზალიის სხვადასხვა სახეობა (Rhododendron ponticum, R. ungernii, R. luteum), კოლხური თაგვისარა, წყავი (Laurocerasus officinali) და კოლხური ბაძგი (Ilex colchica). აღსანიშნავია ბუჩქნართა განსაკუთრებული ფორმაციები - „შქერიანი“. ამ ფორმაციებისთვის დამახასიათებელია მარადმწვანე და მცოცავი მცენარეების ბუჩქების ერთობლიობა, რომლებიც ტყის ზედა იარუსში იზრდება და ტყის მეორე ფენას ქმნიან. შქერიანებში წარმოდგენილ სახეობებს შორის არის იშვიათი ეპიგეა (Epigaea gaultheroides).

კოლხური ეკოსისტემა ფაუნის დიდ ბიომრავალფეროვნებას მოიცავს, მათ შორის მსხვილ ძუძუმწოვრებს, როგორიცაა მურა დათვი (Ursus arctos), ასევე, რეპტილიების და ამფიბიების საინტერესო სახეობებს, რომელთაგან ბევრი ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) „წითელ ნუსხაშია“ შეტანილი, მაგალითად, კავკასიური სალამანდრა (Mertensiella caucasica), თურქული ხვლიკი (Darevskia clarkorum) და კავკასიური გველგესლა (Vipera kaznakovi). პარკში ასევე გვხვდება უხერხემლოთა რამდენიმე საინტერესო სახეობა, როგორიცაა კავკასიური ზერინთია (Zerynthia caucasica), ენდემური პეპელა, რომელიც IUCN-ის „წითელ ნუსხაშია“ შეტანილი როგორც გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობა.

მტირალას ეროვნული პარკი გადამფრენი ფრინველების მნიშვნელოვან სამიგრაციო დერეფანში მდებარეობს, რომლებიც ჩრდილო განედებიდან სამხრეთისკენ მიგრირებენ.

ამ ტრანსკავკასიური სამიგრაციო დერეფნით გადამფრენ ფრინველებს შორის არის მტაცებელი, ბეღურისებრთა, წყლის ფრინველების ბევრი სახეობა. ამ სამიგრაციო მარშრუტებზე გვხვდება კაკაჩა (Buteo buteo), მდელოს ძელქორი (Circus pygargus), ველის ძელქორი (Circus macrourus), მიმინო და შავთვალა მიმინო (Accipiter nisus, A. brevipes). ეს ადგილი აღიარებულის მსოფლიოში როგორც ფრინველთა და ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი ტერიტორი და მას მინიჭებული აქვს კოდი GE014 ბათუმი. პარკში ვიზიტორებისთვის მოწყობილია ფრინველებზე სათვალთვალო კოშკი, თუმცა ეს კოშკი ინტენსიურად არ გამოიყენება; საჭიროა მეტი ინვესტირება მის პოპულარიზებაში, ასევე დამატებითი ინფორმაცია და ინსტრუქციები ამ აქტივობის შესახებ.

პარკის შემოგარენი მდიდარია ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობით, მათ შორის, ძველი დასახლებებით. თავად სოფელი ჩაქვისთავი ჩვენი წელთაღრიცხვის VII-VIII საუკუნებში დაარსდა და ერთადერთი დასახლებაა, რომელიც ეროვნული პარკის ცენტრში მდებარეობს, თუმცა არ არის შეტანილი დაცული ტერიტორიის საზღვრებში. სხვა კულტურულ ძეგლებს შორისაა ეკლესიები, მაგალითად, წმინდა გიორგის ეკლესია ჩაქვში (13-14 საუკუნე); ციხე-სიმაგრეები, მაგალითად, პეტრა ციხისძირში (მე-6 საუკუნე), რომელიც ეროვნულ პარკს ესაზღვრება, ასევე სხვა არტეფაქტები და ძველი ინფრასტრუქტურა - სამარხები, მსხვერპლშეწირვის რიტუალის ჩატარების ადგილები და ძველი ხიდები.


საერთაშორისო ორგანიზაციების ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის და გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მხარდაჭერით, პარკში ახალი ტურისტული პროდუქტები შემუშავდა, მათ შორის ორი რეკრეაციული ბილიკი, რომლებიც უკვე მარკირებულია და აღჭურვილი განმარტებითი დაფებით და რუკებით. ეს ბილიკებია „წაბლნარის ბილიკი“ და „ცივი წყაროს ბილიკი“. სხვა აქტიურ ტურისტულ პროდუქტებს შორისაა საცხენოსნო ლაშქრობა, კანოეინგი და ზიპლაინი.[1] ვიზიტორებისთვის ასევე უზრუნველყოფილია საკემპინგე და საპიკნიკე ადგილები და ადგილობრივი სერვისები - საოჯახო სასტუმროები და ბაზრები და მაღაზიები ზოგიერთი ადგილობრივი პროდუქტისთვის.

ტრადიციული დღესასწაულები და ფესტივალები პარკის ვიზიტორებისთვის კულტურული შეთავაზების ნაწილია. ადგილობრივი დღესასწულის მაგალითია ჩაქვისწყლის ხეობის სახალხო ზეიმი, რომელიც სოფელ ჩაქვისთავში იმართება და რომელსაც სოფლის თემები ფოლკლორული ცეკვებითა და სიმღერებით აღნიშნავენ. ზეიმი ყოველი წლის სექტემბერში იმართება და ბევრ ვიზიტორს იზიდავს, რომლებსაც ადგილობრივ კერძებს და ხელნაკეთ ნივთებს სთავაზობენ.

[1] კანოეინგი და ზიპლაინი შემუშავდა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პროექტის „საქართველოს მხარდაჭერა დაცული ტერიტორიების განვითარების სფეროში“ ფარგლებში.

დღეისათვის მტირალას პარკი აჭარის რეგიონის დაცულ ტერიტორიებს შორის ყველაზე პოპულარული ადგილია, განსაკუთრებით, ადგილობრივი ტურისტებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურად გეგმავენ თავიანთ ვიზიტებს და პარკს უნიკალური ბუნებისა და სპორტული აქტივობებისთვის სტუმრობენ. თუმცა, საჭიროა ინფრასტრუქტურის და სერვისების გაუმჯობესება, რათა ტურისტებს ინტეგრირებული, ხარისხიანი სერვისი მიეწოდოს და პარკში არსებულ რესურსებს მეტი ღირებულება შეემატოს. მართვის გეგმაში განხილული სხვა პრიორიტეტული ამოცანები პარკის ბუნებრივი ბიომრავალფეროვნების გრძელვადიან დაცვაზეა ფოკუსირებული; ამისთვის საჭიროა შესაძლებლობების გაძლიერება და თანამშრომლობაში ინვესტირება, რათა დაწესდეს კონტროლი და მონიტორინგი იმ ადამიანურ და ბუნებრივ ფაქტორებზე, რომლებიც საფრთხეს უქმნის პარკის ბუნებრივი ღირებულებების კონსერვაციას, მაგალითად, ბრაკონიერობა, ხე-ტყის უკონტროლო ჩეხვა, ინვაზიური სახეობების გავრცელება, მცენარეთა დაავადებები და ადამიანისა და ველური ბუნების სხვა ურთიერთქმედება.

3.2. სოციალურ-ეკონომიკური ჩარჩო



ნახატი 4: მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონის რუკა. წყარო: HIDRIA.

დემოგრაფიული მონაცემები

მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში ორი მუნიციპალიტეტის (ხელვაჩაური და ქობულეთი) ორი დასახლებაა (თემი) - ორთაბათუმის თემი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში და ხალას თემი ქობულეთის მუნიციპალიტეტში. ამჟამად ამ ორი თემის მოსახლეობა 13,752 ადამიანს სეადგენს. ცხრილში 1 ნაჩვენებია ამ თემების დემოგრაფიული მონაცემები.

თემი	ოჯახები		მუდმივი ბინადარი					მოსახლეობის ფაქტობრივი რაოდენობა		
	სულ	მათ შორის: დროებით ტოვებს სოფელს	სულ	ქალი	კაცი	დროებით ტოვებს სოფელს		სულ	ქალი	კაცი
						ქალი	კაცი			
ხალა	942	27	3.669	1.802	1.867	9	43	3.617	1.793	1.824
ორთაბათუმი	2.675	25	10.083	5.045	5.038			10.052	5.045	5.007

ცხრილი 1: მტირალას დაცული ტერიტორიის დამხმარე ზონის დემოგრაფიული მონაცემები. წყარო: შავი ზღვის ეკო აკადემია

ხალას თემი 3 სოფლისგან შედგება: ხალა, გორგაძეები და ჩაქვისთავი, ხოლო ორთაბათუმი 7 თემს მოიცავს: ორთაბათუმი, აგარა, კაპრეშუმი, მასაურა, სალიბაური, ყოროლისთავი და წინსვლა.

სოფელი ჩაქვისთავი, რომელიც 77 მოსახლისგან და 21 ოჯახისგან შედგება, სრულად არის მტირალას ეროვნული პარკის მიწებით გარშემორტყმული და ამიტომ, ამ სოფელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მტირალას პარკთან დაკავშირებული რეკრეაციული და ტურისტული აქტივობების (მათ შორის ეკოტურიზმი, აგროტურიზმი) შემუშავებაში.

ტერიტორიული ერთეულები	ოჯახების რაოდენობა	მოსახლეობის ფაქტობრივი რაოდენობა	მუდმივად მცხოვრები მოსახლეობა
ხალას თემი	***942***	***3.617***	***3.669***
ხალა	497	2.045	2.068
გორგაძეები	424	1.495	1.521
ჩაქვისთავი	21	77	80
ორთაბათუმის თემი	***2.675***	***10.052***	***10.083***

ორთაბათუმი	328	1.216	1.224
აგარა	248	911	915
კაპრეშუმი	351	1.359	1.364
მასაურა	179	716	716
სალიბაური	449	1.309	1.315
ყოროლისთავი	341	1.319	1.322
წინსვლა	779	3.222	3.227

ცხრილი 2: მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონის დასახლებების დემოგრაფიული მონაცემები. წყარო: შავი ზღვის ეკო აკადემია.

მოსახლეობის ასაკობრივი და გენდერული შემადგენლობა ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ასაკი	მოსახლეობის ფაქტობრივი რაოდენობა		
	სულ	სქესი	
		ქალი	კაცი
ბალას თემი	***3.617***	***1.793***	***1.824***
0-15	592	290	302
15-19	1.015	568	447
16-59 (ქალი)	1.241	1.241	
16-64 (კაცი)	1.346		1.346
60 > (ქალი)	262	262	
65 > (კაცი)	176		176
ორთაბათუმის თემი	***10.052***	***5.045***	***5.007***
0-15	3.051	1.598	1.453
15-19	2.243	1.089	1.154
16-59 (ქალი)	3.015	3.015	
16-64 (კაცი)	2.939		2.939
60 > (ქალი)	432	432	
65 > (კაცი)	615		615

ცხრილი 3: მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონის მოსახლეობის განაწილება ასაკის და სქესის მიხედვით. წყარო: შავი ზღვის ეკო აკადემია.

ეკონომიკური მონაცემები

შავი ზღვის ეკო აკადემიის მიერ ამ ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევის თანახმად, მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური აქტივობებია:

» სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობა ხალას და ორთაბათუმის სათემო სოფლების შემოსავლების მთავარი წყაროა; მოსახლეობას ძირითადად ბოსტნეული, ციტრუსი და ხილი მოყავს. ტრადიციულად, იქ ასევე მოყავთ მარცვლეული, ხილი და კარტოფილი.

პროდუქციის უდიდესი ნაწილი საკუთარი მოხმარებისთვის გამოიყენება და მხოლოდ მცირე ნაწილი იყიდება ბაზარზე.

ხალას და ორთაბათუმის სათემო სოფლებს დიდი პოტენციალი აქვთ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (განსაკუთრებით, ხილის) წარმოების თვალსაზრისით.

მეფუტკრეობა ასევე მნიშვნელოვანი საქმიანობაა არა მარტო როგორც საკვები პროდუქტი ადგილობრივებისთვის, არამედ ტურისტებისთვისაც. დამხმარე ზონის მოსახლეობას შეუძლია არასამერქნე ტყის პროდუქტები შეგროვებაც, როგორებიცაა თხილი, სოკო, კენკრა და სამედიცინო მცენარეები.

» ტურიზმი

ვინაიდან ეროვნული პარკი ტურისტების საკმაო რაოდენობას იზიდავს, ადგილობრივი მოსახლეობა ინვესტიციებს დებს მცირე ბიზნესის განვითარებაში: აშენდა ახალი სასტუმრო და გაიხსნა ახალი რესტორანი სოფელ ჩაქვისთავში; მოეწყო მდინარეზე გადასასვლელი საბაგირო და აშენდა ახალი მაღაზია.

ასევე, ახლომდებარე სოფელ ხალაში გაიხსნა პროდუქტის მაღაზია, საკალმახე და რესტორანი. გარდა ამისა, პარკის შესასვლელთან გაიხსნა თაფლის და სუვენირების პატარა მაღაზია, რომელსაც ადგილობრივი სათემო ორგანიზაცია მართავს. აქ შეთავაზებული ყველა პროდუქტი მეზობელი სოფლებიდან არის მოტანილი.

საბაზისო ინფრასტრუქტურა

აჭარის სხვა დაცულ ტერიტორიებთან შედარებით, მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონა უკეთ არის განვითარებული. გზა ყველა სოფლამდე მიდის; თუმცა, გზის დიდი მონაკვეთები არ არის მოასფალტებული და ზამთარში მთიან სოფლებთან მისასვლელ გზა ჩახერგილია დიდთოვლობის გამო.

ორთაბათუმის და ხალას თემებს მიეწოდება ელექტროენერგია; სასმელ წყალს მოსახლეობა ადგილობრივი წყაროებიდან იღებს, მაგრამ ზამთარში წყაროები იყინება მოსახლეობას პრობლემები ექმნება.

ორთაბათუმის და ხალას თემებში 6 საჯარო სკოლაა. მოსახლეობა პირველად სამედიცინო დახმარებას სოფლის დისპანსერებში იღებს, რომლებიც ორთაბათუმის და ხალას ახალ სოფლებშია განთავსებული.

ორივე თემის სოფლებში შერეული საქონლის მაღაზიებია, სადაც შესაძლებელია საკვები პროდუქტის და მცირე ზომის ინდუსტრიული საქონლის შეძენა.

4. ტერიტორიის შეფასება

4.1. მტირალას ეროვნული პარკის მენეჯმენტი და ადმინისტრაცია


4.1.1. მენეჯმენტის სისტემა

ადმინისტრაცია და ადამიანური რესურსები

მტირალას ეროვნულ პარკს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ადმინისტრაციული ერთეულის ორგანიზაციული ფორმა აქვს. მას აჭარაში ერთ-ერთი საუკეთესო ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა აქვს, რომელიც ვიზიტორებისთვის მთელი წლის განმავლობაშია ღია. ეს ადმინისტრაციული შენობა მდებარეობს სოფელ ჩაქვში (ქობულეთის მუნიციპალიტეტი), ჩაქვისთავში ვიზიტორთა ცენტრიდან 15 კმ-ში.

მტირალას ეროვნული პარკის გუნდი 20 წევრისგან შედგება: მენეჯმენტის და ადმინისტრაციის 3 წარმომადგენელი, 1 გარემოსდაცვითი სპეციალისტი, 2 უფროსი რეინჯერი, 11 რეინჯერი, 1 ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტი, 1 მდივანი, 1 ბუღალტერი და 1 სამეურნეო ანწილის/ოფისის მენეჯერი.

ზაფხულში პარკის ადმინისტრაცია სეზონურ თანამშრომლებს ქირაობს - 2 ადგილობრივ გამყოლს ზიპლაინის სერვისისთვის. მანამდე ამ აქტივობაზე რეინჯერები იყვნენ პასუხისმგებელი.



ნახატი 5: მტირალას ეროვნული პარკის ორგანიზაციული სტრუქტურა. წყარო: მტირალას ეროვნული პარკი

პარკის ადმინისტრაციასთან ჩატარებული საუბრებიდან გამომდინარე, საჭიროა ინგლისური/რუსული ენის მცოდნე გამყოლები და ტრენინგი მარკეტინგის, გაყიდვების, უცხო ენების, ტურების გამყოლობის და პროექტის შემუშავების საკითხებში.

ბიუჯეტი

მტირალას ეროვნული პარკის წლიური ბიუჯეტი დაცული ტერიტორიების სააგენტოს მთლიანი წლიური ბიუჯეტის ნაწილს შეადგენს. გარდა ამისა, პარკი დამატებით დაფინანსებას კავკასიის ბუნების ფონდიდან იღებს.

2015 წელს საოპერაციო ბიუჯეტი 129,490 ლარს შეადგენდა (სახელმწიფო ბიუჯეტი).

4.1.2. მართვის არსებული გეგმა

მტირალას ეროვნული პარკის მართვის გეგმა 2015 წელს შემუშავდა და ის 2020 წლამდე მოქმედებს. მართვის გეგმაზე დაყრდნობით მზადდება ყოველწლიური სამოქმედო გეგმები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი ქმედებები და კონკრეტული აქტივობები შესაბამისი საბიუჯეტო მუხლებით.

მტირალას პარკის მიერ 2020 წლისთვის შესასრულებელი მთავარი ამოცანებია:

- მტირალას ეროვნული პარკი თავისი ეკოლოგიური დერეფნებით, როგორც საქართველოს და აჭარის ბუნებრივი მემკვიდრეობის ნაწილი, კავკასიის რეგიონის ერთ-ერთი ბუნებრივი ზონაა.
- მტირალას პარკის მრავალფეროვანი სახეობების კონსერვაცია და ჰაბიტატების შენარჩუნება მათ ბუნებრივ პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულად ხორციელდება. სისტემატურად ხდება კონსერვაციის გრძელვადიანი მიზნების და ღონისძიებების შემუშავება კოლხური ბზასა (Buxus colchica) და იმ დაავადებებთან დაკავშირებით, რომლებიც ბზის ტყის კვდომას იწვევს.
- ტერიტორიის ადგილობრივი კულტურა, სამზარეულო, მემკვიდრეობა და ტრადიციები შენარჩუნებული, მხარდაჭერილი და პოპულარიზებულია. ადგილობრივი პროდუქტები მიეწოდება არა მარტო ვიზიტორებს, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებსაც. მარკეტინგის, გაყიდვების და მომსახურების სისტემები გამართულია.
- მტირალას ეროვნული პარკი საინტერესოა თავისი ბიომრავალფეროვნების, მათ შორის ენდემური და რელიქტური სახეობების, ბუნებრივი და ხელუხლებელი ლანდშაფტების გამო. ყველა კვლევის შედეგები, ასევე, სტატია და მონაცემი, რომლებიც ეგზავნება ეროვნული პარკის ადმინისტრაციას და დაცული ტერიტორიების სააგენტოს, შეკრებილია და შენახული.

- ადგილობრივ მოსახლეობას გაცნობიერებული აქვს მტირალას ბიომრავალფეროვნების და ღირებულებების მნიშვნელობა და ინტერესს იჩენს ეროვნული პარკის მართვის მიმართ. მოსახლეობა, მათ შორის, მოსწავლეები და სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ დაცვით ღონისძიებებში.
- მტირალა ეკოტურიზმის და რეკრეაციის ერთ-ერთი მთავარი ცენტრია აჭარაში დამსვენებლებისთვის.
- ტურისტული აქტივობები ტარდება ეროვნული პარკის ბუნებრივი ეკოსისტემების გამტარუნარიანობის და ზონალობის, ასევე, ვიზიტორთა მოლოდინების და სოციალური საჭიროებების გათვალისწინებით.
- პარკში ტურისტულ სერვისებს და აქტივობებს ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა უზრუნველყოფს და ადგილობრივ ეკონომიკაში პარკის წვლილი გაზრდილია.
- მტირალას ადმინისტრაციას აქვს საჭირო ფინანსური და ტექნიკური საშუალებები და ყავს საჭირო რაოდენობის, გაწვრთნილი პერსონალი და ეფექტიანად მართავს პარკს.

მტირალას ეროვნული პარკის მართვის გეგმა შემდეგ პროგრამებს მოიცავს:

მტირალას ეროვნული პარკის მართვის გეგმის პროგრამები			
1.	დაცვა და პატრულირება	2.	ეკოგანათლება
3.	ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და კვლევა და მონიტორინგი	4.	კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობები
5.	ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება	6.	ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა
7.	ეკოტურიზმი	8.	პერსონალის და ადმინისტრაციის ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერება

2016 წლის ტურისტული აქტივობები, რომლებიც წლიურ სამოქმედო გეგმაშია გაწერილი, მოიცავს:[2]

- ბუნებრივი და კულტურული რესურსების მონაცემთა ბაზის შექმნა;
- მტირალას ტერიტორიაზე სამეცნიერო მკვლევრების/ჯგუფების ხელშეწყობა და კონტროლი;
- ეკოსაგანმანათლებლო აქტივობები;
- თანამშრომლობა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან;

[2] წყარო: 2016 წლის სამოქმედო გეგმა.

» გასაცნობი კურსების ორგანიზება, ბავშვებისთვის ღია გაკვეთილების და სოფლის სკოლებში შეხვედრების ჩატარება, უმცროსი რეინჯერებისთვის სპეციალური თემატური პროგრამების განხორციელება, ეკობანაკების მოწყობა და მწვანე კალენდრის ღონისძიებების ორგანიზება;
» ვიზიტორთა შესახებ სტატისტიკის რეგულარული მიწოდება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის;
» ტუროპერატორებთან ხელშეკრულებების გაფორმება;
» ეკოტურისტული პროდუქტების შემუშავება - ვიზიტორთა გამოკითხვა, ბაზარზე დაყრდნობით ტურისტული შეთავაზებების შემუშავება, ტურისტული მასალების მომზადება და სხვა.

2016 წელს შეიქმნა „მტირალას და მაჭახელის მეგობართა ასოციაცია“. სექტემბრის შემდეგ ასოციაციამ შეიმუშავა პროექტები: „ახალგაზრდა რეინჯერები“ და „სათემო რეინჯერები“. ასოციაციას ჰყავს დირექტორი, პროექტის კოორდინატორი, ადმინისტრატორი და სამი მოხალისე.


მეგობართა ასოციაციის მთავარი მისიაა:

- მტირალას და მაჭახელის ადმინისტრაციების გაძლიერება და მათი საქმიანობების ეფექტიანობის მხარდაჭერა.
- მტირალას და მაჭახელის პარკების პოპულარიზაცია საზოგადოებაში.
- დაგეგმვის და მართვის პროცესში ადგილობრივი თემების და სხვა დაინტერესებული მხარეების თანამონაწილეობის გააქტიურება.
- დაცულ ტერიტორიებსა და მათი დამხმარე ზონების სოფლების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის ხელშეწყობა.
- მტირალას და მაჭახელის მახლობლად მცხოვრები თემების განვითარების ხელშეწყობა.
- დაცული ტერიტორიების და რეგიონის განვითარებაზე გამოყოფილი სახელმწიფო და დონორული დაფინანსების და მათი გამოყენების მონიტორინგი.
- ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა დაცული ტერიტორიების და რეგიონის განვითარებისთვის.
- თანამშრომლობის ხელშეწყობა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, ცენტრალურ მთავრობასა და მაჭახელის და მტირალას დამხმარე ზონების ადგილობრივ თემებს შორის.
- საქართველოში დაცული ტერიტორიების მართვისა და მმართველობის დეცენტრალიზაციის მხარდაჭერა.

4.1.3. ზონირება

2015 წლის აგვისტოში დამტკიცებული მტირალას პარკის მართვის გეგმის თანახმად, პარკი, დაცული ტერიტორიების შესახებ კანონის შესაბამისად, სამ ფუნქციურ ზონად არის დაყოფილი:

- **ბუნების მკაცრი დაცვის ზონა:** ეკოსისტემების დაცვის და არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევებისა და საგანმანათლებლო აქტივობების ჩატარებისთვის (პარკის მთელი ტერიტორიის 15.7%).
- **ტრადიციული გამოყენების ზონა:** ბუნების დაცვასა და განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციულ გამოყენებასთან დაკავშირებული სამეურნეო აქტივობების განსაზღვრისა და უზრუნველყოფისთვის (პარკის მთელი ტერიტორიის 15.7%).
- **ვიზიტორთა ზონა:** ბუნების დაცვის, რეკრეაციისა და საგანმანათლებლო საქმიანობისთვის (პარკის მთელი ტერიტორიის 51.4%).



ნახატი 6: მტირალას ეროვნული პარკის პირველადი ზონირების რუკა.

ზემოთ ჩამოთვლილი ზონების მთავარი მიზანია ბუნებრივი ეკოსისტემების დაცვა და ბუნების მკაცრი დაცვის ზონის მიღმა ისეთი საგანმანათლებლო, კვლევითი და ტურისტული აქტივობების დაშვება, რომლებიც თავსებადია ეროვნული პარკის კონსერვაციის ამოცანებთან.

მტირალას ეროვნული პარკის ფუნქციური ზონები განისაზღვრა მართვის გეგმის შემუშავებამდე მოქმედი ზონირების კატეგორიებისა და იმ ზეწოლების საფუძველზე, რომლებიც პარკის ღირებულებებზე ზემოქმედებდა. თითოეული ზემოთ ნახსენები ზონისთვის დამახასიათებელია შემდეგი თვისებები:

- **ბუნების მკაცრი დაცვის ზონა** შედგება ხელუხლებელი ეკოსისტემებისგან, მათ შორის ევროპული წიფლის (Fagus sylvatica) პირველადი ტყეების და მრავალწლოვანი ბუჩქებისგან, როგორიცაა ურთხელის ხეები (Taxus baccata). ამ ტიპის ზონის უბნების უმეტესობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ჰაბიტატებს ისეთი სახეობებისთვის, როგორებიცაა მურა დათვი (Ursos arctos), ფოცხვერი (Lynx lynx) და არჩვი (Rupicapra rupicapra), რომელთა ნახვაც შესაძლებელია მაღლა მთაში.

- **ვიზიტორთა ზონა** მოიცავს უბნებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად სახეცვლილია ადამიანის ჩარევის შედეგად, მაგრამ ამ უბნებზე ბუნებრივი რესურსების მოპოვება ახლა რეგულირდება, ანუ იკრძალება ხის ჭრა, ასევე, სხვა აქტივობებიც შეიძლება საკმაოდ შეზღუდული იყოს. ეს ზონა მოიცავს ვიზიტორებისთვის საინტერესო ღირსშესანიშნაობებს, მაგალითად, გადმოსახედ ბაქნებს, რეკრეაციულ უბნებს და უნიკალურ ბუნებრივ და კულტურულ ელემენტებს.

- **ტრადიციული გამოყენების ზონა** მოიცავს ისეთ უბნებს, რომლებსაც ტრადიციულად იყენებდნენ პარკის მახლობლად მცხოვრები ადამიანები, რადგან მათი არსებობა პარკის ბუნებრივ რესურსებზეა დამოკიდებული. ტრადიციული გამოყენების ზონაში განხორციელებულ აქტივობებს შორის არის საწვავი შეშის მოგროვება, საქონლის ძოვება, თხილისა და კენკრის შეგროვება. ამ უბნების ბუნებრივი ეკოსისტემების აღსადგენად სპეციფიკური აღდგენითი ღონისძიებები იგეგმება, განსაკუთრებით იმ უბნებზე, რომლებიც საკმაოდ შეცვლილია ადამიანების მიერ გამოყენების შედეგად.

მართვის გეგმა განსაზღვრავს აქტივობებს, რომლებიც ნებადართულია თითოეულ ფუნქციურ ზონაში მისი მახასიათებლებიდან გამომდინარე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოკლედ არის წარმოდგენილი ის აქტივობები, რომლებიც მტირალას ეროვნული პარკის მართვის გეგმით არის თითოეულ ზონაში დაშვებული.

აქტივობები	ფუნქციური ზონები		
	მკაცრი დაცვის ზონა	ვიზიტორთა ზონა	ტრადიციული გამოყენების ზონა
არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევები, ინვენტარიზაციის და მონიტორინგის აქტივობები.	✓		

ეკოსაგანმანათლებლო აქტივობები, რომლებიც არ ზემოქმედებს გარემოზე.	✓		
ველური ფაუნის და ფლორის სახეობების და არსებული ჰაბიტატების კონსერვაცია, შენარჩუნება და აღდგენა.		✓	✓
ეკოსისტემის დაცვა და აღდგენითი აქტივობების განხორციელება.		✓	✓
სამეცნიერო კვლევითი და მონიტორინგის აქტივობები.		✓	✓
გარემოსდაცვითი მონიტორინგი და კვლევა, მათ შორის ასეთი აქტივობების ჩასატარებლად საჭირო აღჭურვილობის მონტაჟი.		✓	✓
საგანმანათლებლო აქტივობები.		✓	
ავტომობილების შეზღუდული გამოყენება ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობისთვის ან საგანგებო სიტუაციების, ბუნებრივი სტიქიის და აღდგენითი აქტივობების დროს. ტრანსპორტი შეუზღუდავად გადაადგილდება ჩაქვისთავთან (მთავარი სოფელი პარკში) მისასვლელ გზაზე.		✓	✓
საკადასტრო აქტივობები.		✓	✓
მთავარ ბილიკებზე ცხენით, ველოსიპედით და თოვლზე საბიჯებელი თხილამურებით გადაადგილება.		✓	
გარემოს დაცვისა და ეკოტურიზმისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა.		✓	
თხილის, კენკრის და საჭმელად ვარგისი სოკოს მოგროვება მხოლოდ ვიზიტორების მიერ.		✓	
ტერიტორიის ეკოლოგიური ბალანსის დაცვა.			✓
ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება.			✓
ვიზიტორების დაშვება ფეხით, ველოსიპედით და ცხენით.			✓
დაცვისა და ეკოტურიზმისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოვლა-პატრონობა.			✓
ადგილობრივი მოსახლეობის მიერ არასამერქნე პროდუქტების პირადი მოხმარებისთვის გამოყენება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად.			✓
პირველადი და მეორადი სამერქნე პროდუქტების გამოყენება, რომლებიც აუცილებელია, რომ დაკმაყოფილდეს ოჯახების საჭიროებები ენერგიაზე, გათბობასა და საკვების დამზადებაზე, მართვის გეგმის მე-6 დანართის შესაბამისად.			✓
სკების მოწყობა ისე, რომ არ დაზიანდეს რომელიმე ხე ან ბუნების სხვა ელემენტი.			✓

ადგილობრივი მოსახლეობის სასმელ წყალთან დაშვების უზრუნველყოფა ბუნებრივი პირობების შესაბამისად.			
კანონით გათვალისწინებული სხვა აქტივობები.		✓	✓

ცხრილი 4: დაცული ტერიტორიის თითოეულ კატეგორიასა და ფუნქციურ ზონაში ნებადართული აქტივობები. წყარო: მტირალას ეროვნული პარკის მართვის გეგმა (დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2015).

4.2. მტირალას ეროვნული პარკის და დამხმარე ზონის ღირსშესანიშნაობების და სერვისების შეფასება.

ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ფორმულირების პირველი ნაბიჯია ბუნებრივი (ფლორის და ფაუნის სახეობების, გეოგრაფიული აქტივების და სხვა მახასიათებლების) და კულტურული მახასიათებლების იდენტიფიცირება და არსებული ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, რათა განისაზღვროს ტურიზმის საქმიანობის განვითარების საუკეთესო სფეროები.

4.2.1. ტერიტორიის აღწერა და ძირითადი მახასაითებლები

მტირალას ეროვნული პარკი და მისი დამხმარე ზონა მდებარეობს აჭარა-იმერეთის ქედის უკიდურესი დასავლეთით, ქობულეთი-ჩაქვის ქედზე, რომელიც აჭარას დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად ყოფს. მანძილი ზღვიდან (სოფელი ჩაქვიდან) პარკის უახლოეს წერტილამდე 12 კმ-ია. ბათუმიდან პარკი 20 კმ-ით არის დაშორებული. დასავლეთ (ზღვისპირა) ნაწილი მოიცავს ზღვისპირა ზონას (ზღვის დონიდან 10 მ.), გორაკ-ბორცვიან ზონას (500-600 მ. ზღვის დონიდან) და მთიან ზონას (1500 მ. ზღვის დონიდან). აღმოსავლეთი ნაწილისთვის (შიდა მთები) დამახასიათებელია დაბალი ხეობები (250-350 მ. ზღვის დონიდან), მთის სარტყლები (1800-2000 მ. ზღვის დონიდან) და მაღალმთიანი ზონა, რომელიც კენჭიანის მთიდან არსიანის ქედამდეა გადაჭიმული და ზღვის დონიდან 3000 მ-ზე მდებარეობს.

პარკის მთლიანი ტერიტორია 15,698 ჰა-ს შეადგენს. მისი ფლორა და ფაუნა კოლხური ტყისთვის დამახასიათებელია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მესამეული პერიოდის რელიქტური სახეობები, რომლებიც მყინვარულ ხანას გადაურჩნენ, წარმოდგენილია პარკში. ეროვნული პარკი მთის ტიპის კოლხურ ეკოსისტემებს ინახავს.

მტირალა ყველაზე ნესტიანი ადგილია საქართველოში (ზღვის დონიდან 1,381 მ-ის სიმაღლეზე მდებარე მტირალას მთაზე წლიური ნალექები 4,520 მმ-ს აღწევს). ხშირი წვიმა და ნისლი მტირალას ეროვნული პარკის ლანდშაფტს განსაკუთრებულ ხიბლს ჰმატებს. სწორედ აქედან მოდის ტოპონიმი „მტირალა“. ტერიტორიის კლიმატს დიდწილად ეს

ადგილობრივი მთები განაპირობებს; ისინი ბარიერს უქმნიან ზღვიდან მომავალ ნოტიო ჰაერის მასებს.

მტირალას პარკსა და მის დამხმარე ზონაში სამი კლიმტური სარტყელია:

1) ზღვის ნოტიო კლიმატი თბილი, ზომიერი, უთოვლო ზამთრითა და ხანგრძლივი ზაფხულით;
2) ნოტიო კლიმატი, ზომიერად ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი, თბილი ზაფხულით;
3) საკმარისად ნოტიო კლიმატი ზომიერად ცივი ზამთრითა და შედარებით მშრალი, ცხელი ზაფხულით.

წლიური ნალექების რაოდენობა 2000 მმ-ზე მეტია, ხოლო დიდი მტირალას მთის ზღვის მხარეს კალთებზე 4,000 მმ-ზე მეტი. ჰაერის ტენიანობა 80%-85%-ა და ხშირია ნისლიანი დღეები.

სიმაღლის მატებასთან ერთად საშუალო წლიური ტემპერატურა 12-14°-იდან (500-600 მ. ზღვის დონიდან) 5-6°-მდე (1000-1200 მ. ზღვის დონიდან) ეცემა. მთის ქვედა სარტყელში წლის ყველაზე ცხელი თვის (აგვისტო) საშუალო ტემპერატურა 20°-ია, ხოლო ყველაზე ცივი თვის (იანვარი) – 20°. ზღვის დონიდან 1000-1200 მეტრის სიმაღლეზე აბსოლუტური მინიმუმი შეადგენს 13,6°-ს. დღეების რაოდენობა, როდესაც ტემპერატურა 0°-ზე ქვემოთ არ ჩამოდის, საშუალოდ, 274-ა. თოვლის საფარის სიმაღლე მთის შუა და ზედა სარტყლებში, საშუალოდ, 3-4 სანტიმეტრს აღწევს.

ფიზიკური მახასიათებლები

მტირალას ეროვნული პარკის და მისი დამხმარე ზონის გეოგრაფიული სტრუქტურა ძირითადად მესამეულის ანდეზიტური შემადგენლობის ტუფოგენური ქანებისა და მეოთხეულის დანალექი წარმონაქმნებისგან შედგება.

აჭარის მთელი ტერიტორიის მსგავსად, აქ სამი ტიპის ნიადაგია წარმოდგენილი. ზღვის დონიდან 600 მეტრამდე გავრცელებულია წითელმიწები, რომლებიც საკმაოდ იშვიათია ზომიერი გრძედებისთვის. აქ ორი ტიპის წითელი ნიადაგია: მცირე სისქის წითელმიწა (Haplic Ferralsols) და ნამდვილი წითელმიწა ან გაეწრებული (Haplic Histosols or Rodic Acrisols).

სიმაღლის მატებასთან ერთად წითელმიწები ყვითელმიწა და ყომრალი ნიადაგებით იცვლება, სადაც ძირითადად გვხვდება წიფლნარები და წიფლნარ-წაბლნარები, მცირე

რაოდენობით ნაძვის და ხევერცხლას ტყეები, რომლებშიც წიფლის ხეებიც არის შერეული.

მტირალას ეროვნული პარკის მთიან ზონაში (უმაღლესი წერტილი მდებარეობს ზღვის დონიდან 1,762 მეტრზე, მთა მორვილის მწვერვალთან ახლოს, რომელიც ეროვნული პარკის ფარგლებს მიღმაა) უხვად მოედინება მცირე და დიდი ზომის სწრაფი მდინარეები, რომლებიც ჩანჩქერებსა და ხეობებს ქმნიან. მათ შორის ყველაზე შთამბეჭდავი მდინარეებია ჩაქვისთავი და ყოროლისწყალი (ქობულეთი-ჩაქვის ქედის შავი ზღვის მხარეს ფერდობის მთავარი წყლის არტერია), რომლებიც შავ ზღვაში ჩაედინებიან და ჭორომებსა და ვიწრო ხეობებს (მათ შორის, კანიონებს) ქმნიან.



ნახატი 7: მტირალას ეროვნული პარკის მთავარი გეოგრაფიული მახასიათებლები. წყარო: მტირალას ეროვნული პარკი.

ბიოტური მახასიათებლები

- **ფლორა**

პარკის ტყის ზოლის ვერტიკალური ზონირება ზღვის დონიდან 500-დან 1200 მეტრამდე მდებარეობს. პარკში შერეულია წიფლისა და წაბლის ტყეები და კოლხური ტიპის შერეული ტყეები.

პარკის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი უჭირავს ტყის ფიტოცენოზებს, სადაც წიფელი დომინირებს: ქვედა სარტყელში გვხვდება წაბლნარ-წიფლნარები, თუმცა პირველ იარუსში ასევე ხშირია რცხილა (Carpinus caucasica), იფანი (Fraxinus excelsior) და სხვ.

ქვეტყეში ხშირად გვხვდება ჯონჯოლი (Staphylea colchica), ბზა (Buxus colchica), შქერი (Rhododendron ponticum), იელი (Rh. luteum), წყავი (Laurocerasus officinalis) და სხვ. ამავე სარტყელში გავრცელებულია ცენოზები, სადაც წაბლი დომინირებს, რომლებიც კომპოზიციურად ბევრად არ განსხვავდება წიფლნარებისაგან.

მტირალას პარკის უნიკალური ბუნება ძირითადად ტყის ზედა სარტყელში გვხვდება. ამ ადგილს განსაკუთრებულ ორიგინალურობას ჰმატებს მარადმწვანე, მაღალ ბუჩქნართა ფორმაცია „შქერიანი“ (ბუჩქნარის ფიტოცენოზები). აქ წარმოდგენილია უნიკალური კოლხური რელიქტური ბუჩქები: Rhododendron ponticum, Rh. ungernii, Rh. luteum, Ilex colchica, Laurocerasus officinalis, Ruscus colchicus.

ეს მცენარეული ერთობები მდინარე ყოროლისწყლის ხეობაშია (მისი მარჯვენა შენაკადის ნამწვავისწყლის სათავეებში), სადაც შქერიანში აჭარა-ლაზეთის უიშვიათესი სახეობა Epigaea gaultherioides გვხვდება.

შქერიანის ფორმაციის კონსერვაცია განსაკუთრებით ღირებულია იმიტომ, რომ აქ, 1 ჰა-ზე, 30-35 ტიპის მცენარე (ხე, ბუჩქი, ლიანები) გვხვდება, რაც საკმაოდ დიდი იშვიათობაა მსოფლიოს ზომიერი სარტყლის პირობებისთვის. შქერიანი არ არის ბალახოვანი საფარით მდიდარი, რაც ბუჩქნარის სიხშირითაა გამოწვეული. თუმცა, აქ მაინც გვხვდება ნესტის და ჩრდილის ამტანი ზოგიერთი სახეობა: Dryopteris oreopteris, Athyrium filix-femina, Blechnum spicant, Oxalis villosa და სხვა.

პარკის ფლორა ტიპურია კოლხური ტყისთვის და მოიცავს რელიქტურ სახეობებს, რომლებიც მყინვარულ ხანას გადაურჩა.

პარკის მცენარეებისა და ცხოველების ზოგიერთი სახეობა საერთაშორისო თუ საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი. მცენარეთა რელიქტური ენდემური სახეობებია: პონტოური მუხა (Quercus pontica), მედვედევის არყი (Betula medwedewii), უნგერნის შქერი (Rhododendron ungernii), ეპიგეა (Epigaea gaultherioides). ეს უკანასკნელი ორი მარადმწვანე ბუჩქი და მედვედევის არყი მსოფლიოში მხოლოდ აჭარასა და თურქეთის მიმდებარე ტერიტორიაზე გვხვდება.

ლათინური დასახელება	ქართული დასახელება	ეროვნული სტატუსი
Betula medwedewii	მედვედევის არყი	**VU**
Buxus colchica	კოლხური ბზა	**VU**
Castanea sativa	ჩვეულებრივი წაბლი	**VU**
Corylus colchica	კოლხური თხილი	**VU**
Epigaea gaultheroides	გაულთეროიდული ეპიგეა	**VU**
Juglans regia	კაკლის ხე	**VU**

Quercus hartwissiana	კოლხური მუხა	**VU**
Q. pontica	პონტოური მუხა	**VU**
Rhododendron ungernii	უნგერნის შქერი	**VU**
Staphylea colchica	კოლხური ჯონჯოლი	**VU**
Taxus baccata	უთხოვარი	**VU**
Ulmus glabra	შიშველი თელადუმა	**VU**

ცხრილი 5: ხის და ბუჩქის სახეობები მტირალას ეროვნულ პარკში, რომლებიც შეტანილია საქართველოს წითელ წიგნში. წყარო: მტირალას ეროვნული პარკის მართვის გეგმა.



ნახატი 8: ფლორის სახეობები მტირალას ეროვნულ პარკში. წყარო: საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზა.

» ფაუნა

პარკის ტერიტორიაზე არსებულ ძუძუმწოვართა შორის არის შველი (Capreolus capreolus) და გარეული ღორი (Sus scrofa); ფრინველებს შორის გვხვდება ჩია არწივი (Hieraaetus pennatus), ძერა (Milvus migrans migrans), ირაო (Pernis apivorus), ქორი (Acipiter gentilis marginatus).

მტირალას პარკში მტაცებელი ფრინველების მრავალფეროვნებაა, მათ შორის მყივანა არწივი, კაკაჩა, ქორი, მიმინო, მარჯანი, და კირკიტა. ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ჩლიქოსანთა შორის გვხვდება გარეული ღორი.

ლათინური დასახელება	ქართული დასახელება	IUCN-ის კატეგორია	ეროვნული სტატუსი
ძუძუმწოვრები			
Rhinolophus mehelyi	მეჰელის ცხვირნალა	VU	**VU***
Lynx lynx	ფოცხვერი		**CR****
Ursus arctos	მურა დათვი		**EN*****
Rupicapra rupicapra	არჩვი		**EN**
ფრინველები			
Aquila clanga	დიდი მყივანი არწივი	VU	**VU**
Aquila heliaca	ბეგობის არწივი	VU	**VU**
Falco cherrug	გავაზი	EN	**CR**
Falco vespertinus	თვალშავი		**EN**
Haliaeetus albicilla	თეთრკუდა ფსოვი		**EN**

ცხრილი 6: ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (ICUN) წითელ ნუსხაში (კატეგორიები CR, EN და VU) და საქართველოს წითელ ნუსხაში (კატეგორიები CR და EN) შეტანილი ფაუნის სახეობები, რომლებიც გვხვდება ეროვნული პარკის ტერიტორიაზე. წყარო" მტირალას ეროვნული პარკის მართვის გეგმა.







ნახატი 9: ზოგიერთი სახეობა მტირალას ეროვნულ პარკში. წყარო: საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზა.

4.2.2. არსებული ინფრასტრუქტურის და სერვისების შეფასება

მისასვლელი და ტრანსპორტი

მტირალას ეროვნული პარკი ბათუმიდან 25 კმ-ში, ხოლო ქობულეთიდან 12 კმ-ში მდებარეობს. პარკში მისვლა ჩაქვიდან შეიძლება, ხოლო მანძილი ჩაქვიდან ვიზიტორთა ცენტრამდე 15 კმ-ია (45 წუთი მანქანით).

მტირალას პარკში მისასვლელი საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა ტაქსებისა და მიკროავტობუსებისგან შედგება. ბათუმიდან ან ქობულეთიდან ჩაქვის მიმართულებით რამდენიმე მიკროავტობუსი ყოველდღიურად მოძრაობს, ჩაქვიდან კი საუკეთესო შესაძლებლობა ტაქსის დაქირავებაა ღირებულება: 30-40 ლარი).

პირდაპირი მიკროავტობუსი, რომელიც ბათუმი-ჩაქვისთავის მარშრუტით მოძრაობს, ბათუმის ავტობუსების სადგურიდან ყოველ ორშაბათს და პარასკევს 16:00-ზე გადის (ღირებულება: 3 ლარი).

გზა მტირალას ეროვნულ პარკამდე არ არის კარგ მდგომარეობაში, რაც ტურიზმის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია, რადგან მგზავრობა მეტ დროს მოითხოვს და არაკომფორტულია. ბოლო ხანს ახალი საგზაო ნიშნები განთავსდა, რამაც ორიენტირება გააადვილა; თუმცა, საჭიროა აგარიდან მისასვლელ გზის მარკირება და ჩაქვის გზაჯვარედინთან განთავსებული მთავარი ნიშნის განახლება.



ნახატი 10: ტაქსები ჩაქვში (ზემოთ მარცხენა ფოტო); ახალი საგზაო ნიშნები მტირალას ეროვნული პარკის გზაზე, გზის მდგომარეობა (ქვემოთ მარჯვენა ფოტო). წყარო: HIDRIA.

ვიზიტორთა ინფრასტრუქტურა

არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურა (რომელიც ძირითადად საერთაშორისო დონორების დაფინანსებით მოეწყო) მასპინძლობის კარგ მომსახურებას უზრუნველყოფს. მტირალას ეროვნულ პარკში რამდენიმე, კარგ მდგომარეობაში მყოფი ვიზიტორთა ინფრასტრუქტურული ობიექტია - ვიზიტორთა ცენტრი, საკემპინგე ადგილები, ტურისტული ობიექტებით მოწყობილი ბილიკები, სხვა. ქვემოთ აღწერილია არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტები:

- **ადმინისტრაციული შენობა**


მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციული შენობა მდებარეობს ჩაქვში, ხოლო ვიზიტორთა ცენტრი - სოფელ ჩაქვისთავში, რომელიც 15 კმ-ით არის ადმინისტრაციული შენობიდან დაშორებული. ეს თანამედროვე შენობაა, რამდენიმე ოთახით ადმინისტრაციის პერსონალისთვის და ერთი საკონფერენციო დარბაზით.





ცხრილი 7: მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციული შენობა ჩაქვში. წყარო: მტირალას ეროვნული პარკი.

პარკის ტერიტორიაზე ვიზიტორთა სხვა ობიექტებიც არის, რომლებსაც ამ ნაწილში უფრო დეტალურად განვიხილავთ. ქვემოთ წარმოდგენილ რუკაზე ნაჩვენებია ვიზიტორთა ობიექტები:



ნახატი 11: ვიზიტორთა ობიექტები მტირალას ეროვნულ პარკში. წყარო: HIDRIA.

» **ვიზიტორთა ცენტრი**

ვიზიტორთა ცენტრი მდებარეობს სოფელ ჩაქვისთავში. შენობას თანამედროვე აღჭურვილობა აქვს, რომელიც ნორვეგიის მთავრობამ და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისმა დააფინანსეს.

ვიზიტორთა ცენტრში არის საგამოფენო სივრცე, სადაც ვიზიტორებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ ეროვნული პარკის სპეციფიკურ მახასიათებლებს და სერვისებს. ცენტრი მოხმარებლებს განთავსების სერვისსაც სთავაზობს - 4 ორსაწოლიან ოთახს საკუთარი ტუალეტით და სამზარეულოთი.

გარდა ამისა, უკანა ეზოში არის საკემპინგე სივრცე, საპიკნიკე ადგილითა და ტუალეტებით.

სასტუმრო ოთახების მართვა სათანადოდ არ ხდება. მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ განთავსების ობიექტები სამართავად მესამე მხარეს გადასცა, მაგრამ შედეგები არადაკმაყოფილებელი იყო და 2015 წელს, განთავსების ობიექტები უფუნქციო იყო. დაცული ტერიტორიების სააგენტო გეგმავს კონცესიით გადაცემის ნაცვლად ობიექტების მართვის უფლებამოსილება პარკის ადმინისტრაციას გადასცეს; თუმცა, რეკომენდებულია თანამშრომლობა კერძო ბიზნესთან, განსაკუთრებით ადგილობრივ ბიზნესთან.



ნახატი 12: ვიზიტორთა ცენტრი ჩაქვისთავში. წყარო: HIDRIA.

ცენტრთან ახლოს მდებარეობს შენობა ბიბლიოთეკით, მაღაზიით, სამედიცინო ცენტრით და ინტერნეტკაფეთი; ამ შენობას ადგილობრივი ოჯახი მართავს (2010, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი).

ვიზიტორთა ცენტრის შესასვლელთან რამდენიმე მაჩვენებელია განთავსებული საინფორმაციო დაფის გარეშე; ეს ნიშნები განსაახლებელია. რეკომენდებულია, ერთ-ერთ ამ მაჩვენებელზე ხარისხიანი რუკის განთავსება, რომელზეც აღნიშნული იქნება სხვადასხვა მარშრუტი და მითითებული არსებული სერვისები.

» **ბილიკები**

მტირალას ეროვნულ პარკში ტურისტებისთვის 2 ბილიკია მოწყობილი. ეს ბილიკები ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის დახმარებით გაკეთდა. არსებული ბილიკები ძირითადად ლაშქრობისთვის არის განკუთვნილი, თუმცა ცივწყაროს ბილიკი ველოსიპედით გასეირნებისთვისაც არის შესაფერისი.

1. წაბლნარის ბილიკი

სიგრძე: 7 კმ (1 დღე) / ტიპი: ლაშქრობა / სირთულე: ადვილი

ბილიკი იწყება ვიზიტორთა ცენტრიდან და მიუყვება მდინარე ჩაქვისწყლის ხეობას, რომლის გადაკვეთა საბაგირო გზით ხდება, რაც კიდევ ერთი ადგილობრივი ღირსშესანიშნაობაა. ეს ბილიკი საგანმანათლებლო და გასართობი მიზნებისთვის მოეწყო. ბილიკის გასწვრივ განთავსებულია რამდენიმე განმარტებითი დაფა, თუმცა ისინი შეკეთებას საჭიროებს.

ამ ბილიკის ღირშესანიშნაობებს შორისაა 15 მეტრიანი ჩანჩქერი და პატარა ზომის ტბა. ბილიკი ასევე გადის იმ უბანზე, სადაც ზიპლაინია მოწყობილი.

ბილიკს აქვს საკემპინგე სივრცე და მოწყობილია საპიკნიკე და კოცონის ადგილები.



ნახატი 13: წაბლნარის ბილიკის მთავარი ღირსშესანიშნაობები. წყარო: HIDRIA.

ეს ბილიკი ვიზიტორებს შორის ძალიან პოპულარულია, განსაკუთრებით, საბაგირო გზის და ზიპლაინის გამო. მას მკაფიო საგანმანათლებლო და რეკრეაციული მიზანი აქვს და რაიმე მნიშვნელოვან გაუმჯობესებას არ საჭიროებს.

2. ცივწყაროს წრიული ბილიკი.

სიგრძე: 15 კმ (2 დღე) / ტიპი: ლაშქრობა, ცხენით გასეირნება / სირთულე: რთული

ეს ორდღიანი ბილიკი იწყება ვიზიტორთა ცენტრიდან, ზღვის დონიდან 260 მეტრის სიმაღლეზე და მთავრდება ზღვის დონიდან 1,250 მეტრის სიმაღლეზე. ბილიკის დასაწყისი ფართოფოთლოვანი შერეული კოლხური ტყეებია, ხოლო მის ბოლოს ტყეების 70% წიფლის ხეებისგან შედგება. მცენარეული საფარის გარდა ვიზიტორებმა შეიძლება ისეთი ცხოველების ნაკვალევიც შენიშნონ, როგორებიცაა მურა დათვი, შველი, კვერნა, მაჩვი, არჩვი და სხვა.

ტურისტული თავშესაფრიდან ბილიკი ხელუხლებელ წიფლნარებს მიუყვება, სადაც ვიზიტორებს ახლომდებარე წყაროების და საპიკნიკე ადგილების გამოყენება შეუძლიათ. ეს მარშრუტი ფლორასა და ფაუნაზე სამეცნიერო დაკვირვებისთვისაც გამოიყენება.

საინფორმაციო წყაროების მიხედვით, ეს ბილიკი კარგ მდგომარეობაში, თუმცა გასაუმჯობესებელია მარკირება, რათა ვიზიტორები არ დაიბნენ და მათი უსაფრთხოება

უზრუნველყოფილი იყოს. ბილიკი გარკვეულ ფიზიკური მომზადებას საჭიროებს, რადგან მნიშვნელოვან სიმაღლეზე ადის.

ამ ბილიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტი არის ტურისტთა თავშესაფარი, რომელიც ბილიკის დასაწყისიდან 9 კმ-ში მდებარეობს. ამ თავშესაფარში 2 ოთახია 8 ადამიანისთვის და ის აღჭურვილი ტუალეტით და ცხელი წყლის შხაპით. მზის ენერგიაზე მომუშავე სისტემა უზრუნველყოფს ელექტროენერგიას (ასევე არის ბატარეია).



ნახატი 14: ცივწყაროს ბილიკის მთავარი ღირსშესანიშნაობები. წყარო: მტირალას ეროვნული პარკი.

3. საწყლოსნო ბილიკი კანოეინგისთვის

სიგრძე: 700 მეტრი

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პროექტის ფარგლებში ასევე მოეწყო კანოეთი გასასეირნებელი მარშრუტი, რომელზეც შეიძლება მოგზაურობა კანიონების გავლით და ჩანჩქერებზე დაშვება სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით. მტირალას პარკში კანოეინგისთვის განკუთვნილი ადგილები დაახლოებით 700 მეტრის სიგრძისაა. რეინჯერებს პროფესიული ტრენინგი ჩაუტარდათ ამ აქტივობის სამართავად, თუმცა, ეს სერვისი არ დანერგილა.

- **რეინჯერის სახლი**

მტირალას ეროვნული პარკის საზღვრებთან დგას რეინჯერის სახლი. ეს შენობა კარგ მდგომარეობაშია, თუმცა, თითქმის ყოველთვის დაკეტილია. ამ შენობას ტურისტული მიზნებით გამოყენების დიდი პოტენციალი აქვს, განსაკუთრებით ვიზიტორებისთვის ინფორმაციის მიწოდების ანდა ადგილობრივი პროდუქტების მაღაზიად გამოყენების კუთხით.

» **ფრინველებზე სათვალთვალო კოშკი**

2015 წელს ყოროლისთავში ფრინველებზე სათვალთვალო კოშკი აშენდა. ეს ახლად აშენებული ინფრასტრუქტურა ორსართულიანი ხის კოშკია მოწყობილი სკამებითა და მაგიდებით. კოშკიდან მთების სასიამოვნო ხედია და ის ფრინველებზე დაკვირვების პრივილეგირებული ადგილია.



ნახატი 15: რეინჯერის სახლი და ფრინველებზე სათვალთვალო კოშკი მტირალას ეროვნულ პარკში. წყარო: HIDRIA.

4.2.3. რეკრეციული აქტივობები ღია ცის ქვეშ

მტირალას ეროვნული პარკი ვიზიტორებს რეკრეაციული აქტივობების ფართო სპექტრს სთავაზობს, თუმცა ზოგი ეს აქტივობა არ ხორციელდება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოკლედ არის წარმოდგენილი არსებული რეკრეაციული აქტივობები:

რეკრეციული აქტივობები ღია ცის ქვეშ				
აქტივობა	მდებარეობა	აღწერა	დადებითი ასპექტები	შენიშვნები
ლაშქრობა	ჩაქვისთავი	ლაშქრობა ყველაზე გავრცელებული აქტივობაა. როგორც უკვე აღინიშნა, პარკში მოწყობილია 2 ბილიკია, რომლებიც კარგ მდგომარეობაშია.	ბილიკები შესაფერისია სხვადასხვა ტიპის საბაზრო სეგმენტისთვის; წაბლნარის ბილიკი მარტივია და ყველა ტიპის ვიზიტორისთვის არის შესაფერისი, ცივწყაროს ბილიკი კი გარკვეულ ფიზიკურ მომზადებას საჭიროებს.	ტერიტორიაზე შესაძლებელია დამატებითი სალაშქრო მარშრუტების განვითარება არის.
ცხენით გასეირნება	ჩაქვისთავი	ცხენით გასეირნება შესაძლებელია ცივწყაროს ბილიკზე.	ხელს უწყობს ადგილობრივ ეკონომიკას.	არ არის ყოველთვის ხელმისაწვდომი. ადგილობრივი პროვაიდერი ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს ცხენებს. ადგილობრივებს ხელი უნდა შეეწყოთ, რომ უზრუნველყონ ცხენები.
ზიპლაინი	ჩაქვისთავი	ყველაზე პოპულარული აქტივობაა. ზიპლაინი გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პროექტის ფარგლებში მოეწყო და ძალიან პოპულარული გახდა.	პარკის შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა. ვიზიტორთა დიდ რაოდენობას იზიდავს.	ბილიკი მოკლეა და საინტერესო იქნებოდა მისი გაგრძელება.

ბერდვოჩინგი	ყოროლისთავი	მტირალას პარკი არაჩვეულებრივი ადგილია ფრინველებზე თვალთვალისთვის. ეს ადგილი მნიშვნელოვანი სამიგრაციო ძაბრია (ბათუმის სამიგრაციო ძაბრი) გაზაფხულსა და შემოდგომაზე. ამ დერეფნის გავლით ყოველწლიურად 1,000,000-ზე მეტი მტაცებელი ფრინველი მიგრირებს, რაც მტაცებელი ფრინველების ყველაზე დიდი რაოდენობაა მსოფლიოში.	ფრინველებზე სათვალთვალო კოშკი ცოტა ხნის წინ აშენდა ყოროლისთავთან. ადგილობრივი არასამთავრობოები და ეკოტურიზმის ფირმები პოპულარიზებას უწევენ ბერდვოჩინგს ამ ტერიტორიაზე.	საჭიროა ამ აქტივობის შემდგომი გაფართოება და პოპულარიზება. ბერდვოჩინგს დიდი პოტენციალი აქვს აჭარაში და მნიშვნელოვანია ეკონომიკური აქტივობისთვის.
კანოეინგი	ჩაქვისთავი	კანოეინგის მარშრუტი გაეროს მსოფლიო ტურისზმის ორგანიზაციის პროექტის ფარგლებში მოეწყო, თუმცა ეს აქტივობა სათანადოდ არ ხორციელდება. თანამშრომლების თქმით, ამ აქტივობის განსახორციელებლად არა აქვთ შესაბამისი მასალა.	ეს მიმზიდველი აქტივობაა შედარებით ხანგრძლივი დროით მოგზაური ეკოტურისტებისთვის.	ამჟამად, ეს არ არის განვითარებული. რეინჯერების თქმით, არ არის საჭირო აღჭურვილობა.

პარკის აქტივობების და ინფრასტრუქტურის უმეტესობა ჩაქვისთავის გარშემოა კონცენტრირებული, მაგრამ ამ ეტაპზე ეს პრობლემას არ ქმნის; ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, ამან შესაძლოა სოციალური პრობლემები წარმოშვას გრძელვადიან პერსპექტივაში.

უნდა ჩატარდეს ტერიტორიის გამტარუნარიანობის შესწავლა, განსაკუთრებით წაბლნარის ბილიკის ირგვლის არსებული უბნის. უნდა შეიქმნას ახალი უბნები და აქტივობები ჩაქვისთავის გარეთ, რათა შემცირდეს ტურიზმიდან გამომდინარე სოციალური და ეკოლოგიური ზეწოლები.

4.2.4. გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო პროგრამების/მოხალისეობის პროგრამების აღწერა და შეფასება.

მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია ეკოსაგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს, რომლის რამდენიმე აქტივობის მიზანია ახალგაზრდების და ზრდასრულების ცნობიერების ამაღლება პარკის ღირებულებების შესახებ და ეროვნული პარკის დაარსების მიზნის ახსნა.

ეს აქტივობებია:

ა) ეკოსაგანმანათლებლო ლექციები და სემინარები საჯარო სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში. რამდენიმე აქტივობა მწვანე კალენდრის მიხედვით არის ორგანიზებული.

ბ) შეხვედრები ეროვნული პარკის მახლობლად მცხოვრებ მოსახლეობასთან.

გ) ეკოტურების და ეკობანაკების ორგანიზება სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის და ახალგაზრდების სხვა ჯგუფებისთვის (ეს რესურსების მართვის სპეციალისტების პასუხისმგებლობაში შედის).

დ) დასუფთავების აქციები.


ე) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო დღეების აღნიშვნა. ასეთ დღეებს შორის არის: ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღე, გარემოს საერთაშორისო დღე, ცხოველთა დაცვის საერთაშორისო დღე, მთის საერთაშორისო დღე, დედამიწის დღე, სხვა. ასეთი ზეიმების დროს სტუდენტებისთვის და ახალგაზრდა რეინჯერებისთვის ეწყობა სემინარები შესაბამის თემებზე.



ნახატი 16: მტირალას ეროვნული პარკის მიერ მოწყობილი ეკოსაგანმანათლებლო აქტივობები. წყარო: მტირალას ეროვნული პარკი.

4.3. დამხმარე ზონის აღწერა.

4.3.1. მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონის კულტურული რესურსები.




ნახატი 17: მთავარი ბუნებრივი და კულტურული რესურსების მდებარეობა მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში. წყარო: HIDRIA.

მტირალას ეროვნული პარკის ახლოს, ანუ ქობულეთის, ხელვაჩაურის და ქედის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, ვიზიტორებს შეუძლიათ ნახონ ძველი ნასახლარები, ეკლესიები, ციხე-სიმაგრეები, სამარხები და მსხვერპლთშეწირვის ადგილები, ძველი ხიდები, ლითონის და კერამიკის ნაკეთობები და მიტოვებული სარწყავი არხები.

ადრეული და გვიანი შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეებისა და ხიდების ნანგრევები მტირალას მთის (ან ცისკარას) მიმდებარე ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვან ძეგლებს შორისაა მე-13 საუკუნის სხალთის დარბაზული ტიპის ეკლესია, ხიხანის, გონიოს და პეტრას ციხეები.

*შენიშვნები: *მდებარეობს ეროვნული პარკის ტერიტორიაზე; **მდებარეობს ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში; *** მდებარეობს დამხმარე ზონის მიღმა, ხელვაჩაურის, ხულოს მუნიციპალიტეტებში.*

ციხე-სიმაგრეები		
დასახელება/ადგილმდებარეობა	**აღწერა**	**სურათი**

გონიო-აფსაროსის ციხე*** სოფელი გონიო, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	სოფელ გონიოში მდებარეობს არაჩვეულებრივი გონიო-აფსაროსის ციხე-ქალაქი (სოფელი გონიო, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი). მიჩნეულია, რომ კოლხური ბრინჯაოს კულტურა ამ რეგიონში აღმოცენდა. აქ აღმოჩენილი იქნა უმშვენიერესი ნაკეთობები, რომელთა შორისაა ახალგაზრდა ბიჭის ქანდაკება, სამაჯურები, მედალიონი რომელზეც მუზაა ამოტვიფრული და ბევრი სხვა. გონიოს ციხე, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან ჩვენი წელთაღრიცხვის IX საუკუნემდე ფუნქციონირებდა, მდებარეობს მდინარე ჭოროხიდან 1 კმ-ში და ზღვის სანაპიროდან 800 მეტრში. ციხის სიგრძე 228 მეტრია, სიგანე – 195 მეტრი. მისი ტერიტორია 44.5 კვადრატულ მეტრს შეადგენს.	 წყარო: გოუბათუმი
ბათუმის ციხე (თამარის ციხე) [3]***** ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	ბათუმის ციხე მდინარე ყოროლისწყლის ნაპირთან მდებარეობს. VIII საუკუნით დათარიღებული ბათუმის ციხე ციხე-სიმაგრეების იმ ჯაჭვის შემადგენელი რგოლია, რომელიც დასავლეთ საქართველოში გვიან რომაულ-ადრეულ ბიზანტიურ ეპოქაში აშენდა და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ბიზანტია-სპარსეთის ომის დროს, რომელიც რეგიონში გაბატონებისთვის მიმდინარეობდა. დადასტურებულია, რომ ბორცვი, რომელზეც ციხის ნანგრევებია შემორჩენილი, უძველესია ბათუმის ტერიტორიაზე აღმოჩენილ დასახლებებს შორის.	 Source: www.limenproject.net

[3] http://www.limenproject.net/

პეტრა-ციხისძირი ციხე-ქალაქი *** ციხისძირი	ციხე-ქალაქი პეტრა-ციხისძირი ქობულეთიდან 5 კმ-ში მდებარეობს. მისი სტრატეგიული მდებარეობის გამო პეტრამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა VI საუკუნეში ლაზიკაში გაბატონებისთვის დაწყებული ბიზანტია-სპარსეთის ომის დროს. აკროპოლისთან ახლოს აღმოჩენილია ნამოსახლარი, რომელიც მოიცავს გვიანი ბრინჯაოს, ადრეული რკინის, ანტიკური, ელინისტური და ადრეული ბიზანტიის ხანების კულტურულ ფენებს.	 წყარო: www.limenproject.net
ხიხანის ციხე *** სოფელი ხიხაძირი, ხულოს მუნიციპალიტეტი	ხიხანის ციხე ჩვენი წელთაღრიცხვის XIII საუკუნეში აშენდა. ციხეს, რომელიც სამი მხრიდან იყო მიუდგომელი, სტრატეგიული ადგილმდებარეობა ჰქონდა და მან თავდაცვითი ფუნქცია 700 წლის განმავლობაში შეინარჩუნა. გადმოცემის თანახმად, ამ ადგილზე თავდაპირველად ეკლესია იდგა (წმინდა გიორგის ეკლესია), რომელიც 1230 წელს იყო აშენებული.	
საღორეთი* სოფელი პირველი მაისი (ყოფილი სოფელი საღორეთი)	საფორტიფიკაციო ნაგებობა აჭარისწყლის მარჯვენა სანაპიროზე. ეს ციხე კლდეზეა აგებული და 200 კვადრატული მეტრის ფართობი უკავია. ციხე დაზიანებულია, შემორჩენილია მხოლოდ გალავნის კედლის ერთი ნაწილი და კოშკზე მინაშენის ნანგრევი. ციხე XIV-XV საუკუნეებით თარიღდება.	

რელიგიური ნაგებობები		
დასახელება/ადგილმდებარეობა	**აღწერა**	**სურათი**

სხალთის ტაძარი (XII ს.) სხალთა	სხალთის ტაძარი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მონასტერი და საკათედრო ტაძარია ხულოს მუნიციპალიტეტში; ის XIII საუკუნის შუა პერიოდით თარიღდება. ეს არის დიდი, დარბაზოვანი ტიპის ეკლესია, XIV და XV საუკუნეების ბიზანტიური სტილის კედლის მხატვრობის ფრაგმენტებით.	
წმინდა გიორგის ეკლესია სოფელი ჩაქვი	დღემდე შემორჩენილი ერთ-ერთი გასაოცარი ძეგლია წმინდა გიორგის ეკლესია ჩაქვში. ის XIII- XIV საუკუნეების ძეგლად მიიჩნევა და მასში ფრესკებია შემორჩენილი.	სურათი ვერ მოვიძიეთ

მატერიალური კულტურის ძეგლები და ისტორიული ნაგებობები		
დასახელება/ადგილმდებარეობა	**აღწერა**	**სურათი**
ღვინის საწნახელი სოფელი ზენითი	კიდევ ერთი საინტერესო ძეგლია ქვის საწახელი სოფელ ზენითში, მტირალას პარკის მახლობლად, რომელიც ელინისტური პერიოდის ძეგლია და ჩვენ წელთაღრიცხვამდე III საუკუნით თარიღდება. ეს არის 8 მეტრი სიგრძის და 3 მეტრი სიგანის მონოლითური კონუსის ფორმის სტრუქტურა, რომელშიც ბერკეტები და წნეხი თავსდებოდა. ზენითის საწნახელს დიდი მოცულობა ჰქონდა, რაც რეგიონში მევენახეობის და ღვინის წარმოების უძველესი კულტურის დასტურია. ჩაქვისწყლის ხეობაში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას ასევე ადასტურებს უძველესი ღვინის სარდაფების ნარჩენები იმ	 წყარო: აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო.


	რეგიონის თითქმის ყველა სოფელში.	
ბეგის სახლი* სოფელი ჩაქვისთავი	უძველესი არქიტექტურის ნიმუში, რომელიც გამოირჩევა კვერცხის ცილით აშენებული კედლებით.	
საბჭოთა სამხედრო ბაზა მტირალას მთა, ყოროლისთავთან ახლოს	საჰაერო-სამხედრო თავდაცვის ბაზის (რადიო ლოკატორი და სხვა ნაგებობები) ნარჩენებია მტირალას მთის მწვერვალზე და მის სიახლოვეს, რომელსაც რუსი ჯარისკაცები სამხედრო დანიშნულებით იყენებდნენ. ესეც საბჭოთა პერიოდის ისტორიის ნაწილია, რომელიც რუსების მიერ საქართველოს ოკუპაციის მაჩვენებელია.	

ლეგენდის თანახმად, სოფელი ჩაქვისთავი VII-VIII საუკუნეებში ოთხმა ძმამ დააარსა, რომლებიც მეზობელი გურიის რეგიონიდან მკვლელობაში მონაწილეობის გამო გამოიქცნენ. იმ დროს ადგილი, სადაც ჩაქვისთავი დაარსდა, არავინ იცოდა: ის შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან დატბორილი დაბლობებით და გაუვალი ბამბუკის ტყეებით იყო მოწყვეტილი და იქ მისვლა მხოლოდ კინტრიშიდან რთული ბილიკით, ტყით დაფარული მთის ქედის გავლით იყო შესაძლებელი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მდინარე ჩაქვის ქვედა წელში მოთევზავე რამდენიმე ადამიანმა შეამჩნია მოჭრილი ხეები, რომლებიც აშკარად ადამიანის ხელით იყო მოჭრილი, ხმა გავრცელდა, რომ მდინარის სათავეში სოფელი იყო.

სოფლის ოთხმა დამფუძნებელმა ახლომდებარე სოფლებიდან მოიყვანა ცოლები, სავარაუდოდ ტრადიციული, მოტაცების გზით. ასე ჩამოყალიბდა მომდევნო საუკუნეების განმავლობაში ენერგიული თემი. 1870-იან წლებში, რეგიონში ოსმალეთის ბატონობის პერიოდის დასასრულისთვის, ამ სოფელში 650 ოჯახი ცხოვრობდა, მაგრამ აჭარაში ჩაის პლანტაციების განვითარებამ სოფლის მოსახლეობის ზღვის სანაპიროსკენ მიგრაცია გამოიწვია და სოფელში დაღმასვლა დაიწყო.

4.3.2. დამხმარე ზონის ბიზნესის ანალიზი: განთავსება, რესტორნები, მაღაზიები.

მტირალას ეროვნული პარკის მიდამოებში ტურიზმთან დაკავშირებული შვიდი ბიზნესია, რომლებიც ადგილობრივებს და ვიზიტორებს სერვისებს სთავაზობენ:



ნახატი 18: მასპინძლობის ბიზნესი მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში. წყარო: HIDRIA.

განთავსება

მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში განთავსების არსებული სერვისი ჩაქვისთავშია კონცენტრირებული. განთავსების არსებული შემოთავაზება საოჯახო სასტუმროებითა და ერთი სასტუმროთია წარმოდგენილი. ზოგი საოჯახო სასტუმრო, რომელმაც უკვე გარკვეული გამოცდილება დააგროვა, ტურიზმიდან დიდ სარგებელს იღებს და ბიზნესსაც აფართოებს. სხვა საოჯახო სასტუმროები შედარებით ახალი გახსნილია და მათ ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი ეხმარება.

საოჯახო სასტუმროებში არ არის ინტერნეტკავშირი; ისინი არანაირ მარკეტინგულ აქტივობებს არ ახორციელებენ. ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტმა განათავსა სხვადასხვა საოჯახო სასტუმროს მიმართულების მაჩვენებელი ნიშნები; ის თავის ვებგვერდზე უწევს პოპულარიზებას ამ საოჯახო სასტუმროებს (www.gobatumi.com) და ხელს უწყობს დაჯავშნის პროცესს. პოპულარიზების ძირითადი ინსტრუმენტი

ინფორმაციის ზეპირსიტყვიერი გავრცელებაა და ზოგიერთი საოჯახო სასტუმრო სრულად არის დატვირთული ტურისტული სეზონის დროს.

საოჯახო სასტუმროების ხარისხი განსხვავებულია; წარმატების მისაღწევად ყველა სასტუმრო საერთო სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს. საოჯახო სასტუმროს ზოგი პროვაიდერი ითხოვს უფრო ინტესიურ და სპეცუფიკურ ტრენინგებს მომხმარებლის მომსახურებასთან, ენებთან და მართვასთან დაკავშირებულ საკითხებში. სასტუმრო „შოკა და ლეო“ უფრო პროფესიონალურად ეკიდება განთავსების ბიზნესს. საშუალო დონის განთავსებასთან ერთად ის მომხმარებლებს ტურებსაც სთავაზობს. ამ სასტუმრომ უკვე რამდენიმე ადგილობრივი დაასაქმა და სარეკლამო ბროშურები დაამზადა. სასტუმრო განთავსების სხვა ვარიანტების, მაგალითად, კემპინგის განვითარებასაც გეგმავს.

ტურისტული მოთხოვნის ზრდასთან ერთად, იგეგმება ახალი ობიექტების - მანქანების პარკინგის ან კვების ობიექტების მოწყობაც.

განთავსების პროვაიდერების ადგილმდებარეობის რუკა მოცემულია **დანართში 2 - რუკები**.

ზია/გელა კონცელიძის საოჯახო სასტუმრო	
მდებარეობა: ჩაქვისთავი	
აღწერა: საოჯახო სასტუმროში არის 4 ორსაწოლიანი ოთახი და 2 სააბაზანო. საშუალო ფასია 50-60 ლარი დღეში, სამჯერადი კვების ჩათვლით. სასტუმრო იღებს საკმაოდ ბევრ ვიზიტორს გერმანიიდან, პოლონეთიდან, უკრაინიდან და ნორვეგიიდან. ის ხშირად გადატვირთულია. სასტუმრო დამატებით აშენებს 5 კოტეჯს და ტუალეტებს. მალე ინტერნეტიც იქნება ხელმისაწვდომი.	
საკონტაქტო ინფორმაცია: ზია კონცელიძე ტელ: +995 557 65 17 64/ 555 55 91 22	

გურამ კონცელიძის საოჯახო სასტუმრო

მდებარეობა:
ჩაქვისთავი

აღწერა:
ამ საოჯახო სასტუმროს 4 ადამიანის განთავსება შეუძლია (2 ოთახში). ის გარემონტდა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის დახმარებით. საშუალო ფასია 35 ლარი დღეში, სამჯერადი კვების ჩათვლით (ტრადიციული ქართული სამზარეულო). სასტუმროში უმეტესად ადგილობრივი ტურისტები ჩერდებიან.

საკონტაქტო ინფორმაცია:
გურამ კონცელიძე
ტელ: +995 558 46 68 28



ეთერ კონცელიძის საოჯახო სასტუმრო

მდებარეობა:
ჩაქვისთავი

აღწერა:
საშუალო ფასი 50 ლარი დღეში, სამჯერადი კვების ჩათვლით.

საკონტაქტო ინფორმაცია:
ეთერ კონცელიძე
ტელ: +995 558 71 90 06



მერი ბარამიძის საოჯახო სასტუმრო

მდებარეობა:
ჩაქვისთავი

აღწერა:
ამ საოჯახო სასტუმროს 4 ადამიანის განთავსება შეუძლია.
საშუალო ფასია 50 ლარი დღეში, სამჯერადი კვების ჩათვლით.

საკონტაქტო ინფორმაცია:
მერი ბარამიძე
ტელ: +995 577 46 99 44



სასტუმრო „შოკა და ლეო“	
მდებარეობა: ჩაქვისთავი	
აღწერა: სასტუმროს აქვს 5 ორსაწოლიანი ოთახი საკუთარი სააბაზანოებით და ტუალეტებით. სტუმრებს ასევე სთავაზობენ კვებას (სტრადიციული აჭარული კერძები). საშუალო ფასია 70 ლარი დღეში (2 ადამიანისთვის)/ 100 ლარი (3 ადამიანისთვის), საუზმის ჩათვლით. სასტუმრო რეგისტრირებულია booking.com-ზე და ხშირად გადატვირთულია. სასტუმრო სტუმრებს სთავაზობს ტურისტულ აქტივობებს, როგორებიცაა ცხენით და ველოსიპედით გასეირნება.	
საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: +995 593 35 84 35 // 577 55 94 29	

ჩაქვისთავში მოქმედი საოჯახო სასტუმროების გარდა განთავსების სერვისის განვითარების პოტენციალი სხვა დასახლებებსაც აქვს. მაგალითად, სოფელ აგარაში ზოგი ადგილობრივი მზად არის, ვიზიტორებს განთავსების სერვისი შესთავაზოს.

რესტორნები

რესტორნების რაოდენობა ძალიან ცოტაა. ჩაქვისთავში მხოლოდ 2 რესტორანია - რესტორანი „ჩაქვისთავი“ (რომელიც ტურისტულ სეზონზე ფუნქციონირებს) და „შოკა და ლეო“. არის შესაძლებლობა, განვითარდეს დამატებითი კვების ობიექტები ან ოჯახებმა ვიზიტორებს შესთავაზონ კონტეინერებით წასაღები კერძები (თეიქევეი/ლანჩ-ბოქსები). უკვ დაგეგმილია კვების ზოგი სერვისის განვითარება.

რესტორანი „ჩაქვისთავი“	
მდებარეობა: ჩაქვისთავი	
აღწერა: ადგილობრივი ოჯახის რესტორანი, რომელიც ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის/ნორვეგიის მთავრობის ფინანსური დახმარებით შეიქმნა.	
საკონტაქტო ინფორმაცია:	

ჯეირან კონცელიძე ტელ: +995 59300 93 32; 557 74 53 80	

მაღაზიები

სოფელ ჩაქვში, მტირალას პარკის ადმინისტრაციის შენობასთან ახლოს არის თაფლის სახლი „ნობათი“. ეს თაფლის სახლი გახსნა არასამთავრობო ორგანიზაციამ „მთა და ბარი“ (ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის/ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში). მაღაზიაში იყიდება ადგილობრივი წარმოების თაფლი, რაც ხელს უწყობს ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზებას.

ასევე, ერთ ოჯახს მცირე ზომის სივრცე აქვს, სადაც თაფლი და არაყი იყიდება. ცოტა ხნის წინ ჩაქვისთავში პატარა ბაზარი გაიხსნა. სოფელ ხალაში პატარა მაღაზიაა, რომელიც მოგზაურებს მარტივ საკვებს სთავაზობს.

ჩაქვისთაველებს ფუტკრის სკები გადასცეს. ერთ-ერთ მათგანს სკების სახელოსნო, ხოლო მეორეს სკაში ჩასადგმელი ჩარჩოების სახელოსნო აქვს (დონორი: ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი, 2010).





ნახატი 19: თაფლის სახლი ჩაქვში. წყარო: HIDRIA.

4.4. ტურიზმზე მოთხოვნის ანალიზი

4.4.1. არსებული მოთხოვნა ტურიზმზე

აჭარის დაცულ ტერიტორიებს შორის ყველაზე მეტი ვიზიტორიმ ტირალას ეროვნულ პარკს ჰყავს. ტურიზმის მონაცემებით ვიზიტორთა რაოდენობა იზრდებოდა, განსაკუთრებით 2013 წლიდან 2014-მდე პერიოდში. 2015 წელს ვიზიტორთა მთლიანმა რაოდენობამ 21,981 შეადგინა, რაც 2013 წელთან შედარებით 4%-იანი კლებაა.


თვე	2013	2014	2015	2015 (ქართველი)	2015 (უცხოელი)
იანვარი	162	84	186	215	24
თებერვალი	315	259	247	162	37
მარტი	276	427	463	396	67
აპრილი	862	882	822	659	163
მაისი	2.101	2.153	1.823	1.502	321
ივნისი	2.899	3.112	2.035	1.367	668
ივლისი	2.492	4.599	4.632	2.708	1.924
აგვისტო	3.263	6.871	7.004	4.523	2.481
სექტემბერი	2.206	2.786	3.054	1.965	1.084
ოქტომბერი	957	969	725	559	166
ნოემბერი	704	639	659	529	130
დეკემბერი	216	187	331	275	56
სულ (წელი)	**16.453**	**22.968**	**21.981**	**14.860**	**7.121**

ცხრილი 8: ვიზიტორთა რაოდენობა მტირალას ეროვნულ პარკში. წყარო: მტირალას ეროვნული პარკი.

თვეების მიხედვით ვიზიტორთა რაოდენობის ანალიზი პარკის მონახულების სეზონურობას აჩვენებს. „ტურისტული სეზონი“ მაისიდან სექტემბრამდე გრძელდება, აგვისტო კი ყველაზე დატვირთული თვეა (7,004 ვიზიტორი 2015 წელს).

სეზონურობა კლიმატურ პირობებს უკავშირდება. აჭარის რეგიონი პოპულარული საზაფხულო ტურისტული ადგილია ქართველებისა და მეზობელი ქვეყნებისთვის.

არსებული სტატისტიკის მიხედვით. 2015 წელს ვიზიტორთა 68% ადგილობრივი იყო, ხოლო 32% უცხოელი. მტირალას უცხოელი ვიზიტორების დიდ წილს მეზობელი ქვეყნების მოქალაქეები შეადგენენ, როგორებიცაა უკრაინა და რუსეთი. ქვემოთ მოცემულ ნახატზე წარმოდგენილია ყველაზე მსხვილი საერთაშორისო ბაზრები.



ნახატი 20: უცხოელი ვიზიტორები მათი წარმომავლობის მიხედვით, 2015 წელი. წყარო: მტირალას ეროვნული პარკი.


აზერბაიჯანი; რუსეთი; უკრაინა; სომხეთი; ბელარუსი; პოლონეთი; გერამნია; თურქეთი; სხვა ქვეყნები.

ტურისტული სერვისებიდან და აქტივობებიდან მიღებული ეკონომიკური შემოსავალი 8,014 ლარი იყო 2015 წელს, რაც 2014 წელს მიღებული შემოსავლების ტოლია (8,017 ლარი).

შემოსავლების უდიდესი წილი განთავსების სერვისზე (საპიკნიკე ადგილები, საძილე ტომრების გაქირავება, ოთახების გაქირავება) და გარე რეკრეაციულ აქტივობებზე მოდის.

მართალია, პარკი რეკლამას უწევს ისეთ დამატებით აქტივობებს, როგორებიცაა კანოეინგი და ცხენით გასეირნება, ამ აქტივობებს შემოსავალი არ მოაქვს. ქვემოთ

მოცემულ ნახატზე შედარებულია 2014 და 2015 წლების შემოსავლები. ჩანს, რომ ზიპლაინს ყველაზე მეტი შემოსავალი მოაქვს პარკისთვის. ამის საპირისპიროდ, სასტუმრო ოთახებს (განთავსების სერვისი ვიზიტორთა თავშესაფარში), მათი არასწორი მართვის გამო, არანაირი შემოსავალი არ მოუტანია 2015 წელს.



ნახატი 21: ეკონომიკური შემოსავალი ტურისტული აქტივობებიდან 2014-2015 წლებში (ლარი). წყარო: მტირალას ეროვნული პარკი.

სუვენირები; ზიპლაინი; საძილე ტომრების გაქირავება; ბანაკები; საბანაკე ადგილები; საპიკნიკე ადგილები; თავშესაფარი; სასტუმრო ოთახი.

4.4.2. ეკონომიკური სარგებელი ადგილობრივი თემებისთვის

მტირალას პარკში ტურიზმის განვითარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პარკის მახლობლად, განსაკუთრებით, ჩაქვისთავში მცხოვრები თემების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ბოლოდროინდელი კვლევის თანახმად, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის/ გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის პროექტის „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა“ ფარგლებში მალხაზ ადეიშვილმა ჩაატარა, მტირალას ეროვნული პარკის დაარსებამ ბევრი სიკეთე მოუტანა ადგილობრივ თემს, მათ შორის: ელექტროენერგიით მომარაგება, მობილური სატელეფონო კავშირი და რაც მთავარია, ტურიზმთან დაკავშირებული ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების გაჩენა.

როგორც აღინიშნა, რამდენიმე ოჯახი ჩართულია ტურისტულ აქტივობებში, რამაც გარკვეული პოზიტიური შედეგი მოიტანა - შემცირდა ჩაქვისთავიდან მიგრაცია, ხოლო ზოგი ოჯახი ბრუნდება კიდეც.

მალხაზ ადეიშვილმა ასევე გაიანგარიშა სხვადასხვა ეკოსისტემური სერვისის ღირებულება (ლარში), რომლებითაც ეროვნული პარკი ადგილობრივ ოჯახებს უზრუნველყოფს. ამ გაანგარიშებების მიხედვით, ტურისტული აქტივობების მთლიანმა ეკონომიკურმა ღირებულებამ 1,244,655 ლარი[4] შეადგენა, საიდანაც მინიმუმ 13-მა ოჯახმა, ტაქსის მძღოლებმა და ტურისტულმა აგენტებმა სარგებელი მიიღეს.

ამ ციფრით დასტურდება, რომ ტურიზმს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ კეთილდღეობაში; შესაბამისად, ძალისხმევა უნდა გაგრძელდეს, რომ ეს სიკეთეები სხვა ჯგუფებს და თემებსაც მისწვდეს.

4.4.3. მომხარებლის ქცევის განმსაზღვრელი მარკეტინგული ტენდენციები და გავლენები.

ბოლო ათწლეულებში ტურიზმის ინდუსტრია მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის მონახულების მოდელების და ვიზიტორთა ქცევის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია არსებული და მომავალი ტენდენციების იდენტიფიცირება, რომ ტურისტული შეთავაზება ვიზიტორთა მოთხოვნას შეესაბამებოდეს.

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით, 2004 წელს ეკოტურიზმი სამჯერ უფრო სწრაფად იზრდებოდა ვიდრე ტურიზმის მთელი გლობალური ინდუსტრია. ეს ტენდენცია ბოლო წლებშიც შენარჩუნებულია, რაც მომხმარებლებისთვის ეკოტურიზმის მიმზიდველობას ადასტურებს. ბაზრის ეს წილი მომდევნო წლებშიც გაიზრდება.

სამიზნე ტურისტული ჯგუფების უმეტესობას მეტი ეკოლოგიური ცოდნა აქვს. ამ ტენდენციას შემდეგი ფაქტორებიც განსაზღვრავს: ა) ტურისტებს აღელვებთ პირადი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა; ბ) აინტერესებთ, შეიტყონ მეტი იმ ადგილის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, რომელსაც სტუმრობენ; გ) განათლების მაღალ დონეს მეტი საგანმანათლებლო აქტივობები (ღია ცის ქვეშ) განაპირობებს.

---

[4] *აჭარის დაცული ტერიტორიების ეკოსისტემური სერვისების ღირებულების და სარგებლის შეფასება. სამიზნე დაცულ ტერიტორიებზე საველე კვლევები და შეფასება.* მალხაზ ადეიშვილი, პროექტი, 2015 წლის ნოემბერი.

მდგრადი ტურიზმისა და ეკოტურიზმისადმი ინტერესის მატება საზოგადოების მზარდ შეშფოთებას ასახავს ბუნებრივი გარემოს ხარისხის და ტურიზმის ზემოქმედების თაობაზე. დადგენილია, რომ ბუნებაზე ორიენტირებული ტურიზმი და ეკოტურიზმი აძლიერებს ტურიზმის ინდუსტრიის რეპუტაციას, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ტურიზმი პატივისცემით ეკიდება ბუნებრივ მემკვიდრეობას და ადგილობრივ მოსახლეობას და შეესაბამება ტურისტული ადგილების გამტარუნარიანობას.

მხედველობაშია მისაღებია სხვა ზოგადი ტენდენციებიც:

» უწინდელთან შედარებით ტურისტები ახლა **ფიზიკურად და ინტელექტუალურად უფრო აქტიურები** არიან. ტენდენცია მიუთითებს, რომ მათ აინტერესებთ სათავგადასავლო დასვენება, ახალი აქტივობების მოძიება და მოსინჯვა, მათ შორის, გარე სპორტული აქტივობები, ფეხით და ველოსიპედით სეირნობა. მოგზაურობის დროს შემეცნების სურვილი მეტ საგანმანათლებლო აქტივობებს და შთაბეჭდილებებს მოითხოვს, რაც დაცულ ტერიტორიებზე განმარტებითი ცენტრების, საგანმანათლებლო/განმარტებითი ბილიკების და სხვა საშუალებების გზით უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

» **გარემო, მიმზიდველი ლანდშაფტები** და ჯანსაღი ბუნება სულ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორებია გადაწყვეტილების მიღების დროს. ადამიანების შეშფოთება გარემოს დაცვის საკითხებსა და მის მდგრადობაზე ხელს უწყობს „მწვანე“ ცხოვრების სტილის ჩამოყალიბებას და შესაბამისად, იზრდება მოთხოვნა ისეთ ტურისტულ ადგილებზე, სადაც გარემოსდაცვითი სტანდარტები მაღალია.

» მოთხოვნაა **უნიკალურ გამოცდილებასა** და თვითმყოფადობაზე.

» **ახალი ტექნოლოგიები და ინტერნეტი** ცვლის მოგზაურობის და ადგილების მონახულების ფორმებს. ტურისტული ადგილების შესახებ სოციალური მედიით გაზიარებული შთაბეჭდილებები, რეიტინგული შეფასებები, მომხმარებელთა ბლოგები ტურისტულ ინდუსტრიაში ინტეგრირებულ მიდგომებია. გარდა ამისა, სამოგზაურო ინფორმაციის მისაღებად მობილური მოწყობილობების - სმარტფონების თუ ტაბლეტების გამოყენება მოითხოვს, რომ ვებგვერდები მობილური მოწყობილობებით წვდომისთვის იყოს მოსახერხებელი, შეიქმნას სამოგზაურო აპლიკაციები ტურისტული ადგილის შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად და სხვა.

4.4.4. პოტენციური ტურისტული ბაზრები

ქცევის თვალსაზრისით, ეკოტურისტები ბაზრის სეგმენტაციის შემდეგი ტიპოლოგიების მიხედვით იყოფიან:

1. **აქტიური ეკოტურისტები ანუ, ერთგული ეკოტურისტები** არიან მოგზაურები, რომლებიც სერიოზულად ეკიდებიან ეკოლოგიას და მცირერიცხოვან ჯგუფებად მოგზაურობა ურჩევნიათ. ისინი ფიზიკურად აქტიური არიან და რთული აქტივობები მოსწონთ. ასეთი ტურისტები თავად აგვარებენ სამოგზაურო საკითხებს, რათა მოგზაურობა ცხოვრების რეალურ გამოცდილებად აქციონ.

2. **პასიური ეკოტურისტები** არიან მოგზაურები, რომლებსაც ეკოტურიზმი და ტრადიციული დღესასწაულები მოსწონთ. მათ უფრო დიდ ჯგუფებად მოგზაურობა იზიდავთ და გარკვეული დონის კომფორტს ითხოვენ.

გამოყოფენ მესამე ჯგუფსაც:

3. **შემთხვევითი ბუნებრივი ტურისტები**, რომლებიც ბუნებასთან კონტაქტში შემთხვევით, დასასვენებლად სადმე ყოფნისას შედიან.

ეს ბოლო ორი კატეგორია, შესაძლოა, აჭარის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა შედარებით მაღალ წილს შეადგენდეს.

წარმომავლობის მიხედვით:

1. **ადგილობრივი ბაზარი:** როგორც აღინიშნა, ადგილობრივი ბაზარი არის და მომავალშიც იქნება წამყვანი ბაზარი. ინფორმაცია საქართველოს ეროვნული ადგილობრივი ბაზრის შიდა მოგზაურების შესახებ ძალიან მწირია; ცნობილია მხოლოდ ის, რომ ისინი არ არიან ძალიან აქტიური, მოგზაურობენ მცირერიცხოვან ჯგუფებად მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად და ცოტას ხარჯავენ ადგილობრივ განთავსებასა და სხვა სერვისებზე.

   ადგილობრივ ბაზარზე ორი ძირითადი სეგმენტი გამოიყოფა:

   ა. **დასვენების დღეებში ერთდღიანი მოგზაურები**, ძირითადად, ოჯახები, რომლებიც დაცულ ტერიტორიებს გართობის მიზნით - პიკნიკის მოსაწყობად და მსუბუქი აქტივობებისთვის სტუმრობენ. ისინი, ჩვეულებრივ, ბავშვებთან ერთად მოგზაურობენ და შესაბამისად, აქტივობები ბავშვებისთვისაც უნდა შემუშავდეს. მათი უმეტესობა ადგილობრივთა ოჯახებში ან მეგობრებთან ჩერდება.

ბ. **დასვენების დღეებში რამდენიმედღიანი ვიზიტორები** (თბილისიდან და საქართველოს სხვა ქალაქებიდან) უფრო მაღალი სტანდარტის ვიზიტორთა სერვისებს ითხოვენ. მათ ბუნებრივი და ისტორიული ღირსშესანიშნაობები აინტერესებთ.

2. **საერთაშორისო ბაზარი:** ყველაზე მნიშვნელოვან ბაზრებს **მეზობელი ქვეყნები** წარმოადგენენ: უკრაინა, აზერბაიჯანი და სომხეთი. სომხეთიდან შედარებით ბევრი მოქალაქე ზაფხულს ოჯახებთან ერთად აჭარაში ატარებს (დაახლოებით 80,000 – 100,000). ამ ბაზარს განსაკუთრებით აინტერესებს ბუნება და დაცული ტერიტორიების მონახულება მოეწონებოდა. ეს ბაზარი ითხოვს დანიშნულების ადგილამდე ადვილად მისვლას, უსაფრთხოებას და ვიზიტორთა ობიექტებისა და სერვისების მაღალ სტანდარტებს.

ამ ტრადიციული ბაზრების გარდა, არსებობს საერთაშორისო ბაზრის მოზიდვის პოტენციალი:

- **ევროპული ბაზარი** ეკოტურისტების მნიშვნელოვანი ბაზარია, განსაკუთრებით გერმანია, ჰოლანდია და გაერთიანებული სამეფო, რომლებიც ბუნებრივი და ეკოტურიზმის უძლიერეს ბაზრებს წარმოადგენენ. ეს ბაზრები მოტივირებული არიან, მიიღონ შინაარსიანი გამოცდილება ნაკლებად ცნობილ ადგილებში.

მტირალას პარკის აქტივობები გამიზნულია სხვადასხვა ბაზრისთვის. ერთდღიანი მოგზაურებისთვის არის მოკლე ბილიკები ბუნებაში გასასეირნებლად, ასევე, ზიპლაინი და საპიკნიპე შესაძლებლობები. რამდენიმედღიანი მოგზაურებისთვის უფრო გრძელი ბილიკები და განთავსების სხვადასხვა შესაძლებლობა არსებობს.

აქტიური ტურისტებისთვის ხელმისაწვდომია ისეთი აქტივობები, როგორიცაა კანოეინგი. თუმცა, ეს სერვისი გასაუმჯობესებელია.

სხვა ნიშური ბაზრების განვითარება, როგორიც, მაგალითად, ბერდვოჩინგია, ჯერ ადრეულ ეტაპზეა. ამ ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სპეციფიკური ტურებია შესამუშავებელი. შეთავაზებაში უნდა შედიოდეს ექსკურსიები, როდესაც ფრინველებზე თვალთვალი შეიძლება; ექსპერტი გამყოლები; ლანჩ-ბოქსებით უზრუნველყოფა.

მეტი უცხოელი ტურისტის მოსაზიდად უნდა მომზადდეს ინფორმაცია სხვადასხვა ენაზე (მინიმუმ, რუსულ, ინგლისურ და თურქეულ ენებზე). ერთ-ერთი გამოწვევაა უცხო ენების მცოდნე სპეციალიზებული გამყოლების ნაკლებობა, რომელიც უნდა დაიძლიოს.

4.5. მარკეტინგი და რეკლამირება

პარკის ადმინისტრაციას მცირე ბიუჯეტი აქვს სარეკლამო აქტივობებისთვის. პარკის ბუნების ღირებულებების რეკლამირება რამდენიმე ბროშურით (რომელთა გაუმჯობესებაა საჭიროა) და Facebook გვერდით შემოიფარგლება.

მტირალას პარკის რეკლამირებას დაცული ტერიტორიების სააგენტო და რეგიონულ დონეზე, ტურიზმის და კუტრორტების დეპარტამენტი ეწევიან.

დაცული ტერიტორიების სააგენტო

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებგვერდზე (http://apa.gov.ge/en/) განთავსებულია ინფორმაცია მტირალას ეროვნული პარკის შესახებ.[5] ეს ინფორმაცია მოიცავს მონაცემებს პარკთან მისასვლელის, პარკის მთავარი აქტივობების და ბილიკების შესახებ. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებზე.

მოწოდებული ინფორმაცია არის მინიმალური, ხოლო დიზაინი არ არის მიმზიდველი. არსებული ვებგვერდი არ იძლევა ბილიკების ადგილმდებარეობის სანავიგაციო სისტემის GPS ანდა პარკის ბროშურების ციფრული ვერსიის ჩამოტვირთცის საშუალებას.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს არა აქვს შექმნილი მობილური აპლიკაცია აჭარის დაცული ტერიტორიების ტურიზმთან დაკავშირებით.

მეორე მხრივ, დაცული ტერიტორიების სააგენტო ძალისხმევას არ იშურებს საერთაშორისო ასპარეზზე დაცული ტერიტორიების რეკლამირებისთვის. 2015-2016 წლებში დაცული ტერიტორიების პოპულარიზებისთვის სააგენტო მონაწილეობდა რამდენიმე ეროვნულ და საერთაშორისო ტურისტულ ბაზრობაში, მაგალითად, ტურიზმის საერთაშორისო ბაზრობაში (ბერლინში) ან ტურიზმის მე-18 საერთაშორისო ბაზრობაში თბილისში.

დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის/დაცული ტერიტორიებისთვის საინტერესო ტურისტულ ბაზრობებს შორის არის:

მდებარეობა	დასახელება	ვებგვერდი
ბერლინი (გერმანია)	ტურიზმის საერთაშორისო ბაზრობა	http://www.itb-berlin.de/en/

[5] http://apa.gov.ge/en/protected-areas/cattestone/mtiralas-erovnuli-parkis-administracia/kolxetis-erovnuli-parkis-damatebiti-girsshesanishnaobani/kintrishis-daculi-teritoriebis-damatebiti-girsshesanishnaobani

ეგელტონი (გაერთიანებული სამეფო)	ფრინველებზე თვალათვალის ბაზრობა	http://www.birdfair.org.uk/
ჰამბურგი (გერმანია)	Reisen	http://www.reisenhamburg.de/
ჰანოვერი (გერმანია)	ABf ბაზრობა აქტიური დასვენებისთვის	http://www.abf-hannover.de/abf_daten_fakten_en
ლონდონი (გაერთიანებული სამეფო)	მოგზაურობის მსოფლიო ბაზარი (პასუხისმგებლიანი ტურიზმის დღე)	http://www.wtmlondon.com/
მიუნჰენი (გერმანია)	F.RE.E	http://www.free-muenchen.de/
პოზნანი (პოლონეთი)	ტურ სალონი	http://www.tour-salon.pl/en/
შტუტგარი (გერმანია)	CMT	http://www.messe-stuttgart.de/en/cmt/
ტრიერი (გერმანია)	Sport, Freizeit, Reisen	http://www.sfr-trier.de/
უტრეხტი (ჰოლანდია)	Vakantiebeurs	http://www.vakantiebeurs.nl/en/Exposant.aspx

ცხრილი 9: ტურიზმის საერთაშორისო ბაზრობების ჩამონათვალი. წყარო: HIDRIA.

ტურიზმის საერთაშორისო ბაზრობებში მონაწილეობისთვის დაცული ტერიტორიების სააგენტოს თუ სხვა დაინტერესებული მხარეების სათანადოდ მოსამზადებლად საჭიროა შემდეგი ამოცანების შესრულება:

1. ბაზრობაში მონაწილეობისთვის ადგილობრივი/ეროვნული ტუროპერატორების შერჩევა, რომლებიც დაცულ ტერიტორიებზე (მაგალითად, Ecocamps, Wild Horn…) ტურისტულ პროდუქტებს სთავაზობენ (მათთან სტენდის ხარჯების განაწილება, დაახლოებით 10% თანამშრომლობისთვის);
2. შერჩეულ ბაზრობაზე/ტურისტულ ღონისძიებაზე სივრცის დაჯავშნა;
3. საპრეზენტაციო ღონისძიების ორგანიზება;
4. საერთაშორისო ტუროპერატორების მოწვევა საპრეზენტაციო შეხვედრაზე (მინიმუმ 3 თვით ადრე. ტუროპერატორების მონაცემთა ბაზის მიღება საქართველოს საელჩოებში შეიძლება);
5. რამდენიმე სპეციფიკური პროგრამის და ბიზნესებს შორის ე.წ. B2B დღის წესრიგის (ინფორმაციის, სერვისების, პროდუქტების მიმოცვლა ბიზნესებს შორის) მომზადება;
6. ორგანიზებულ სესიებში მონაწილეობის მიღება;
7. სარეკლამო სტენდის და მასალების (ბროშურები, სარეკლამო მასალები, სხვა) შემუშავება და დამზადება.
8. კონტაქტების მონაცემთა ბაზის შექმნა.

ბაზრობის შემდეგ აუცილებელია გამოხმაურებების შეგროვება, რადგან ეს ინფორმაციის პოტენციური წყაროა გასაუმჯობესებელი ასპექტების, საინტერესო ბაზრების და სხვა საკითხების შესახებ.

ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი

ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი, როგორც აჭარის რეგიონში ტურიზმის განვითარებაზე პასუხისმგებელი უწყება, რეკლამას უწევს მტირალას ეროვნული პარკის აქტივობებს. ტურიზმის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.gobatumi.com) მოიპოვება ინფორმაცია ამ დაცული ტერიტორიის შესახებ. თუმცა, ინფორმაცია მწირია და ძირითადად პარკის მთავარ ღირებულებებსა და მახასიათებლებს ეხება.

ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი, თავისი ტურსააგენტოების მეშვეობით, მნიშვნელოვან მარკეტინგულ ნაბიჯებს დგამს ჩაქვისთავის და პარკის პოპულარიზებისთვის. დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ აქტივობებს შორის აღსანიშნავია:

ა) მარშრუტის/ტურების შემუშავება

ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტმა შეიმუშავა მტირალას ტური, რომელსაც რეკლამას უწევს. ტურს ეწოდება „მტირალას ეროვნული პარკი - ტური მომტირალი მთის პარკში“. ტურის ხანგრძლივობა 8 საათია და ივნისიდან ნოემბრამდე ტარდება. ტურის ღირებულებაა 35 აშშ დოლარი, რომელშიც შედის ტრანსპორტირება, გამყოლის მომსახურება, სალაშქრო ტური და სადილი.

ამ ტურის შეთავაზება ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტის სხვადასხვა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით ხდება.

ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი ასევე უზრუნველყოფს იმ ვიზიტორების დაცულ ტერიტორიამდე კერძო ავტომობილით ტრანსპორტირებას, რომლებიც ამას ითხოვენ.

გ) ბროშურები და ვებგვერდი

რეგიონის ტურიზმის ოფიციალური ვებგვერდზე, რომლის ადმინისტრირებასაც ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი ახორციელებს, განთავსებულია ინფორმაცია და ელექტრონული ბროშურები რეგიონის სხვადასხვა დაცული ტერიტორიის და კონკრეტულად მტირალას ეროვნული პარკის შესახებ.



ნახატი 22: ბროშურა აჭარის დაცული ტერიტორიების შესახებ. წყარო: აჭარის რეგიონის ოფიციალური ვებგვერდი.

ამ ვებგვერდზე ასევე რეკლამირებულია ჩაქვისთავში განთავსების შესაძლებლობები.

გ) ნიშნების სისტემა

ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტმა მოამზადა და ტერიტორიაზე განათავსა რამდენიმე საინფორმაციო ნიშანი ჩაქვისთავში საოჯახო სასტუმროების ადგილმდებარეობის შესახებ. გარდა ამისა, დეპარტამენტი ტრენინგებს უტარებს ამ ადგილობრივ პროვაიდერებს შეთავაზებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაში.

დ) სხვა სარეკლამო აქტივობები: პრესტურები და გაცნობითი ტურები ტუროპერატორებისთვის

2016 წელს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა პრესტური მოაწყო აჭარაში National Geographic-ის და სხვა პოპულარული ბეჭდური მედიის ჟურნალისტებისთვის. რეგიონს პოლონელი ჟურნალისტებიც სტუმრობდნენ. პრესის წარმომადგენლებმა ნახეს ბათუმი, ბოტანიკური ბაღი და მაღალმთიანი აჭარა, მათ შორის მტირალას ეროვნული პარკი და იქ შეთავაზებული სერვისები. პრესტურის ფარგლებში ჟურნალისტებს ადგილობრივი კერძების დაგემოვნების შესაძლებლობაც ჰქონდათ.

ამ ტიპის ღონისძიებები მნიშვნელოვანია მტირალას პარკის პოზიციონირებისთვის საერთაშორისო ბაზრებზე.

4.6. ძირითადი შეზღუდვების და შესაძლებლობების ანალიზი.

4.6.1. მტირალას ეროვნულ პარკში ტურიზმის განვითარების შეზღუდვები

- **შეზღუდული ინსტიტუციური შესაძლებლობა ეფექტიანი და ეფექტური ოპერირებისთვის:**

  - დაცული ტერიტორიის თანამშრომლების (განსაკუთრებით, რეინჯერების) ძირითადი კომპეტენციები არ არის ადეკვატურად განსაზღვრული და არ შეესაბამება ორგანიზაციულ საჭიროებებს გარემოსდაცვითი განათლების და ტურიზმის თვალსაზრისით.

  - რეინჯერებს არ სურთ ტურიზმთან დაკავშირებულ აქტივობებში ჩართვა, რადგან ეს არ შედის მათ „განსაზღვრულ“ კომპეტენციებში.

  - ადმინისტრაციის უნარები მასპინძლობის და ტურიზმის სფეროებში შეზღუდულია და გაძლიერებას საჭიროებს, რათა სათანადოდ დაკმაყოფილდეს არსებული და მომავალი მოთხოვნა.

- **დაინტერესებული მხარეების არასაკმარისი მონაწილეობა დაცული ტერიტორიის გადაწყვეტილების მიღების პროცესში:**

  - პარკის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მახლობელი თემების, განსაკუთრებით, ჩაქვისთავის თემის არასაკმარისი ჩართულობა.

  - ტუროპერატორები და ტურიზმის სხვა პროვაიდერები არ თანამშრომლობენ მტირალას პარკის ადმინისტრაციასთან, განსაკუთრებით, რეკლამირების საქმეში.

  - შეზღუდული თანამშრომლობა ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტთან მიუხედავად იმისა, რომ დეპარტამენტი პარკს რეკლამას უკთებეს და ეხმარება ადგილობრივ თემებს, განსაკუთრებით, ჩაქვისთავში; დაგეგმვის აქტივობებში კოორდინაციის ნაკლებობაა.

- **კონცესიის სისტემა:**

  - არ არსებობს მკაფიო პოლიტიკა ან ჩარჩო კონცესიების შემუშავებისთვის. ვიზიტორთა ცენტრის სასტუმრო ოთახები, მართვის არაეფექტიანობის გამო, უფუნქციოდ არის.

- **ტურისტული აქტივობები:**

- ვიზიტორთა უმეტესობა იყენებს ზიპლაინს, მაგრამ პარკი არ ახდენს სხვა არსებული აქტივობების (ცხენით სეირნობა ან კანოეინგი) პოპულარიზაციას.

- არ არის ზოგი აქტივობის ჩასატარებლად საჭირო მასალები, მაგალითად აღჭურვილობა კანოეინგისთვის ან თუნდაც, ჩაფხუტები ცხენით სეირნობისთვის. ეს აშკარად აფერხებს ამ აქტივობების განხორციელებას.

- კერძო სექტორის მიერ შეთავაზებული სერვისის (განსაკუთრებით, საოჯახო სასტუმროების სერვისის) ხარისხი გასაუმჯობესებელია.

- **მისასვლელი:**

  - პარკში მისასვლელი საგზაო ინფრასტრუქტურა არაკომფორტულია, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა არასაიმედო და არაადეკვატური, რაც პრობლემებს უქმნის ტუროპერატორებს და ინდივიდებს, ვისაც საკუთარი მანქანა არა ჰყავს.

- **ხანმოკლე ტურისტული სეზონი:**

  - მართალია, აჭარის დაცული ტერიტორიები მთელი წლის განმავლობაში ღიაა, მათ ვიზიტორები მაისიდან სექტემბრამდე ჰყავთ, ხოლო აგვისტო ყველაზე დატვირთული თვეა. არატურისტული სეზონის ზოგიერთ თვეში, მაგალითად, მარტში, აპრილში და სექტემბერ/ოქტომბერში კლიმატი სამთო და სპორტული აქტივობებისთვის არის შესაფერისი.

  - ტურისტულ სეზონზე მონახულების მაღალი ინტენსივობა უკვე გარკვეულ დისკომფორტს უქმნის ჩაქვისთავის მოსახლეობას.

4.6.2. მტირალას ეროვნული პარკის ძირითადი შესაძლებლობები და კონკურენტული უპირატესობები.

მტირალას პაკს მრავალი შესაძლებლობა აქვს, რომელთა გამოყენებაც შეიძლება პარკსა და მის შემოგარენში ტურიზმის განსავითარებლად და ადგილობრივი თემებისთვის მრავალფეროვანი ეკონომიკური შესაძლებლობების შესაქმნელად.

- **ეკოლოგიურად მრავალფეროვანი მდიდარი ლანდშაფტი:**

- მტირალას პარკი მდიდარია უნიკალური ფლორისა და ფაუნის ბიომრავალფეროვნებით და თვალწარმტაცი მთიანი ლანდშაფტით.

- ფრინველებზე სათვალთვალო ადგილები. მტირალა ერთ-ერთი ის რაიონია რეგიონში, სადაც გადამფრენ ფრინველებზე თვალთვალი შეიძლება. რაღაც ტიპის ინფრასტრუქტურა მოწყობილია, მაგრამ არ არის სათანადოდ რეკლამირებული.

- **სათავგადასავლო/სპორტული აქტივობები:**

  - ზიპლაინის გამო მტირალა უკვე საკმაოდ პოპულარულია. ხდება სხვა სპორტული აქტივობების შეთავაზებაც, მაგალითად, ცხენით სეირნობა და კანოეინგი, მაგრამ ეს აქტივობები არ არის სათანადოდ რეკლამირებული.

  - მტირალას პარკში კარგი პირობებია ზამთრის აქტივობების, მაგალითად, თოვლზე საბიჯებელი თხილამურებით გადაადგილების განსავითარებლად, რაც არატურისტულ სეზონზე ვიზიტორების მოზიდვას შეუწყობდა ხელს და შემოსავალს გაზრდიდა.

- **ადგილობრივი თემების დინამიზმი და სტუმართმოყვარეობა:**

  - ადგილობრივ თემებს სურთ, ჩაერთონ ტურიზმთან დაკავშირებულ საქმიანობაში. სოფელ ჩაქვისთავში საკმაოდ აქტიური მეწარმეობა შეინიშნება ტურისტული ბიზნესების კუთხით (უკვე ფუნქციონირებს რამდენიმე საოჯახო სასტუმრო, არის სხვა ტიპის განთავსების შესაძლებლობები, კვების ობიექტები და სხვა).

  - პარკის ფარგლებს გარეთ მდებარე სოფლები, ზუნდაგა და აგარა, მზად არიან, ჩაერთონ ტურიზმის განვითარებაში. აგარაში მუშავდება მარშრუტი, რომელიც სოფელს „ცივწყაროს“ ბილიკთან დააკავშირებს.

  - ადგილობრივი თემები თბილი და სტუმართმოყვარე ხალხია.

  - რაიონი გამოირჩევა ტრადიციული, კულტურული ღირებულებებით, ასევე სამზარეულოთი და ღვინით; ამ ასპექტებმა ხელი უნდა შეუწყოს ტურიზმის გაფართოებას.

- **ტერიტორიული სიახლოვე კინტრიშის დაცულ ტერიტორიასა და მაჭახელის ეროვნულ პარკთან:**

- მტირალას ეროვნულ პარკს საერთო საზღვარი აქვს კინტრიშის დაცულ ტერიტორიასთან. მაჭახელის ეროვნულ პარკთან სიახლოვე შესაძლებელს ხდის კომბინირებული მარშრუტის შემუშავებას, რომელიც სამივე დაცულ ტერიტორიას მოიცავს.

- **ტერიტორიული სიახლოვე ბათუმსა და ქობულეთთან:**

    - ბათუმსა და ქობულეთში, როგორც ზღვისპირა კურორტებზე, ყოველწლიურად ათასობით ვიზიტორი ჩადის. მათი გარკვეული ნაწილის მოზიდვა, პარკის ვიზიტორთა რიცხვს მნიშვნელოვნად გაზრდის და ასევე, შეიძლება გაზარდოს იმ ტურისტების ყოფნის ხანგრძლივობა, რომლებიც ამ რაიონს სტუმრობენ.

- **ტუროპერატორები:**

    - აჭარაში საკმაოდ ბევრი ტუროპერატორია, მაგრამ ბუნების ტურიზმი მათი სპეციალიზაცია არ არის; მათ მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონტაქტები და ვიზიტორებთან მუშაობის გამოცდილება აქვთ. ტუროპერატორები უნდა ჩაერთონ დაცული ტერიტორიის მართვაში, რათა ხელი შეუწყონ საბაზრო პროდუქტების და გამოცდილების განსაზღვრას.

5. SWOT და TOWS ანალიზი

5.1. SWOT და TOWS ანალიზი

SWOT ანალიზი (ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების ანალიზი) განსაზღვრავს მტირალას ეროვნულ პარკში ტურიზმის განვითარების გარე და შიდა მდგომარეობას. TOWS ანალიზი (საფრთხეების და შესაძლებლობების, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი) დამატებითი ინსტრუმენტია, რომელიც ხელს უწყობს სტრატეგიული ვარიანტების შემუშავებას, შესაძლებლობების გამოყენებას, სუსტი მხარეების ზეგავლენის მინიმუმამდე დაყვანას და საფრთხეების შემცირებას.

	ძლიერ მხარეები	ძლიერი მხარეების გამოყენება
მართვა და მმართველობა	• აჭარის სხვა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებთან კარგი თანამშრომლობა.	• ისეთ თანამონაწილეობით სტრუქტურებში აქტიური მონაწილეობა, როგორიც არის მრჩეველთა რეგიონული საბჭო.
	• ინვესტიციები საერთაშორისო დონორებისგან.	• კონკრეტული ქმედებების და პროექტების განსაზღვრა, რომლებსაც საერთაშორისო დონორები დაუჭერენ მხარს.
მობილობა და მისაწვდომობა	• ფუნქციონირება მთელი წლის განმავლობაში.	• ზამთრის აქტივობების შემუშავება ტურისტული სეზონის გასახანგრძლივებლად.
	• საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა ჩაქვამდე და ტაქსების ხელმისაწვდომობა.	• სპეციალური სატრანსპორტო სისტემის ორგანიზება მტირალას პარკში ხალხის მისაყვანად, განსაკუთრებით ტურისტული სეზონის დროს.
	• სიახლოვე ქობულეთთან და ბათუმთან.	• სარეკლამო აქტივობების შემუშავება ბათუმის და ქობულეთის ვიზიტორების მოსაზიდად. ასევე შეთანხმებების მიღწევა ტუროპერატორებთან.
ადგილობრივი თემები	• ადგილობრივი თემების მეწარმეობა, განთავსების და კვების ობიექტები უკვე შექმნილია.	• ადგილობრივი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა და მათი უნარების გაძლიერება მომხმარებელთა მომსახურებისა და ბიზნეს დაგეგმვის სფეროებში.
	• სტუმართმოყვარე თემები.	• თემის ჩართვა ტურიზმთან დაკავშირებულ აქტივობებში.

	• ადგილობრივი წარმოების საინტერესო პროდუქტები (თაფლი, ყველი, მურაბები, სხვა).	• ამ პროდუქტების ხელშეწყობა ადგილობრივი ბაზრის შექმნის ან პარკის სუვენირებად ადგილობრივი პროდუქტების გამოყენების გზით.
კულტურული და ბუნებრივი რესურსები	• მტაცებელი ფრინველების მიგრაციის ბათუმის ზონა.	• ბერდვოჩინგის რეკლამირება და ბერდვოჩინგთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობა. სპეციალიზებულ ტუროპერატორებთან თანამშრომლობა.
	• კოლხური ტყეები.	• განმარტებითი მარშრუტების და ახალი ბილიკების შემუშავება, რომლებითაც ბუნებრივი ღირებულებების პოპულარიზება ხდება. მთებზე ლაშქრობის აქტივობების რეკლამირება.

კულტურული და ბუნებრივი რესურსები	• ლამაზი პეიზაჟი.	• განმარტებითი მარშრუტების და ახალი ბილიკების შემუშავება, რომლებითაც ამ ბუნებრივი ღირებულებების პოპულარიზება ხდება. მთებზე ლაშქრობის აქტივობების რეკლამირება.
	• საინტერესო ფაუნა.	• ველური ბუნების ტურების შეფასება და შემუშავება.
ტურისტული პროდუქტები და სერვისები	• ზიპლაინი იზიდავს ვიზიტორთა დიდ რაოდენობას.	• ახალი საინტერესო სერვისების შექმნა ვიზიტორების ტერიტორიაზე ყოფნის გასახანგრძლივებლად.
	• რამდენიმე აქტივობის არსებობა (ცხენით სეირნობა, კანოეინგი)	• ამ აქტივობების გამოყენების სტიმულირება და რეკლამირება.
ტურისტული ინფრასტრუქტურა და ობიექტები	• კარგი ხარისხის ტურისტული ინფრასტრუქტურა და ობიექტები.	• არსებული ინფრასტრუქტურის და ობიექტების მართვის ეფექტიანობის გაზრდა.
	• უკვე მოწყობილი და კარგ მდგომარეობაში მყოფი ორი ბილიკი.	• არსებული ბილიკების გაუმჯობესება განმარტებითი მასალებით, ახალი ობიექტებით.
	• ფრინველებზე სათვალთვალო კოშკი.	• ბერდვოჩინგზე ფოკუსირებული სპეციფიკური ნიშური პროდუქტის შემუშავება.
ტურისტული მოთხოვნა	• ვიზიტორთა მზარდი რაოდენობა.	• ხარისხიანი სერვისების და აქტივობების შეთავაზება ვიზიტორებს ხელმეორედ მოსვლა რომ მოანდომოს.

	• პოპულარული დაცული ტერიტორია ეროვნული მასშტაბით.	• მდგომარეობის გაუმჯობესება საერთაშორისო დონეზე.

	სუსტი მხარეები	სუსტი მხარეების შემცირება
მართვა და მმართველობა	• მართვა და მმართველობა.	• მრჩეველთა რეგიონულ საბჭოში მონაწილეობა.
	• პერსონალს აკლის ტურიზმთან დაკავშირებული უნარები.	• პარკის ადმინისტრაციისთვის ტრენინგის შემუშავება ტურიზმთან დაკავშირებული უნარების გასაძლიერებლად.
	• არსებული სტატისტიკის უხარისხობა.	• ვიზიტორტა მონაცემების შეგროვების და ინფორმაციის მიღების სისტემის გაუმჯობესება.
	• შეზღუდული ბიუჯეტი.	• ტრენინგის შემუშავება ბიზნესდაგეგმვასა და პროექტის მომზადებაში.
	• ადგილობრივი თემის გადაწყვეტილების პროცესში ჩასართავად მმართველობითი სტრუქტურების არარსებობა.	• თანამონაწილეობითი სტრუქტურების შექმნა პარკის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი თემების, კერძო ბიზნესის ჩართულობის სტიმულირებისთვის.
მობილობა და ხელმისაწვდომობა	• პარკთან მისასვლელი გზა ცუდ მდგომარეობაშია.	• საგზაო დეპარტამენტთან ხელშეკრულების გაფორმება პარკთან მისასვლელი გზის გაუმჯობესებაზე.
	• არარეგულარული საზოგადოებრივი ტრანსპორტი პარკთან მისასვლელად.	• ტრანსპორტის პროვაიდერებთან შეთანხმებების მიღწევა ტურისტული სეზონის დროს მომსახურების გაზრდაზე.
	• მანქანის პარკინგის შეზღუდული სივრცე ჩაქვისთავში.	• პარკინგისთვის სათანადო სივრცის გამოყოფა ჩაქვისთავში, ვიზიტორთა ცენტრთან მანქანებით მისვლის შეზღუდვა.
ადგილობრივი თემები	• ადგილობრივი მოსახლეობის უნდობლობა პარკის ადმინისტრაციის მიმართ.	• ეროვნული პარკის გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მართვაში ადგილობრივი თემების ჩართვა.
	• ეკოლოგიური ცნობიერების დაბალი დონე.	• გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ადგილობრივებისა და ვიზიტორებისთვის.

	• დიდ ქალაქებში (ბათუმი, თბილისი) მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი.	• ადგილობრივ თემებში ისეთი მიკრობიზნესების განვითარება, რომლებიც დასაქმების შესაძლებლობებს შექმნის.
	• მასპინძლობის უნარების განუვითარებლობა და უცხო ენები არცოდნა.	• ტრენინგის შემუშავება ადგილობრივი თემებისთვის.
	• ადგილობრივების მიერ პროდუქტის შეფუთვის არცოდნა.	• ადგილობრივების შესაძლებლობების გაძლიერება ეროვნული პარკის შესაფერისი ტურისტული პროდუქტების შექმნაში.
	• ადგილობრივი მოსახლეობის სიღარიბის დონე, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.	• ადგილობრივებისთვის ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა მეწარმეობის და დასაქმების ხელშეწყობის გზით.
კულტურული და ბუნებრივი რესურსები	• კულტურული და ბუნებრივი რესურსების არასათანადო პოპულარიზაცია.	• კულტურული და ბუნებრივი რესურსების პოპულარიზების მდგრადი აქტივობების შემუშავება.
	• ტერიტორიის კულტურული რესურსები არ არის შეფასებული.	• ტერიტორიის კულტურული რესურსების შეფასების ჩატარება.
	• განმარტებითი მასალების სიმცირე, რომ მოხდეს დაცული ტერიტორიის ღირებულებების პოპულარიზება (რომელთაგან ზოგი ცუდ მდგომარეობაშია).	• ყოვლისმომცველი საგანმანათლებლო და განმარტებითი მასალების მომზადება დაცული ტერიტორიის პოპულარიზებისთვის.
	• აქტივობების განსავითარებლად საჭირო აღჭურვილობის არარსებობა.	• საჭირო აღჭურვილობის შეძენა არსებული აქტივობების განსახორციელებლად და ვიზიტორთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
	• არსებული ტურისტული სერვისების უხარისხობა.	• ტურისტული სერვისის პროვაიდერების შეფასება, ტრენინგის უზრუნველყოფა და სტანდარტიზაციის და სერტიფიცირების სისტემის შექმნა.
ტურისტული ინფრასტრუქტურა და ობიექტები	• არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურა არ არის სრულად გამოყენებული (ვიზიტორთა ცენტრი, რეინჯერის სახლი).	• არსებული ინფრასტრუქტურის მართვის ეფექტურობის გაუმჯობესება.
	• ზოგი ობიექტი/ინფრასტრუქტურა	• დაზიანებული დაფების და სხვა ობიექტების შეცვლა და განახლება.

	ცუდ მდგომარეობაშია (მაგ., დაფები).	
ტურისტული მოთხოვნა	• ინგლისურენოვანი გამყოლების არარსებობა.	• უცხო ენის კურსების ორგანიზება ადგილობრივი თემის წევრებისთვის და გამყოლებისთვის.
	• ტურისტების დანახარჯების სიმცირე.	• შესასვლელი ბილეთის შემოღება და შემოსავლის გენერირების შესაძლებლობების გაზრდა.
	• სეზონურობა.	• ზამთრის სპორტული და სხვა აქტივობების შემუშავება არატურსიტული სეზონისთვის.
	• ტურიზმის არასაკმარისი პოპულარიზება. თანხების უქონლობა.	• წლიური მარკეტინგული საოპერაციო გეგმის შემუშავება სხვადასხვა ტრადიციული და ციფრული ღონისძიებებით, რათა გაიზარდოს ეროვნული პარკის ცნობადობა.

	შესაძლებლობები	შესაძლებლობების გაძლიერება
მობილობა და ხელმისაწვდომობა	• მტირალას ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის შექმნა.	• ასოციაციაში აქტიური მონაწილეობა და დაინტერესებული მხარეების ჩართვა.
	• მრჩეველთა რეგიონულ საბჭოში მონაწილეობა.	• საბჭოში აქტიური მონაწილეობა და დაინტერესებული მხარეების ჩართვა.
ადგილობრივი თემები	• ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესი, მონაწილეობა მიიღოს ტურიზმის განვითარებაში (აგარა, ზუნდაგა).	• ადგილობრივი თემებისთვის ტურიზმთან დაკავშირებული შესაძლებლობების პოპულარიზაცია და მათი მხარდაჭერა.
კულტურული და ბუნებრივი რესურსები	• კავშირი აბრეშუმის გზასთან.	• აბერშუმის გზის შესახებ კვლევის ჩატარება და მონაწილეობა აბრეშუმის გზის საერთაშორისო ქსელში.
ტურისტული პროდუქტები და სერვისები	• აჭარის სამი დაცული ტერიტორიის კომბინირებული ბილიკი.	• ერთობლივი სარეკლამო კამპანიის შემუშავება ამ ბილიკის და რეგიონის მარკეტინგისთვის.
ტურისტული მოთხოვნა	• აჭარის დაცული ტერიტორიის მეგობრის ბარათი.	• ბარათის პოპულარიზება რეგიონში ადგილობრივ პორვაიდერებს შორის.

	• ეკოტურიზმი და ბუნების ტურიზმი მზარდი სეგმენტია მსოფლიოში.	• ეკოტურიზმის ბაზარზე ორიენტირებული სპეციფიკური ტურისტული პროდუქტების შემუშავება.

	საფრთხეები	საფრთხეების აღმოფხვრა
მართვა და მმართველობა	• პოტენციური კონფლიქტი პარკსა და თემებს შორის.	• პარკის ირგვლივ ტურისტულ აქტივობებში თემის წევრების ჩართვა.
მობილობა და ხელმისაწვდომობა	• ვიზიტორთა ცენტრთან ავტომობილების საცობი.	• მკაფიო შეზღუდვების დაწესება პარკის ტერიტორიაზე ავტომობილების გადაადგილებაზე. საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზება.
ადგილობრივი თემები	• ადგილობრივი ტრადიციების დაკარგვა ვიზიტორების ზეგავლენის შედეგად.	• ადგილობრივი ტრადიციების და ჩვევების პოპულარიზება.
კულტურული და ბუნებრივი რესურსები	• ბუნებრივი სივრცეების და ბიომრავალფეროვნების დეგრადაცია ინტენსიური მონახულების შედეგად.	• ტერიტორიის რეგულარული მონიტორინგი და პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და ამოქმედება ლანდშაფტის დეგრადაციის და ბიომრავალფეროვნების დაკარგვის თავიდან ასაცილებლად.
ტურისტული მოთხოვნა	• საერთაშორისო პოლიტიკური არასტაბილურობა.	• მარკეტინგული კამპანიის შემუშავება ქვეყნის და მისი მშვიდობიანი გარემოს რეკლამირებისთვის.
	• ვიზიტორთა პრეფერენციებში ცვლილება.	• ვიზიტორების და მათი პრეფერენციების შესახებ მონაცემების შეგროვება. ტურისტული პროდუქტების ადაპტირება ქცევასა და პრეფერენციებში ცვლილებებთან.
	• ეკონომიკური კრიზისი.	• ხარისხიანი გამოცდილების შეთავაზება.

6. პოტენციური ტურისტული სერვისები და ობიექტები - ბიზნესშესაძლებლობები.

მტირალას ეროვნული პარკის ტურისტული რესურსების და სერვისების შეფასების და მისი ძლიერი მხარეების და შესაძლებლობების იდენტიფიცირების საფუძველზე განისაზღვრა ამ რესურსების პოპულარიზების გზები, რათა მათი პოტენციალი მაქსიმუმამდე გაიზარდოს. ეს ნიშნავს ყველაზე რეალისტური აქტივობების შემუშავებას და სამიზნე ტურისტული ბაზრების განსაზღვრას.


როგორც შეფასებამ აჩვენა, მტირალა პოპულარული და კარგად განვითარებული პარკია, რასაც ბოლო წლებში დონორების ინვესტიციებმა შეუწყო ხელი. გარდა ამისა, დაცული ტერიტორიების სააგენტოს და ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტის ძალისხმევით მოხდა პარკის რეკლამირება ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

მომდევნო 5 წლის განმავლობაში, მტირალას პარკი ფოკუსირებული უნდა იყოს (1) ბოლო წლებში მიღწეული შედეგების გამყარებაზე არსებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესების გზით, (2) საკუთარი პოზიციის, როგორც სათავგადასავლო ტურისტული ადგილის გაძლიერებაზე აქტივობების შეთავაზების გაფართოების გზით, და (3) ახალი ტურისტული უბნების განვითარებაზე, რათა შემცირდეს ტურიზმის ზეწოლა ჩაქვისთავზე.

მტირალას ეროვნული პარკის განსაკუთრებული მახასიათებლები, რომლებიც მას სხვა ტერიტორიებისგან გამოარჩევს და მის **კონკურენტულ უპირატესობას** წარმოადგენს, არის:

- **ადგილობრივი კულტურა**
- **სათავგადასავლო ტურიზმი (არსებული აქტივობების მრავალფეროვნება)**
- **ბერდვოჩინგი**

ეს ასპექტები პარკის პროდუქტების შემუშავების მთავარი ელემენტები უნდა იყოს და ეს ისე უნდა მოხდეს, რომ ტურისტებმა სიამოვნება მიიღონ უნიკალური ბუნებრივი და კულტურული რესურსებიდან.



6.1. პოტენციური ტურისტული პროდუქტების და სერვისების აღწერა, რომლებიც უნდა შემუშავდეს.

ვინაიდან მტირალას ეროვნული პარკის განვითარების დონე შედარებით მაღალია, შემოთავაზებული ახალი ტურისტული ობიექტები და აქტივობები ფოკუსირებულია ახალი უბნების განვითარებაზე, რომლებითაც არსებული აქტივობები ჩაქვისთავის მიღმა განვითარდება, რაც ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებს შეუქმნის სხვა ისეთ უბნებს, როგორიცაა ყოროლისთავი ან აგარა.

არსებული ბუნებრივი და კულტურული აქტივების (კონკურენტული უპირატესობა) და დომინანტი ტურისტული ტენდენციების გათვალისწინებით, მტირალას ეროვნულ პარკში შეიძლება შემუშავდეს შემდეგი პოტენციური ტურისტული სერვისები და აქტივობები:

ტურისტული ბილიკები

შეფასების დროს განისაზღვრა 2 მთავარი ბილიკი:

ა) ***ყოროლისთავის ბილიკი.*** ეს ბილიკი დაიწყება პარკის შესასვლელთან ყოროლისთავში. ის გაყვება არსებულ მარშრუტს მე-9 კმ-მდე. ამ წერტილიდან ბილიკს 2 ალტერნატივა ექნება:

- ***1-ლი ალტერნატივა.*** საბჭოთა ნანგრევების მიმართულებით. ამ ბილიკის სიგრძე 10.40 კმ. იქნება. ეს მარშრუტი უფრო შესაფერისია ფეხით, ველოსიპედით და ცხენით სეირნობისთვის. ეს მარშრუტიც კარგ მდგომარეობაშია და მხოლოდ მცირე მოცულობის სამუშაოებს საჭიროებს.

- ***მე-2 ალტერნატივა.*** ჩაქვისთავის მიმართულებით. ამ ბილიკის სიგრძე 15 კმ. იქნება. ვინაიდან ჩაქვისთავში მისასვლელად ვიზიტორებს ხიდის გადასვლა მოუწევთ, ეს ბილიკი არ იქნება ცხენით სეირნობისთვის რეკომენდებული (ველოსიპედით სეირნობისთვის ამ ბილიკის შესაფერისობა შესამოწმებელია).

  ეს მარშრუტი ასევე შეიძლება დაიწყოს ჩაქვისთავის მხარეს; თუმცა, ასვლა უფრო რთული იქნება. ამ ბილიკის სრული შეფასება არ ჩატარებულა და შესაბამისად, შესასწავლია.

  ბილიკი ასევე შესაფერისია ზამთარში თოვლზე საბიჯელები თხილამურებით გასეირნებისთვის.

ბ) ***აგარის ბილიკი.*** ეს ბილიკი დაიწყება აგარის თემში და გაგრძელდება ვიზიტორთა თავშესაფრამდე, რომელიც ცივწყაროს მარშრუტზე მდებარეობს, საიდანაც ვიზიტორებს შეეძლებათ, ველოსიპედით გააგრძელონ გზა ჩაქვისთავისკენ ცივწყაროს ბილიკით. ამის ალტერნატიული ვარიანტია, ცივწყაროს ბილიკიდან წრიული მარშრუტით ანდა ვიზიტორთა ცენტრიდან აგარის მიმართულებით გზის გაგრძელება.

აგარის ბილიკი თითქმის დასრულებულია; ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარი ინიციატივით მუშაობს ამ ბილიკის შექმნაზე. პარკის ადმინისტრაციაც თავის წილ სამუშაოს ასრულებს, რათა გაამარტივოს კავშირი ვიზიტორთა ცენტრიდან პარკის საზღვრამდე აგარის მიმართულებით. ამრიგად, მოსალოდნელია ამ ბილიკის მალე ამოქმედება.

ამ ბილიკების გარდა, შემოთავაზებულია მაჭახელის ეროვნული პარკისა და მტირალას ეროვნული პარკის დამაკავშირებელი ბილიკი. მიზანი საერთო მარშრუტის შემუშავებაა, რომელიც მტირალას ეროვნულ პარკს ასევე დააკავშირებს კინტრიშის დაცულ ტერიტორიასთან.

ამ მარშრუტების მოწყობა ხელს შეუწყობს დამატებითი სერვისების მიწოდებას, მაგალითად, ველოსიპედების ან თოვლზე საბიჯებელი თხილამურების გაქირავება, რომლებიც ეკონომიკურ შემოსავალს მოიტანს.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 2 - რუკები 7, 8 და 10.

ბიზნესშესაძლებლობები

და ბოლოს, პარკში ტურისტული შეთავაზების შესავსებად, განისაზღვრა რამდენიმე ბიზნესშესაძლებლობა. ეს ბიზნესშესაძლებლობები ის სერვისებია, რომელთა უზრუნველყოფაც ადგილობრივ თემებს და მცირე კომპანიებს შეუძლიათ ვიზიტორების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად (განთავსება, კვება, ინფორმირება, სხვა). ეს ასევე მოიცავს სერვისებს, რაც ისეთ ახალ პროდუქტებს გულისხმობს, რომლებიც ამდიდრებს ვიზიტორთა გამოცდილებას და ამავე დროს, შემოსავლის ახალ წყაროებს აჩენს ადგილობრივი თემებისა და პარკის ადმინისტრაციისთვის (ადგილობრივი პროდუქტების ბაზარი, გამყოლიანი ტურები, ტრანსპორტირება, სხვა).

როგორც უკვე აღინიშნა, მასპინძლობის შეთავაზება მტირალას ეროვნულის პარკის ირგვლი ჩაქვისთავშია თავმოყრილი, თუმცა სხვა სოფლებსაც სურთ ტურისტულ ბიზნესში ჩართვა. მაგალითად, აგარას, იმ ბილიკის მოწყობის გზით, რომელიც სოფელს ცივწყაროს ბილიკს დაუკავშირებს (და პოტენციური ბილიკი, რომელიც სამ დაცულ ტერიტორიას ერთმანეთთან დააკავშირებს) შემდგომი განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. უკვე ხდება რამდენიმე ინიციატივის განხორციელება.

ეს ბიზნესშესაძლებლობები დაკავშირებული უნდა იყოს განთავსების და სხვა სერვისების მიწოდებასთან, როგორებიცაა საოჯახო სასტუმროები, კვების ობიექტები, გამყოლის სერვისების და სხვა.

7. სტრატეგიული გეგმა

7.1. ხედვა, მისია და მიზნები

წინამდებარე სტრატეგია განსაზღვრავს მტირალას ეროვნული პარკის ხედვას, მისიას და მიზნებს და იმ სტრატეგიულ მიმართულებებს, რომლებზეც უნდა მოხდეს ფოკუსირება მომდევნო 5 წლის განმავლობაში.

მტირალას ეროვნული პარკის **ხედვა**: *„2020 წლისთვის მტირალას ეროვნული პარკი ცნობილია თავისი ხარისხიანი ინფრასტრუქტურის, მასპინძლობის სერვისების და გარემოს გამო. ადგილობრივი თემები სრულად უჭერენ მხარს პარკის კონსერვაციის ღონისძიებებს და სარგებელს იღებენ ამ ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარებისგან“.*

მტირალას პარკის **მისიაა** კოლხური ტყის და ასოცირებული ბიომრავალფეროვნების დაცვა და კონსერვაცია; ბუნებრივი ღირებულებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება გარემოსდაცვითი განათლების და მდგრადი ტურიზმის აქტივობების პოპულარიზების გზით, რომლებიც ვიზიტორებს შესაძლებლობას მისცემს, ისიამოვნონ პარკით და ცოდნა მიიღონ მის შესახებ.

ზემოაღნიშნული ხედვიდან გამომდინარე, „მტირალას ეროვნულ პარკში ტურიზმის მდგარდი განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის“ **მიზნებია**:

- დაინტერესებული მხარეები აქტიური ჩართულობა ეროვნული პარკის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.
- ტურისტულ საქმიანობაში ჩართული დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერება ისეთ ასპექტებში, როგორებიცაა გარემოსდაცვითი ღირებულებები და ტურისტების მასპინძლობა.
- მტირალას ეროვნული პარკის ირგვლივ არსებული ტურისტული აქტივობები შემოსავლის წყაროა პარკისთვის და მიმდებარე თემებისთვის.
- ადგილობრივი თემები და რეგიონის მოსახლეობა სრულად ინფორმირებულია პარკის ღირებულებების შესახებ და მონაწილეობენ მათ შენარჩუნებაში.
- მტირალას ეროვნული პარკი ფართოდ არის ცნობილი მისი სერვისების და ობიექტების ხარისხით.

7.2. სტრატეგია

ეს საშუალოვადიანი სტრატეგია, რომელიც 2016-2020 წლებს მოიცავს, განსაზღვრავს 5 სტრატეგიულ მიმართულებას მათი შესაბამისი ამოცანებით, რომლებითაც უნდა მოხდეს საერთო მიზნების მიღწევა და რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს მტირალას ეროვნული პარკის ხედვის განხორციელებას. სტრატეგიის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია მკაფიო, გაზომვადი, სპეციფიკური, შესაფერისი და მიღწევადი ამოცანების განსაზღვრა.

სტრატეგიული მიმართულება 1: მართვა და მმართველობა.

- **ამოცანა 1.1.** 2017 წლისთვის მრჩეველთა რეგიონული საბჭო წარმოადგენს აჭარის დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარების კოორდინირების მექანიზმს.
- **ამოცანა 1.2.** 2017 წლისთვის მმართველობის გასაძლიერებლად შექმნილია თანამონაწილეობითი მექანიზმი დაცული ტერიტორიის დონეზე.
- **ამოცანა 1.3.** 2020 წლისთვის მტირალას ეროვნულ პარკში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი იზრდება 50%-ით.
- **ამოცანა. 1.4.** 2019 წლის ბოლოსთვის მონიტორინგის და შეფასების სისტემა განსაზღვრული და დანერგილია, რათა გამოავლინოს ვიზიტორების ზემოქმედება ბუნების ღირებულებებსა და ადგილობრივ თემებზე.

სტრატეგიული მიმართულება 2: შესაძლებლობების გაძლიერება.

- **ამოცანა 2.1.** დაცული ტერიტორიის პერსონალის შესაძლებლობების და უნარების გაძლიერება მდგრადი ტურიზმის, გარემოს დაცვის და ბიზნეს დაგეგმვის საკითხებში.
- **ამოცანა 2.2.** ადგილობრივი თემების ცოდნის გაღრმავება დაცული ტერიტორიის გარემოსდაცვითი ღირებულებების და ტურიზმთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

სტრატეგიული მიმართულება 3: ადგილობრივი თემების განვითარება.

- **ამოცანა 3.1.** 2019 წლისთვის მტირალას პარკთან ასოცირებული ტურისტული სერვისების პროვაიდერები აკმაყოფილებენ დაცული ტერიტორიების სააგენტოს/ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტის სტანდარტებს.
- **ამოცანა 3.2.** 2020 წლისთვის შექმნილია და ფუნქციონირებს მინიმუმ 5 ახალი ადგილობრივი ბიზნესი.
- **ამოცანა 3.3.** 2020 წლისთვის პარკის ადმინისტრაციამ გამოიკვლია, გააძლიერა და პოპულარიზაცია გაუწია კულტურულ და ტრადიციულ აქტივებს.

სტრატეგიული მიმართულება 4: ინფრასტრუქტურის განვითარება.

- **ამოცანა 4.1.** 2017 წლისთვის, მტირალას ეროვნულ პარკთან მისვლა ადვილად და კომფორტულად შეიძლება.
- **ამოცანა 4.2.** 2018 წლისთვის 50%-ით იზრდება მოთხოვნა ტურისტულ პროდუქტებზე.
- **ამოცანა 4.3.** 2018 წლისთვის შემუშავებულია ახალი და მდგრადი ტურისტული ინფრასტრუქტურა და პროდუქტები, რაც ვიზიტორებს შესაძლებლობას აძლევს შეისწავლონ და აღმოაჩინონ მტირალას ეროვნული პარკის ახალი უბნები.
- **ამოცანა 4.4.** 2019 წლისთვის სრულად ფუნქციონირებს ახალი ბილიკი, რომელიც ვიზიტორებს შესაძლებლობას აძლევს, მოინახულონ აჭარის 3 დაცული ტერიტორია.
- **ამოცანა 4.5.** 2020 წლისთვის ადგილობრივებისა და ვიზიტორებისთვის ფუნქციონირებს კომპლექსური გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო პროგრამა.

სტრატეგიული მიმართულება 5: მარკეტინგი და რეკლამირება.

- **ამოცანა 5.1.** 2020 წლისთვის მტირალას ეროვნული პარკი ცნობილი იქნება ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.
- **ამოცანა 5.2.** მტირალას ეროვნული პარკის შესახებ ინფორმაციის მიღება ადვილია ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით.

8. სამოქმედო გეგმა

სტრატეგიული მიმართულება 1: მართვა და მმართველობა

ეფექტიანი მართვა და მმართველობა მტირალას ეროვნულ პარკში ტურიზმის განვითარების მამოძრავებელი ძალა იქნება და ამიტომ, აუცილებელია ადეკვატური სტრუქტურის შექმნა ამ სტრატეგიის წარმატებული განხორციელების და დასახული მიზნების მიღწევისთვის. სტრუქტურა უნდა იყოს თანამონაწილეობითი და მოიცავდეს დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრს, როგორებიცაა რეგიონული ხელისუფლება, მუნიციპლიტეტები, ადგილობრივი თემები და ა.შ.

მმართველობა მნიშვნელოვანია დაცული ტერიტორიის მდგარდობის უზრუნველსაყოფად. მმართველობის მთავარი საკითხია ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობის უზრუნველყოფა იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც მათ ეხება და კონსენსუსის მიღწევა.

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია, უზრუნველყოს ვიზიტორებისთვის შინაარსიანი გამოცდილება არსებული აქტივობების და ბუნებრივი გარემოს ხარისხის გარანტირების მეშვეობით. უნდა ჩატარდეს რეგულარული მონიტორინგი ტურიზმის ნეგატიური ზემოქმედების გამოსავლენად. გარდა ამისა, ვიზიტორთა კმაყოფილების შეფასება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია იმ პოტენციური სისუსტეების აღმოსაფხვრელად, რომლებიც შესაძლოა დაცულ ტერიტორიაზე გაჩნდეს.

ამოცანა 1.1: 2017 წლისთვის მრჩეველთა რეგიონული საბჭო წარმოადგენს აჭარის დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარების კოორდინირების მექანიზმს.

ქმედება	**რეგიონულ დონეზე მრავალაქტორიანი პლატფორმის - მრჩეველთა რეგიონული საბჭოს - ჩამოყალიბების მხარდაჭერა და მასში აქტიური მონაწილეობა.**	**1.1.1**
დასაბუთება მტირალას ეროვნული პარკი, მაჭახელის ეროვნულ პარკსა და კინტრიშის დაცულ ტერიტორიასთან ერთად, ქმნიან დაცული ტერიტორიების ჯაჭვს კოლხური ტყეების კონსერვაციისთვის. ამ დაცულ ტერიტორიებზე მრავალი შესაძლებლობაა ვიზიტორებისთვის რეკრეაციული აქტივობების შესამუშავებლად, რათა მათ ისიამოვნონ ამ განსაკუთრებული ბუნებით. ტურიზმის განვითარების საქმიანობის უკეთ კოორდინირებისთვის განისაზღვრა აჭარის დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ამ სტრატეგიის ფარგლებში რეკომენდებული იქნა მრავალაქტორიანი პლატფორმის შექმნა, რომელშიც ძირითადი დაინტერესებული მხარეები არიან ჩართული.		

აღწერა

მრჩეველთა რეგიონული საბჭო (რომელიც ცოტა ხნის წინ შეიქმნა) აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან ფუნქციონირებს. ამ მრჩეველთა საბჭოს შეუძლია, წამყვანი როლი შეასრულოს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებს, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობაში. მრჩეველთა რეგიონული საბჭო აერთიანებს კერძო სექტორის და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს და ხელს უწყობს საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგს ტურიზმის საკითხებზე.

ეს სტრუქტურა უნდა იყოს პლატფორმა, სადაც რეგიონულ დონეზე მოხდება ტურისტული საკითხების განხილვა და საერთო ქმედებების შეთანხმება, რომლებიც სხვადასხვა დაცულ ტერიტორიაზე ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მხარდაჭერით უნდა განხორციელდეს.

მტირალას პარკის ადმინისტრაციული პერსონალი აქტიურად უნდა იყოს ჩართული ამ სტრუქტურაში და მონაწილეობდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

პარკის წარმომადგენელს/წარმომადგენლებს ექნებათ შემდეგი პასუხისმგებლობები:

- ეროვნული პარკის დონეზე დაინტერესებული მხარეებისთვის ანგარიშის წარდგენა და მათი ინფორმირება გადაწყვეტილებების შესახებ.
- შეთანხმებული ქმედებების წლიურ გეგმაში შეტანა და მათი განხორციელება.

განსახორციელებელი აქტივობები

- მრჩეველთა რეგიონული საბჭოს შეხვედრების ორგანიზებაში თანამშრომლობა და მათში აქტიური მონაწილეობა.
- ადმინისტრაციული სამუშაოს შესრულება (თანამშრომლობა დღის წესრიგის განსაზღვრაში, შეხვედრების ოქმების შედგენა, სხვა).
- საერთო ქმედებების განსაზღვრა და შეთანხმება, რომლებიც გასათვალისწინებელია აჭარის დაცული ტერიტორიების მართვის გეგმებში. განსახორციელებელ ქმედებებს შორის უნდა იყოს რეალისტური და საჭირო ბიუჯეტის შემუშავება.
- შეხვედრების ოქმების წარმოება და შემუშავებული აქტივობების შესახებ ანგარიშის წარდგენა.

მოსალოდნელი შედეგები	ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი, აჭარის დაცულ ტერიტორიებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, თანამშრომლობს და განსაზღვრავს საერთო ქმედებებს ტურიზმის განსავითარებლად დაცულ ტერიტორიებზე.
ჩართული უწყებები	აჭარის გარემოს დაცვის დეპარტამენტი; აჭარის მუნიციპალიტეტები; აჭარის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები/დაცული ტერიტორიების სააგენტო; ტურიზმის კერძო სექტორი (ტუროპერატორები/ტურისტული სააგენტოები, სასტუმროები, რესტორნები და სხვა);

	ადგილობრივი თემები; არასამთავრობო ორგანიზაციები.		
კოორდინატორი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი		
შეფასების ინდიკატორები	✓ მინიმუმ 2 შეხვედრა ტარდება ყოველწლიურად. ✓ საერთო ქმედებების წლიური გეგმა შემუშავებულია, რომელიც მოიცავს წელიწადში მინიმუმ 2 საერთო აქტივობას.		
განხორციელების პერიოდი	2016-2020	**პრიორიტეტულობა**	მაღალი X საშუალო ☐ დაბალი ☐
ბიუჯეტი	300 ლარი/წელი (შეხვედრები)		

ქმედება	**პოტენციურ პარტნიორებთან თანამშრომლობის ალიანსების შექმნა.**	**1.1.2**

დასაბუთება

ტურიზმის ინდუსტრია კომპლექსურია და მოიცავს ეკონომიკის სხვადასხვა დარგს, როგორებიცაა ტრანსპორტი, კვების ინდუსტრია, მასპინძლობა და სხვა. სტრატეგიული ალიანსები ან თანამშრომლობის შეთანხმებები ამ დარგებთან დასახული მიზნების მიღწევას გააადვილებს.

რეკომენდებულია, რომ მტირალას პარკის ადმინისტრაციამ დაამყაროს ძლიერი კავშირები დაინტერესებულ მხარეებთან/წარმომადგენლებთან როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორიდან.

პარკის მართვასა და მმართველობაში თანამშრომლობის გარდა, უნდა შეიქმნა ორმხრივი ალიანსები პარტნიორებთან, რათა მიღწეული იქნეს სტრატეგიული მიზნები ან კონკრეტული ამოცანები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან: აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი, ტურიზმის მომწოდებლები, ტრანსპორტირების პროვაიდერები, სხვა.

აღწერა

პარკის ერთ-ერთი მთავარი დაინტერესებული მხარე ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტია, რომელიც ეწევა რეგიონის როგორც ტურისტული მიმართულების პოპულარიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ მრჩეველთა რეგიონული საბჭო უზრუნველყოფს ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტთან თანამშრომლობის მექანიზმს, მნიშვნელოვანია, შემუშავდეს სპეციფიკური შეთანხმებები მტირალას ეროვნული პარკის

განვითარებისთვის. გასათვალისწინებელი ასპექტებია: მცირე ბიზნესის განვითარების პროგრამა ადგილობრივი მომწოდებლებისთვის, ტრენინგების განხორციელება, სხვა.

ბათუმის და ქობულეთის სასტუმროები და ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში მასპინძლობის სერვისის სხვა პროვაიდერები შესაფერისი პარტნიორები არიან ეროვნული პარკის პოპულარიზების საქმეში; იგივე შეიძლება ითქვას ბოტანიკურ ბაღზე. ბოტანიკურ ბაღს ყოველწლიურად ბევრი ადამიანი სტუმრობს და ის შესაფერისი ადგილია აჭარის დაცული ტერიტორიების და განსაკუთრებით, მტირალას პარკის რეკლამირებისთვის.

სატრანსპორტო კომპანიებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ და მათთან მიღწეული უნდა იქნეს შეთანხმება მტირალას პარკის მიმართულებით რეისების სიხშირის გაზრდასა და მარშრუტების გაფართოებაზე.

პროდუქტის განვითარების საქმეში სხვა პოტენციურ პარტნიორებს შორის შეიძლება იყოს: საქართველოს გაშოლტვით მეთევზეთა კლუბი, გეორაიდერები (სამთო ველოსიპედის მარშრუტები), ბათუმი რაპტორ ქაუნთი, სხვა.

განსახორციელებელი აქტივობები

- პოტენციური პარტნიორების განსაზღვრა და მათთან თანამშრომლობის შეთანხმებების დადება.
- სემინარების ორგანიზება პარტნიორებთან თანამშრომლობის და ურთიერთგაგების გაუმჯობესებისთვის.
- დადებული ხელშეკრულებების შესრულების და შედეგების მონიტორინგი.

მოსალოდნელი შედეგები	დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის უკეთესი მექანიზმები.		
ჩართული უწყებები	აჭარის ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტები; შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი; ტურიზმის კერძო სექტორი (ტუროპერატორები/ტურისტული სააგენტოები, სასტუმროები, რესტორნები, სატრანსპორტო კომპანიები და სხვა); ადგილობრივი თემები; არასამთავრობო ორგანიზაციები.		
კოორდინატორი	მტირალას ეროვნული პარკი		
შეფასების ინდიკატორები	✓ 2019 წლისთვის პოტენციურ პარტნიორებთან მინიმუმ 3 ალიანსია გაფორმებული.		
განხორციელების პერიოდი	2018-2020	**პრიორიტეტულობა**	მაღალი ☐ საშუალო X

			დაბალი ☐
ბიუჯეტი	450 ლარი/წელი		

ამოცანა 1.2: 2017 წლისთვის მმართველობის გასაძლიერებლად შექმნილია თანამონაწილეობითი მექანიზმი დაცული ტერიტორიის დონეზე.

ქმედება	**მტირალას ეროვნული პარკის მრჩეველთა საბჭოს შექმნა**	**1.2.1**

დასაბუთება

ადგილობრივი თემების და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა დაცული ტერიტორიის დაგეგმვაში, მართვასა და მონიტორინგში უმნიშვნელოვანესია მართვის გაძლიერებისთვის და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, საარსებო საშუალების უზრუნველყოფის და კულტურული ღირებულებების შენარჩუნების ამოცანების შესასრულებლად. ტერიტორიაზე ეფექტიანი ტურიზმის განვითარებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის ინფორმირებული მონაწილეობა და ფართო მონაწილეობის და კონსენსუსის მიღწევის უზრუნველყოფა.

„მტირალას პარკში ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის“ განხორციელებისთვის საჭიროა მჭიდრო თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან, რეგიონულ ხელისუფლებასთან, ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტებთან და განსაკუთრებით, კერძო სექტორსა და ადგილობრივ თემებთან.

აღწერა

მტირალას პარკში კარგი მმართველობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მრავალაქტორიანი მმართველობითი სტრუქტურის ჩამოყალიბება. რეკომენდებულია მტირალას მრჩეველთა საბჭოს შექმნა. მრჩეველთა ეს საბჭო შეიძლება იყოს საერთო პლატფორმა, რომელშიც ყველა დაინტერესებული მხარე (რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებები, ადგილობრივი თემები, კერძო სექტორის წარმომადგენლები და სხვა) იღებს მონაწილეობას და ერთვება ეროვნული პარკის განვითარებაში. მსგავსი სტრუქტურა შეიქმნა კინტრიშის დაცულ ტერიტორიაზე, გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის მიერ დაფინანსებული დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.

მტირალას მრჩეველთა საბჭოს უნდა ჰქონდეს სათანადო როლი მტირალას პარკის დამხმარე ზონის ადგილობრივი თემების განვითარების ხელშეწყობაში. მტირალას პარკის და დაინტერესებული მხარეების პასუხისმგებლობაა ტექნიკური დავალების განსაზღვრა, რომელიც მისი განვითარების ჩარჩო იქნება.

შეფასების ფაზის დროს გამოვლინდა პარკსა და ადგილობრივ თემებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების საჭიროება. ადგილობრივი თემების, განსაკუთრებით ტურისტული აქტივობებით დაინტერესებული თემების, მაგალითად, ჩაქვისთავის, აგარის ან

ყოროლისთავის თემების ჩართვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია პარკში ტურიზმის მდგრადობის უზრუნველყოფისთვის.

შეიძლება რეგულარული შეხვედრების მოწყობა კინტრიშის რეგიონული საბჭოს წარმომადგენლებთან მათი საუკეთესო პრაქტიკის გასაცნობად. თუმცა, საბოლოო მოდელი მტირალას ეროვნული პარკის რეალობას უნდა მოერგოს.

ტექნიკური დავალება უნდა შემუშავდეს და მასში უნდა გაიწეროს: წევრების მინიმალური რაოდენობა, ვინ შეიძლება გახდეს წევრი, ყოველწლიურად ჩასატარებელი შეხვედრების რაოდენობა, სტრუქტურა და სხვა.

**მტირალას ეროვნული პარკის მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და ფუნქციონირების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება შეფასდება 2016 წელს, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ფარგლებში.*

განსახორციელებელი აქტივობები:

- შესაბამისი დაინტერესებული პირების განსაზღვრა, რომლებიც მრჩეველთა საბჭოში უნდა ჩაერთონ.
- საინფორმაციო შეხვედრის ორგანიზება.
- დაინტერესებული მხარეების მოწვევა, ჩაერთონ მრჩეველთა რეგიონულ საბჭოში.
- მრჩეველთა რეგიონული საბჭოს რეგულაციების (ტექნიკური დავალების) განსაზღვრა (წევრობა, როლები, პასუხისმგებლობები, შეხვედრები, სხვა).

მოსალოდნელი შედეგები	მთავარი დაინტერესებული მხარეები ჩართული არიან მტირალას ეროვნული პარკის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.		
ჩართული უწყებები	აჭარის ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; აჭარის გარემოს დაცვის დეპარტამენტი; ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტები; საერთაშორისო დონორები; დაცული ტერიტორიების სააგენტო ტურიზმის კერძო სექტორი (სასტუმროები, რესტორნები, სხვა); ადგილობრივი თემები: ჩაქვისთავი, აგარა, ზუნდაგა; არასამთავრობო ორგანიზაციები.		
კოორდინატორი	მტირალას ეროვნული პარკი		
შეფასების ინდიკატორები	✓ 2017 წლისთვის დამტკიცებულია ტექნიკური დავალება მტირალას ეროვნული პარკის მრჩეველთა საბჭოს რეგულაციებისთვის. ✓ მინიმუმ 2 შეხვედრა იმართება ყოველწლიურად.		
განხორციელების პერიოდი	2016-2017 (მტირალას მრჩეველთა საბჭოს შექმნა)	**პრიორიტეტულობა**	მაღალი X საშუალო ☐

			დაბალი ☐
ბიუჯეტი	2.500 ლარი		

ამოცანა 1.3: 2020 წლისთვის მტირალას ეროვნულ პარკში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი იზრდება 50%-ით.

ქმედება	**შესასვლელი ბილეთის შემოღება მტირალას ეროვნული პარკის კონსერვაციის და მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად.**	**1.3.1**

დასაბუთება

მომხმარებელთა მოსაკრებლის დაწესება ტურისტული აქტივობებიდან შემოსავლების გენერირების ერთ-ერთი ინსტრუმენტია. მოსაკრებლის კარგად შემუშავებული სისტემა ხელს უწყობს ისეთი შემოსავლების გენერირებას, რომლებიც გამოიყენება რეინვესტიციად კონსერვაციაში, ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობაში ან გარემოსდაცვით პროგრამებში.

მტირალას პარკის მართვის ეფექტიანობის და ფინანსური მდგრადობის გასამყარებლად რეკომენდებულია შესასვლელი ბილეთის შემოღება, რაც ხელს შეუწყობს ცნობიერების ამაღლებას კონსერვაციის საქმიანობის გაძლიერების აუცილებლობაზე და აამაღლებს ეროვნული პარკის დაფასების გააზრების დონეს.

აღწერა

შემოთავაზებულია შესასვლელი ბილეთების საცდელი პროექტის განხორციელება მტირალას ეროვნულ პარკში. ამ ეროვნულ პარკს ყველაზე მეტი მნახველი ჰყავს, ის საკმაოდ პოპულარულია და მომხმარებლებს უკვე რეკრეაციული შესაძლებლობების ფართო სპექტრს სთავაზობს.

შესასვლელი ბილეთის შემოღებას მტირალას პარკში მნიშვნელოვანი შემოსავლის გენერირება შეუძლია, რომლითაც შეიძლება დამატებით განვითარდეს ახალი და გაუმჯობესდეს არსებული სერვისები. შესასვლელი ბილეთის შემოღება ასევე დამატებითი ღირებულების სტრატეგია შეიძლება იყოს. ხალხი უფრო მეტად დააფასებს ტერიტორიას, როდესაც იქ შესასვლელად რაღაც ფულის გადახდა მოუწევთ.

შესასვლელი ბილეთის საფასურის შემოთავაზებული სტრუქტურა ძალიან დაბალი იქნება, მონახულება რომ არ შეამციროს.

შესასვლელი ბილეთის საფასურის სტრუქტურა	
ვიზიტორი	**მტირალას ეროვმული პარკი**
სტანდარტული	3 ლარი

ჯგუფები (10 ადამიანზე მეტი)	2 ლარი /ადამიანზე
ადგილობრივი მოსახლეობა	უფასო
მოსწავლეები/სტუდენტები	უფასო

2015 წელს 21,981 ტურისტი ეწვია მტირალას ეროვნულ პარკს: 14,860 ადგილობრივი და 7,121 უცხოელი. შესასვლელი ბილეთებიდან პოტენციური შემოსავლია გამოსაანგარიშებლად, ვივარაუდეთ, რომ სტანდარტულ საფასურს გადაიხდიდა ყველა უცხოელი ვიზიტორი და ქართველი ვიზიტორების 65% (დავუშვით, რომ ქართველი ვიზიტორების 35% არის ადგილობრივი მოსახლეობა/მოსწავლეები, სხვა). ამ გაანგარიშებამ გვაჩვენა, რომ 2015 წელს ბილეთის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი 50,340 ლარი იქნებოდა.

შესასვლელი ბილეთის მიმღებლობის გასაადვილებლად ფასებში შეიძლება გარკვეული კომპენსაციის გათვალისწინება, მაგალითად, ფასდაკლება ზიპლაინის, საკემპინგო ადგილის ანდა თავშესაფარში განთავსებისთვის.ბილეთების გაყიდვით შეგროვებული თანხა უნდა აღემატებოდეს სხვა აქტივობებიდან შეგროვებულ თანხას და ამ კომპენსაციან პარკის ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სხვა სერვისების გამოყენების სტიმულირება უნდა მოახდინოს.

ბილეთის ფასში უნდა შედიოდეს ტერიტორიის ბროშურა, რომელშიც უნდა ეწეროს, რა მნიშვნელობა აქვს ამ თანხის გადახდას, რაში იქნება ეს თანხა გამოყენებული; ასევე უნდა შედიოდეს სხვა ინფორმაცია, როგორიცაა ეროვნული პარკის რუკა, აქტივობები, ამ აქტივობების ფასების და სხვა.

ბილეთები შეიძლება გაიყიდოს ვიზიტორების ცენტრში. ამისთვის დამატებითი პერსონალი იქნება დასაქირავებელი. უნდა შეიქმნა საბუღალტრო სისტემაც შემოსული თანხების აღრიცხვისა და გაანალიზებისთვია.

ბილეთის შემოღებამდე მნიშვნელოვანია, შემუშავდეს და განხორციელდეს ცნობიერების ამაღლების კამპანია, რომლითაც მკაფიოდ იქნება განმარტებული შესვლის საფასურის შემოღების მიზეზები და ამოცანები. გარდა ამისა, უნდა ჩატარდეს გამოკითხვა ბილეთის ფასის გადახდისთვის ვიზიტორების მზაობის შესასწავლად.

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და მომხმარებელთა მიერ გადასახადის აღიარება ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია საზოგადოების მხარდაჭერის მოსაპოვებლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვიზიტორებმა გააცნობიერონ, რომ ისინი სერვისისთვის იხდიან და არა შესვლისთვის.

შესასვლელი ბილეთების შემოღების შესახებ ინფორმაცია უნდა გავრცელდეს მედიის სხვადასხვა საშუალებით (ბროშურები, განცხადებები ადგილობრივ გაზეთებში, სხვა); ამ ტერიტორიაზე მოქმედ ტურისტულ სააგენტოებს ინორმაცია ელექტრონული ფოსტით უნდა დაეგზავნოთ.

უნდა მოხდეს ამ პროექტის მონიტორინგი და თუ წარმატებული აღმოჩნდა, ის უნდა დაინერგოს კინტრიშის დაცულ ტერიტორიასა და მაჭახელის ეროვნულ პარკში (მას შემდეგ, რაც იქ სერვისები და ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდება). თუ ახლო მომავალში, ვიზიტორების 50% გადაიხდის შესასვლელი ბილეთის ფასს, შემოსავალმა შეიძლება 40,000 ლარი შეადგინოს, რაც 4-ჯერ აღემატება მტირალას პარკის ამჟამინდელ შემოსავალს.			
განსახორციელებელი აქტივობები: • მტირალაში შესასვლელი ბილეთების შემოღების გეგმის შემუშავება • ამ გეგმის შესათანხმებლად წარდგენა დაინტერესებული მხარეებისთვის (მრჩეველთა რეგიონული საბჭო და მტირალას მრჩეველთა საბჭო) • გეგმაში გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება (გადახდისთვის მზაობის კვლევის ჩატარება, საინფორმაციო კამპანიების შემუშავება, ინფრასტრუქტურის და ობიექტების დაგეგმვა, რომლებიც საჭიროა ბილეთების საფასურის მოსაკრებად, სხვა).			
მოსალოდნელი შედეგები	მტირალას ეროვნული პარკის ფინანსური მდგრადობა იზრდება და სხვა დაცული ტერიტორიებისთვის ის არის მაგალითი, თუ როგორ შემოიღონ შესასვლელი ბილეთები.		
ჩართული უწყებები	მტირალას მრჩეველთა საბჭოს და მრჩეველთა რეგიონული საბჭოს წევრები.		
კოორდინატორი	მტირალას ეროვნული პარკი		
შეფასების ინდიკატორები	✓ 2017 წლისთვის მინიმუმ 2 შეხვედრაა ჩატარებული, რომლებზეც მსჯელობენ შესასვლელის საფასურის შემოღებაზე. ✓ გეგმა შესასვლელის საფასურის შემოღებაზე დამტკიცებულია და განხორციელებულია 2018 წლის ბოლოსთვის.		
განხორციელების პერიოდი	2017-2019	**პრიორიტეტულობა**	მაღალი ☐ საშუალო X დაბალი ☐
ბიუჯეტი	27.000 ლარი (მათ შორის ცნობიერების ამაღლების კამპანია და მოსაკრებლების შეგროვებისთვის საჭირო ქმედებების განხორციელება)		

ქმედება	**არსებული ინფრასტრუქტურის ადეკვატური მართვის უზრუნველყოფა.**	**1.3.2**

დასაბუთება

ვიზიტორთა ცენტრს ჩაქვისთავში 4 ოთახი აქვს გასაქირავებლად. 2014 წლიდან ეს ოთახები მესამე მხარეს აქვს მართვაში გადაცემული. 2015 წელს კონცესიონერმა უარი თქვა კონცესიაზე და 2015 წლის განმავლობაში ეს ოთახები არ გამოიყენებოდა.

დაცული ტერიტორიების სააგენტო გეგმავს, კონცესიით გადაცემის ნაცვლად, ობიექტების მართვის უფლებამოსილება პარკის ადმინისტრაციას გადასცეს; თუმცა, რეკომენდებულია კერძო ბიზნესთან, განსაკუთრებით ადგილობრივ ბიზნესთან თანამშრომლობა.

აღწერა

ვიზიტორთა ცენტრის სასტუმროს ოთახებს აქვს დიდი პოტენციალი, გაზარდოს მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ეკონომიკური შემოსავლები. ადმინისტრაციას სასტუმროს ოთახების მართვის შეზღუდული შესაძლებლობები აქვს და ეს მის ძირითად საქმიანობას არ წარმოადგენს. შესაბამისად, რეკომენდებულია მათი მესამე მხარისხთვის (სასურველია, ადგილობრივი მცხოვრებისთვის) მიქირავება.

2016 წელს მტირალას პარკმა დონორების დახმარება მიიღო სასტუმროს ოთახების რენოვაციისა და მართვისთვის. თუმცა, იმისათვის, რომ დონორთა დახმარების გარეშე მოხდეს ამ ინფრასტრუქტურის რაციონალური მართვა, საჭიროა სრულყოფილი ბიზნესგეგმის შემუშავება, პოტენციური ინვესტორების ან მენეჯერების მოწვევა და ამ ბიზნესის მართვაზე ადგილობრივ მეწარმეებთან შეთანხმების მიღწევა.

გარდა ამისა, პარკს აქვს რეინჯერის სახლი, რომელიც არ გამოიყენება. რეინჯერის სახლი შეიძლება გამოყენებული იქნეს სუვენირების მაღაზიად, ველოსიპედების გასაქირავებელ პუნქტად და სხვა.

განსახორციელებელი აქტივობები:

- ვიზიტორთა ცენტრის სასტუმროს ოთახებისთვის განსაზღვრულია კონცესიის მკაფიო სისტემა.
- სასტუმროს ოთახების მართვა შეთავაზებულია საზოგადოებისთვის.
- კონცესია გაფორმებულია მოკლე პერიოდზე (2-3 წელი) მისი გაგრძელების შესაძლებლობით.

მოსალოდნელი შედეგები	სასტუმრო ოთახები მტირალას ეროვნული პარკის ეკონომიკური შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა.		
ჩართული უწყებები	დაცული ტერიტორიების სააგენტო		
კოორდინატორი	მტირალას ეროვნული პარკი		
შეფასების ინდიკატორები	✓ 2017 წლისთვის დანერგილია ვიზიტორთა ცენტრში სასტუმრო ოთახების მართვის ადეკვატური სისტემა.		
განხორციელების პერიოდი	2017	**პრიორიტეტულობა**	მაღალი X საშუალო ☐ დაბალი ☐

ბიუჯეტი	700 ლარი

ამოცანა. 1.4: 2019 წლის ბოლოსთვის მონიტორინგის და შეფასების სისტემა განსაზღვრული და დანერგილია, რათა გამოავლინოს ვიზიტორების ზემოქმედება ბუნების ღირებულებებსა და ადგილობრივ თემებზე.

ქმედება	**კვლევის მომზადება მტირალას ეროვნულ პარკში ვიზიტორთა გამტარუნარიანობის მართვაზე.**	**1.4.1**

დასაბუთება

დაცული ტერიტორიების ფუნქციებში შედის, ერთი მხრივ, ბუნებრივი და კულტურული რესურსების დაცვა და მეორე მხრივ, საზოგადოების მიერ მათი გამოყენების ხელშეწყობა. დაცულ ტერიტორიაზე მდგრადი ტურიზმის განვითარებისთვის საჭიროა ამ ორ მიზანს შორის ბალანსის მიღწევა. ამ საკითხთან პირდაპირ არის დაკავშირებული გამტარუნარიანობის ცნება, რაც განიმარტება როგორც „ვიზიტორთა მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც ერთდროულად შეიძლება იყოს ტურისტულ ადგილზე ისე, რომ არ უარყოფითად არ იმოქმედოს საზოგადოების/თემის ფიზიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ ღირებულებებზე და არ გამოიწვიოს ვიზიტორთა კმაყოფილების დონის (მნიშვნელოვანი) კლება“; ეს ნიშნავს ვიზიტორთა იმ რაოდენობას, რომლის მართვაც შეუძლია დაცულ ტერიტორიას ბუნებრივი რესურსებზე და ადგილობრივ თემებზე უარყოფითი ზეგავლენის გარეშე.

აღწერა

მტირალას ეროვნულ პარკში მნახველების რაოდენობა იზრდება. ეს ზრდა იმ ძალისხმევის შედეგია, რომელიც გაწეული იქნა ვიზიტორთა ინფრასტრუქტურის და სერვისების შექმნისა და განვითარებისთვის. ამ სერვისების უმეტესობა სოფელ ჩაქვისთავის გარშემოა კონცენტრირებული, რაც არა მარტო ეკოლოგიურ ზეწოლას, არამე სოფლის მოსახლეობაზე სოციალურ ზეწოლას ზრდის.

ტურისტული აქტივობების გაფართოებამ შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს ბუნებრივ რესურსებზე; ამის აღსაკვეთად უნდა განისაზღვროს ის ადგილები, რომელთა მონახულება უნდა შეიზღუდოს.

გამტარუნარიანობა უნდა დადგინდეს ბუნებრივი და კულტურული ღირებულებების და ვიზიტორთა პოტენციური ზემოქმედების საფუძველზე. ამ კვლევას უნდა დაემატოს ვიზიტორთა ზეგავლენის მონიტორინგი და ადგილობრივ მოსახლეობაზე ტურიზმის პოტენციული ზეგავლენის შეფასება. ყველა ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია, რომ განისაზღვროს აუცილებელი ზომები იმ ნეგატიური ზემოქმედების შესამცირებლად, რასაც ტურისტული აქტივობები იწვევს. განსახორციელებელ პრევენციულ და კორექციულ ღონისძიებებს შორის არის:

- ვიზიტორთა ქცევის კოდექსის შესახებ ბუკლეტების დამზადება,
- ვიზიტორებისთვის ადეკვატური ტურისტული ობიექტების და სერვისების უზრუნველყოფა,

- ვიზიტორთა დღიურ რაოდენობაზე ლიმიტის დაწესება,
- სხვ.

კიდევ ერთი მხედველობაში მისაღები ასპექტია ავტომობილების რაოდენობა, რომელიც ტერიტორიამ შეიძლება დაიტიოს. ჩაქვისთავში ვიზიტორთა ცენტრთან მცირე სივრცეა პარკინგისთვის. უკვე არის გეგმები (ადგილობრივების ინიციატივა), მანქანების სადგომის მოსაწყობად. თუმცა, ადმინისტრაციამაც უნდა ითამაშოს ერთ-ერთი წამყვანი როლი და დააწესოს მკაფიო ლიმიტები მანქანებზე, რომლებისთვისაც ნებადართულია პარკთან მიახლოება და განსაზღვროს მანქანის გასაჩერებელი ადგილი. გარდა ამისა, ტერიტორიაზე მისასვლელად ვიზიტორებისთვის უნდა არსებობდეს საზოგადოებრივი ტრასპორტის სისტემა.

განსახორციელებელი აქტივობები:

- კვლევის ჩატარება ოპტიმალური გამტარუნარიანობის შესაფასებლად.
- ღონისძიებების განსაზღვრა ტურისტული აქტივობით გამოწვეული ნეგატიური შედეგების შესამცირებლად.

მოსალოდნელი შედეგები	დანერგილია ვიზიტორთა მართვის ეფექტიანი სისტემა.		
ჩართული უწყებები	დაცული ტერიტორიების სააგენტო; ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; სოფელი ჩაქვისთავი		
კოორდინატორი	მტირალას ეროვნული პარკი		
შეფასების ინდიკატორები	✓ 2018 წლისთვის უზრუნველყოფილია ტექნიკური დახმარება გამტარუნარიანობაზე კვლევის ჩასატარებლად (მაგ., უნივერსიტეტი /კერძო კომპანია).		
განხორციელების პერიოდი	2017-2018	**პრიორიტეტულობა**	მაღალი X საშუალო ☐ დაბალი ☐
ბიუჯეტი	21.000 ლარი		

ქმედება	**ვიზიტორთა ზეგავლენის მონიტორინგის სისტემის შემუშავება და დანერგვა.**	**1.4.2**

დასაბუთება

მონიტორინგი არის დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის წარმატებული განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი. დაცული ტერიტორიების ერთ-ერთ საზრუნავს ვიზიტორების მიერ ბუნებრივი რესურსების გამოყენებით გამოწვეული შედეგები წარმოადგენს. ამიტომ, ვიზიტორთა ზეგავლენის (სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით დონეებზე) ცოდნა მტირალას პარკში ტურიზმის მდგრადობის

ფუნდამენტური ელემენტია. გარდა ამისა, ვიზიტორების მიერ ბუნებრივი რესურსების გამოყენების მონიტორინგი მნიშვნელოვანია მენეჯმენტის ინფორმირებისთვის, რომ, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს ზომები გამოვლენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად.

აღწერა

ტურიზმის განვითარების და მისი ზეგავლენის მონიტორინგისთვის აუცილებელია ინდიკატორების განსაზღვრა, რომლებიც ტურისტული სიტუაციის გაანალიზების შესაძლებლობას იძლევა. ინდიკატორებმა უნდა გამოავლინოს ცვლილებები და გაუადვილოს პარკის პერსონალს გადაწყვეტილებების მიღება. ეს ინდიკატორები უნდა მოიცავდეს მონაცემებს შემდეგ საკითხებზე:

- ვიზიტორთა კმაყოფილების (ტურისტული აქტივობებით, გარემოსდაცვითი საკითხებით, სხვა) დონე
- ადგილობრივი თემების კმაყოფილების დონე
- ვიზიტორთა რაოდენობის დინამიკა
- ტურისტული აქტივობებიდან და მოსაკრებლებიდან მიღებული ეკონომიკური შემოსავლების (თვიური და წლიური) დინამიკა
- კონცესიებიდან მიღებული შემოსავალი
- ინციდენტების რაოდენობა
- წარმოებული ნარჩენების მოცულობა
- ტურისტთა პროცენტული წილი, რომელიც საზოგადოებრივ/კერძო ტრანსპორტს იყენებს
- ჰაბიტატების პროცენტული წილი, რომელიც დააზარალა ტურისტულმა ინფრასტრუქტურამ და ობიექტებმა
- ტურიზმში აქტიურად ჩართული ადგილობრივი თემების წარმომადგენლების რაოდენობა

კარგად განსაზღვრულ ინდიკატორებს შემდეგი სარგებელი მოაქვს:

- რისკების და ხარჯების შემცირება
- წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიცირება, რაც პრევენციული ზომების მიღების შესაძლებლობას იძლევა
- ზეგავლენის იდენტიფიცირება, რაც, საჭიროების შემთხვევაში, კორექციული ქმედებების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა
- სტრატეგიის და მისი ამოცანების განხორციელების შეფასება
- ანგარიშვალდებულების ზრდა, რაც სანდო ინფორმაციას უზრუნველყოფს სწორი გადაწყვეტილებების მიღებისთვის.

მონაცემთა შეგროვებაში რამდენიმე დაინტერესებული მხარე/ორგანიზაცია უნდა იყოს ჩართული. ეს მონაცემები ყოველწლიურად უნდა აღირიცხოს და წარედგინოს ყველა დაინტერესებულ მხარეს. შედეგები დეტალურად უნდა გაანალიზდეს, რათა განისაზღვროს მართვის შესაფერისი ვარიანტები (კორექციის ღონისძიებები, სხვა).

დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის პერსონალმა უნდა იმუშაოს ინდიკატორების განსაზღვრაზე და საბაზისო ანალიზის შემუშავებაზე. ინდიკატორების გაზომვაში აქტიური როლი რეინჯერებმა უნდა შეასრულონ. ჩართული უნდა იყოს ადგილობრივი თემებიც,

განსაკუთრებით, ისინი, ვინც დაცული ტერიტორიის ფარგლებში ცხოვრობს. უნდა შემუშავდეს სპეციფიკური ტრენინგი მონიტორინგის საკითხებში, რათა ეს მონიტორინგი მკაფიო სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით ჩატარდეს.

ზოგიერთი ასპექტი, რომელიც მონიტორინგს საჭიროებს და უნდა შეივსოს ადგილობრივი თემების კვლევებით და ვიზიტორთა კმაყოფილების კვლევით, აღწერილია ქმედებებში 1.4.3/ 1.4.4.

განსახორციელებელი აქტივობები

- გასაზომი ინდიკატორების განსაზღვრა.
- საბაზისო ანგარიშის შემუშავება.
- ვიზიტორთა ზეგავლენის მონიტორინგის ჩატარება.
- ანგარიშის შემუშავება, რომელშიც გაანალიზდება მიღწეული შედეგები და წარედგინება დაინტერესებულ მხარეებს.
- დასანერგი კორექციული ზომების განსაზღვრა (საჭიროების შემთხვევაში).
- მონიტორინგის პროგრამის შეფასება

მოსალოდნელი შედეგები	პარკის კონსერვაციის საქმიანობა უზრუნველყოფილია ტერიტორიაზე ვიზიტორთა ზეგავლენის მონიტორინგით.		
ჩართული უწყებები	დაცული ტერიტორიების სააგენტო; მტირალას ეროვნული პარკის პერსონალი (რეინჯერები, ვიზიტორთა სპეციალისტები, სხვა)		
კოორდინატორი	მტირალას ეროვნული პარკი		
შეფასების ინდიკატორები	✓ 2017 წელს განსაზღვრულია გასაზომი ინდიკატორები და საბაზისო ანგარიში.		
განხორციელების პერიოდი	2017 (ინდიკატორების და საბაზისო ანგარიშის შემუშავება) 2019 (ვიზიტორთა ზეგავლენის მონიტორინგის ჩატარება)	**პრიორიტეტულობა**	მაღალი ☐ საშუალო X დაბალი ☐
ბიუჯეტი	8.500 ლარი		

ბიუჯეტი	**კვლევის შემუშავება ტურიზმისადმი ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულების შესასწავლად.**	**1.4.3**

დასაბუთება

ტურიზმის განვითარება პოზიტიურ და ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ადგილობრივ თემებზე. მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარების არა მარტო პარკის გარემოზე ზეგავლენის მონიტორინგი, არამედ დამხმარე ზონის თემებზე მისი სოციალური ზეგავლენის

მონიტორინგი, განსაკუთრებით, სოფელ ჩაქვისთავში, რომლის გარშემოც ვითარდება პარკის ტურიზმის. ეს კვლევა ერთ-ერთი ინსტრუმენტი უნდა იყოს პოტენციური უარყოფითი შედეგების ასაცილებლად და ამ თემების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.			
აღწერა მოელიან, რომ ტურიზმის განვითარება სოციალურ და ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს პარკის დამხმარე ზონაში მცხოვრებ თემებს. თუმცა, ტურიზმს უარყოფითი ზეგავლენის მოხდენაც შეუძლია, რისი პრევენციაც აუცილებელია. ამ პოტენციური ნეგატიური სოციო-კულტურული ზეგავლენის მაგალითია იდენტობის ან ღირებულებების შეცვლა ან დაკარგვა. ჩაქვისთავი ტრადიციული სოფელია, რომელშიც 20-მდე ოჯახი ცხოვრობს. ეროვნულ პარკში ტურიზმი ძირითადად კონცენტრირებულია სოფლის გარშემო. ამჟამად სოფლის 6 ოჯახი ვიზიტორებს განთავსებას სთავაზობს; და მიმდინარეობს სხვა ინიცატივების შემუშავებაც. ტერიტორიის მონახულება ტურისტულ სეზონზე საკმაოდ მაღალია; ამიტომ, მნიშვნელოვანია ადგილობრივ თემებზე პოტენციური ზეგავლენის მონიტორინგი და მონახულების არსებული მოდელებით მათი კმაყოფილების დონის შეფასება.			
განსახორციელებელი აქტივობები • კვლევის შემუშავება ადგილობრივი თემებისთვის (ჩაქვისთავი) • კვლევის ჩატარება • შედეგების ანალიზი • კორექციული ღონისძიებების განსაზღვრა, თუ საჭიროა			
მოსალოდნელი შედეგები	ადგილობრივი თემები ინფორმირებული არიან ტურიზმის პოზიტიური შედეგების შესახებ და მხარს უჭერენ ტურიზმის განვითარებას ტერიტორიაზე.		
ჩართული უწყებები	ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; ადგილობრივი თემები; მუნიციპალიტეტები.		
კოორდინატორი	მტირალას ეროვნული პარკი.		
შეფასების ინდიკატორები	✓ 2018 წლისთვის შემუშავებულია კვლევა ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით ადგილობრივ თემებში პოტენციური პრობლემების გამოსავლენად.		
განხორციელების პერიოდი	2018-2019	**პრიორიტეტულობა**	მაღალი ☐ საშუალო ☐ დაბალი X
ბიუჯეტი	1.100 ლარი		

ქმედება	**ვიზიტორთა კმაყოფილების კვლევის შემუშავება და ჩატარება.**	**1.4.4**

დასაბუთება

ვიზიტორებისთვის ხარისხიანი პროდუქტების და პოზიტიური გამოცდილების შესათავაზებლად, მნიშვნელოვანია ვიზიტორების პროფილის, მათი მოტივაციების და პარკსა და მის შემოგარენში შეთავაზებული სერვისების მათეული აღქმის გაგება და განსაზღვრა.

აღწერა

ადგილობრივი თემების კვლევის გარდა საჭიროა კვლევის ჩატარება ვიზიტორთა კმაყოფილების დონის დასადგენად. მტირალას პარკი უკვე ატარებს ვიზიტორთა კმაყოფილების კვლევებს. თუმცა, შეკრებილი ინფორმაცია ძალიან მწირია და გასაუმჯობესებელია, რათა უკეთ დადგინდეს სერვისების და ინფრასტრუქტურის სუსტი მხარეები. გარდა ამისა, კვლევამ პარკს ღირებული ინფორმაცია უნდა მიაწოდოს ვიზიტორთა პროფილის და მათი სპეციფიკური ინტერესების შესახებ. ამ ინფორმაციის გამოყენებით შეიძლება არსებული პროდუქტების მოდიფიცირება სხვადასხვა ბაზრისთვის.

ეს კვლევები შეიძლება შემუშავდეს და მიეწოდოს სხვადასხვა სასტუმროს, საოჯახო სასტუმროს და ასევე ვიზიტორთა ცენტრს. კვლევები მნიშვნელოვანია ვიზიტორთა პროფილის და მათი აღქმების გასაცნობად შემდეგ საკითხებზე:

- ვიზიტორთა ობიექტების ხარისხი,
- მისასვლელის ხარისხი,
- შეთავაზებული პროდუქტების ხარისხი,
- ვიზიტის საერთო ხარისხი.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, რათა გამოვლინდეს ტურისტული შეთავაზების სისუსტეები.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს უკვე აქვს ვიზიტორთა კმაყოფილების კვლევის ნიმუში. ეს ნიმუში უნდა მოდიფიცირდეს მტირალას ეროვნული პარკის რეალობის შესაბამისად.

დანართში 1 მოცემულია ვიზიტორთა კვლევის მაგალითი.

განსახორციელებელი აქტივობები

- ვიზიტორთა კმაყოფილების კვლევის შემუშავება (დაცული ტერიტორიების სააგენტოს უკვე აქვს ასეთი კვლევა)
- კვლევის ჩატარება
- შედეგების გაანალიზება
- კორექციული ღონისძიებების განსაზღვრა, თუ საჭიროა.

მოსალოდნელი შედეგები	ვიზიტორები კმაყოფილი არიან შეთავაზებული სერვისებითა და მათი ხარისხით.
ჩართული უწყებები	ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; დაცული ტერიტორიების სააგენტო;

	ტურისტული სერვისის პროვაიდერები (სასტუმროები, საოჯახო სასტუმროები, სხვა)		
კოორდინატორი	მტირალას ეროვნული პარკი		
შეფასების ინდიკატორები	✓ 2018 წლისთვის შემუშავებულია კითხვარი მტირალას პარკის ვიზიტორთა კმაყოფილების დონის დასადგენად და ის ხელმისაწვდომია ტურისტებისთვის. ✓ წლიურად რეგისტრირებული ვიზიტორების მინიმუმ 60% ავსებს ამ კითხვარს.		
განხორციელების პერიოდი	2017-2019	**პრიორიტეტულობა**	მაღალი ☐ საშუალო X დაბალი ☐
ბიუჯეტი	1.100 ლარი		

სტრატეგიული მიმართულება 2: შესაძლებლობების გაძლიერება

დაცული ტერიტორიების პერსონალის და ადგილობრივი თემების შესაძლებლობების გაძლიერება ისეთ საკითხებში, რომლებიც დაცულ ტერიტორიას უკავშირდება, დადებითად შეცვლის მათ ქცევას. აუცილებელია თემის წევრების გარემოსდაცვითი განათლება დაცული ტერიტორიების ბუნებრივი ღირებულებების შესახებ, რათა ისინი პასუხისმგებლობით მოეკიდონ მათ კონსერვაციას. შავი ზღვის ეკო აკადემიის მიერ მომზადებული შეფასების მიხედვით, დამხმარე ზონის ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების დონე გარემოს დაცვის საკითხების შესახებ ძალიან დაბალია.

ტრენინგის სესიები უნდა ეხებოდეს შემდეგ საკითხებს: დაცული ტერიტორიების მნიშვნელობა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის და ადგილობრივი მოსახლეობის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით; ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობა, სხვა.

გარდა ამისა, შესაძლებლობები უნდა გაძლიერდეს ტურიზმთან დაკავშირებულ საკითხებშიც (მასპინძლობა, ენების ცოდნა, სხვა). ტურიზმი მომსახურების ინდუსტრიაა და ვიზიტორის შთაბეჭდილებებს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სერვისის ხარისხი და პირადი ურთიერთობა; ამიტომ, ტურისტული ადგილის მნიშვნელოვანი ელემენტია ხარისხიანი ურთიერთქმედება ეროვნული პარკის პერსონალსა და სერვისების პროვაიდერებთან.

შესაძლებლობების გაძლიერებასთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები პარტნიორობების ჩამოყალიბების საკითხი. თანამშრომლობა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აკადემიურ ინსტიტუტებთან და კერძო სექტორთან დაცულ ტერიტორიას შესაძლებლობას აძლევს, გამოიყენოს მათი გამოცდილება, ცოდნა და უნარები ტრენინგის და საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზებისთვის (მაგალითად: „ელკანა“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი, სასტუმროების და რესტორნების ასოციაცია, სხვა).

ამოცანა 2.1. დაცული ტერიტორიის პერსონალის შესაძლებლობების და უნარების გაძლიერება მდგრადი ტურიზმის, გარემოს დაცვის და ბიზნესდაგეგმვის საკითხებში.

ქმედება	დაცული ტერიტორიის პერსონალისთვის ტრენინგის პროგრამის შემუშავება და განხორციელება.	2.1.1
დასაბუთება დაცულ ტერიტორიაზე მდგრადი ტურიზმის ეფექტიანი მართვისთვის მნიშვნელოვანია დაცული ტერიტორიის პერსონალის გაძლიერება ტურიზმთან დაკავშირებულ სფეროებში.		

უნარიანი, კომპეტენტური და გამოცდილი პერსონალი უმნიშვნელოვანესია წარმატებული შედეგების მისაღწევად.

დაცულ ტერიტორიებს ესაჭიროება კარგად გაწვრთნილი, აღჭურვილი და მოტივირებული რეინჯერები, რათა მათუზრუნველყონ ვიზიტორთა უსაფრთხოება, აღკვეთონ არსებული საფრთხეები, მაგალითად, რესურსების არასათანადო გამოყენება, უკანონო ნადირობა და სხვა. ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად რეინჯერებს წვრთნა უნდა ჩაუტარდეთ ისეთ სფეროებში, როგორებიცაა რესურსების მართვა, უსაფრთხოების და სამაშველო პროცედურები, სამართალდაცვა, დაცული ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მშენებლობას და მოვლა-პატრონობს, ტურიზმი და მასპინძლობა და სხვა.

აღწერა

დაცული ტერიტორიაზე შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამის დასანერგად და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის პროფესიონალური შეფასების ინსტრუმენტების შესამუშავებლად, ადმინისტრაცია, დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამის ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობით, მუშაობს სატრენინგო მოდულების შექმნაზე. მოდულები ემყარება ტრენინგის საჭიროებების შეფასებას (2013) და „აღმოსავლეთ ევროპაში დაცული ტერიტორიების საქმიანობის პროგრამის განხორციელებისთვის შესაძლებლობების გაძლიერების გეგმას "[6], რომელიც მოამზადა ProPark Foundation-მა[7]. ამ გეგმის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო შესაძლებლობების გაძლიერების და პროფესიული განვითარების სისტემატური პროგრამის დანერგვა ეროვნული პროფესიული სტანდარტების შესაბამისად დაცული ტერიტორიების პერსონალისთვის.

დაცული ტერიტორიების სააგენტომ და დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამამ გადაწყვიტეს, ტრენინგის მოდულები შეიმუშაონ რეინჯერების საჭიროებებზე დაყრდნობით და დაიწყონ ყველა რეინჯერისთვის საერთო საბაზისო საჭიროებებიდან, ვინაიდან რეინჯერები საქართველოს დაცული ტერიტორიების პერსონალის ბირთვს წარმოადგენს. ტურიზმი და რეკრეაცია არ არის რეინჯერების უპირველესი პასუხისმგებლობა, თუმცა ზოგი აქტივობა, მაგალითად, ტურისტების გაძღოლა და ვიზიტორების ინსტრუქტაჟი, მათ მოვალეობებში შედის და შესაბამისად, ტრენინგი ამ საკითხებს ითვალისწინებს. ზოგ მოდულში იქნება შესავალი კურსი ახალი თანამშრომლებისთვის, რომელიც მათი პოზიციებისთვის შესაფერის საკითხებს შეეხება. ეს კურსები სპეციალიზებულ პერსონალის უნარების და ცოდნის ბაზა იქნება და სავარაუდოდ, მოიცავს შემდეგ საკითხებს: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია, ტურიზმი და რეკრეაცია და თემის განვითარება.

შემუშავებული მოდულები განხორციელდება ინდივიდუალურად, თითოეული დაცული ტერიტორიისთვის, მისი პერსონალის კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინებით. ასევე

---

[6] *აღმოსავლეთ ევროპა, როგორც განსაზღვრულია ამ პროექტის ფარგლებში, მოიცავს შემდეგ 24 ქვეყანას: ხორვატია, ესტონეთი, ლატვია, საქართველო, რუმინეთი, სერბეთი, სლოვაკია, სლოვენია, უკრაინა (პრიორიტეტული ქვეყნები), ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი, კოსოვო, ლიტვა, იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია, მოლდოვა, მონტენეგრო, პოლონეთი და თურქეთი (მეორადი ქვეყნები).*

[7] *ProPark Foundation-მა ხელი შეუწყო ეროვნული სამუშაო ჯგუფის მომზადებას საქართველოში. პროექტი „შესაძლებლობების გაძლიერების გეგმა აღმოსავლეთ ევროპაში დაცული ტერიტორიების ეფექტიანი მართვისთვის" ხორციელდება ბუნების კონსერვაციის გერმანიის ფედერალური სააგენტოს მხარდაჭერით 2013-2016 წლებში.*

იგეგმება საქართველოს უნივერსიტეტების მოტივირება, შეიმუშაონ მაღალი დონის მოდულები და კურსები დაცული ტერიტორიების საკითხებზე, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება დაცული ტერიტორიების პერსონალისთვის.

მოხდება დაცული ტერიტორიების სპეციალობების სტანდარტიზება, რასაც განათლების სამინისტროში (დაწესებულება, რომელიც ოფიციალურად არეგისტრირებს სპეციალობებს) არსებული პროცედურების შესაბამისად შექმნილი სამუშაო ჯგუფი განახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მონაწილეობით.

ტრენინგის მოდულები ამჟამად მუშავდება დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში და მათი განხორციელება 2017 წელს დაიწყება.

ზემოხსენებულის გარდა, ტურიზმსა და მასპინძლობაში ტრენინგის საჭიროებების შეფასებით, რომელიც პროექტის პერსონალმა ჩაატარა, გამოვლინდა ყველაზე აქტუალური საკითხები.

	დაცული ტერიტორიის დირექტორი	დაცული ტერიტორიის პერსონალი
ეკოტურიზმის პრინციპები და ბუნებრივი ტურიზმი	**X**	**X**
მასპინძლობა და მომხმარებლის მომსახურება		**X**
გარემოსდაცვითი განმარტება		**X**
განმარტება და კომუნიკაცია / გამყოლობა	**X**	**X**
საზოგადოებასთან ურთიერთობა და მარკეტინგი	**X**	**X**
საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიები	**X**	**X**
ენები (ინგლისური)		**X**
პროექტის წერა	**X**	
ბიზნესის დაგეგმვა	**X**	

სასურველია, დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა სპეციალისტებმა გაიარონ ტრენინგი ტურიზმსა და მარკეტინგში, განსაკუთრებით ონლაინ მარკეტინგში, ტურის პროდუქტის შემუშავებასა და შეფუთვაში.

დაცულ ტერიტორიებზე მომუშავე რეინჯერებს არ სთხოვენ სპეციფიკურ უნარებს ამ პოზიციის დასაკავებლად; უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს რეინჯერების სასწავლო

პროგრამა, რათა უკეთ განისაზღვროს მათი როლი და პასუხისმგებლობები. ზოგიერთი საკითხი, რომლებსაც რეინჯერების ტრენინგის პროგრამა უნდა მოიცავდეს, არის:

- ადგილობრივ თემებთან მუშაობა. დაცული ტერიტორიის ადგილობრივი თემების უშუალო ზეგავლენას ახდენენ დაცული ტერიტორიის კონსერვაციაზე. ურთიერთობა ადგილობრივ თემებსა და რეინჯერებს შორის მეგობრული უნდა იყოს;
- ინფრასტრუქტურა და ბილიკები;
- განმარტება და გარემოსდაცვითი განათლება;
- ზოგადი მასპინძლობა და ტურიზმი;
- დაცვა და აღსრულება;
- გადაუდებელი რეაგირება (უსაფრთხოების პროცედურები);
- უცხო ენები;
- მონიტორინგი

ყველა ზემოაღნიშნული საკითხი გათვალისწინებულია დაცული ტერიტორიების სისტემის შესაძლებლობების გაძლიერების სტრუქტურულ პროგრამაში (დაცული ტერიტორიების სააგენტოს/დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამის პროექტი).

განსახორციელებელი აქტივობები

- ტრენინგის კურიკულუმების განსაზღვრა დაცული ტერიტორიის წევრებისთვის.
- პოტენციური ტრენერების /ექსპერტების იდენტიფიცირება რეგიონში.
- ტრენინგის წლიური კალენდრის შემუშავება.
- ტრენინგის მოდულების განხორციელება.

მოსალოდნელი შედეგები	მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციული პერსონალი სრულად არის მომზადებული შესაბამის საკითხებში.		
ჩართული უწყებები	მტირალას ეროვნული პარკი; ქობულეთის პროფესიული საგანმანათლებლო ტრენინგცენტრი; არასამთავრობო ორგანიზაციები; ქობულეთის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები; ადგილობრივი თემები; ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი; შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი.		
კოორდინატორი	დაცული ტერიტორიების სააგენტო		
შეფასების ინდიკატორები	✓ ტრენინგის 2 კურსი ტარდება ყოველწლიურად მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციული პერსონალისთვის.		
განხორციელების პერიოდი	2017-2020	**პრიორიტეტულობა**	მაღალი X საშუალო ☐

			დაბალი ☐
ბიუჯეტი	12.000 ლარი/წელი		

ქმედება	**სასწავლო ტურების ორგანიზება რეინჯერებისთვის /დაცული ტერიტორიის პერსონალისთვის**	**2.1.2**

დასაბუთება

როგორც გამოცდილება აჩვენებს, თეორიულ კურსებზე უფრო ეფექტიანი განვითარებულ დაცულ ტერიტორიებზე სასწავლო ტურები და საველე სამუშაოებია. სასწავლო ტურები მოწინავე დაცულ ტერიტორიებზე, როგორებიცაა ლაგოდეხი და ბორჯომი-ხარაგაული, ასევე სხვა საერთაშორისო დაცულ ტერიტორიებზე ხელს შეუწყობს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, ახალი იდეების გენერირებას და მძლავრი კავშირების შექმნას. გამოცდილების გაზიარება და პრაქტიკული საველე სამუშაო ხელს უწყობს საუკეთესო პრაქტიკის გადმოღებას.

აღწერა

მტირალას პარკში ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად, მტირალას ადმინისტრაციული პერსონალი, განსაკუთრებით რეინჯერები და მენეჯმენტი, ტრენინგს საჭიროებს მასპინძლობისა და ტურიზმის სფეროებში. ამის მთავარი მიზანია, რომ ეს პერსონალი გაეცნოს დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის საოპერაციო სისტემას, მათ შორის, ტურისტული პროდუქტის შემუშავებას და კონტაქტების დამყარებას, ასევე, განმარტების უნარებს, მარკეტინგს და გაყიდვებს.

ეს სასწავლო ტური რეინჯერებს უფრო ღრმა წარმოდგენას შეუქმნის ტურიზმის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ, რომელი შეიძლება ყოველდღიურ საქმიანობაში გამოიყენონ.

სამოქმედო გეგმის განხორციელების დროს რეკომენდებულია ეროვნულ დონეზე მინიმუმ 2, ხოლო საერთაშორისო დონეზე 1 სასწავლო ტურის მოწყობა.

მაგალითად, ტურები ოკაცეს კანიონში, ბორჯომი-ხარაგაულის ნაკრძალში და სხვა ეროვნულ და საერთაშორისო დაცულ ტერიტორიებზე.

განსახორციელებლი აქტივობები

- სასწავლო ვიზიტისთვის ყველაზე შესაფერისი დაცული ტერიტორიის შერჩევა საქართველოში
- ტურისთვის ყველაზე შესაფერისი დაცული ტერიტორიის შერჩევა უცხო ქვეყანაში (ლატვია, გერმანია, ავსტრია, თურქეთი ან ესპანეთი).
- ტურის განხორციელება და ანგარიშის მომზადება.

მოსალოდნელი შედეგები	რეინჯერების პრაქტიკული უნარები ტურიზმთან დაკავშირებულ აქტივობებსა და მასპინძლობაში გაძლიერებულია.

ჩართული უწყებები	მტირალას ეროვნული პარკი		
კოორდინატორი	დაცული ტერიტორიების სააგენტო		
შეფასების ინდიკატორები	✓ საანგარიშო პერიოდში, მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციული პერსონალისთვის ორგანიზებულია მინიმუმ 2 სასწავლო ტური ეროვნულ დონეზე ✓ საანგარიშო პერიოდში, მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციული პერსონალისთვის ორგანიზებულია მინიმუმ 1 სასწავლო ტური საერთაშორისო დონეზე.		
განხორციელების პერიოდი	2017-2019	**პრიორიტეტულობა**	მაღალი ☐ საშუალო X დაბალი ☐
ბიუჯეტი	18.000 ლარი		

ამოცანა 2.2. ადგილობრივი თემების ცოდნის გაღრმავება დაცული ტერიტორიის გარემოსდაცვითი ღირებულებების და ტურიზმთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

ქმედება	**ადგილობრივი თემებისთვის ტრენინგის პროგრამის შემუშავება და განხორციელება.**	**2.2.1**
დასაბუთება ადგილობრივი თემები მთავარ როლს თამაშობენ მტირალას პარკში ტურიზმის განვითარების საქმეში. „დამხმარე ზონაში“ მოქმედ ადგილობრივ ტურისტულ ფირმებს დახმარება სჭირდება იმ ამოცანის განხორციელებაში, რომლის მიზანიც ბიზნესის და დასაქმების ახალი შესაძლებლობების შექმნის გზით კეთილდღეობის გაუმჯობესებაა. ტრენინგის პროგრამა უნდა მოიცავდეს ასპექტების ფართო სპექტრს - გარემოსდაცვითი განათლებით (ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მნიშვნელობა, ნარჩენების მართვა...) დაწყებული მასპინძლობის ასპექტებით (მომხმარებლის მომსახურება და ბიზნესის მართვის საფუძვლები) დასრულებული. ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების პროცესების და სარგებლის გააზრების შედეგად თემები უფრო აქტიურად ერთვებიან ადგილობრივი რესურსების მართვაში. გარდა ამისა, ტურიზმის და მართვის ასპექტები უმნიშვნელოვანესია მეწარმეობის მხარდაჭერისთვის. ბიზნესგეგმების ფორმულირება ამ მხარდაჭერის ერთ-ერთი მთავარი საკითხი უნდა იყოს.		
აღწერა ადგილობრივ თემებს სურთ, ტურიზმთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელება; თუმცა ეს ინიციატივები უნდა შეფასდეს, რათა დაეხმაროთ მათ, შექმნან ბაზრის რეალური		

მოთხოვნის შესაბამისი სერვისები და უზრუნველყონ ბიზნესის მომგებიანობა. დინამიკური ადგილობრივი ბიზნესის შესაქმნელად, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, რა ტიპის ტურისტები სტუმრობენ აჭარის დაცულ ტერიტორიებს და რა მოთხოვნები აქვთ მათ.

ადგილობრივ თემებს უნდა ჩაუტარდეს ტრენინგები შესაძლებლობების გასაძლიერებლად ტურიზმის, გარემოს დაცვის და ბიზნესის საკითხებში. ტრენინგის შემუშავებასა და განხორციელებამდე, უნდა განისაზღვროს პრიორიტეტები დაინტერესებულ ადამიანებთან ერთად. ტრენინგის საჭიროებებს შეაფასებს დაცული ტერიტორიის პერსონალი. ტრენინგის შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივი თემების საჭიროებებს.

ტრენინგის საკითხებია:

- ტურიზმი და მასპინძლობა
- სანიტარიისა და კვების პროდუტების ჰიგიენის უსაფრთხო პრაქტიკა;
- აჭარის დაცული ტერიტორიების გარემოსდაცვითი ღირებულებები;
- ეკოტურიზმის კონცეფციები;
- მარკეტინგი და რეკლამირება;
- პროდუქტების და სერვისების ხარისხის კრიტერიუმები;
- ბიზნესდაგეგმვა (მცირე ზომის საწარმოებისთვის)
- საბაზისო საბუღალტრო აღრიცხვა.

ამ მიკროსაწარმოებს ტრენინგი ასევე უნდა ჩაუტარდეს საბაზისო საბუღალტრო აღრიცხვაში, რომ შეძლონ შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვა და გაიგონ, როგორ მოამზადონ ყოველთვიური საბუღალტრო ანგარიშები.

და ბოლოს, ყველას, განსაკუთრებით, განთავსების ბიზნესში მონაწილეებს, უნდა შეეძლოს საკუთარი ვიზიტორების შესახებ სტატისტიკის შეგროვება და კომპეტენტური ორგანოებისთვის მიწოდება, რომ უკეთ შეისწავლონ ვიზიტორთა პროფილები და შეძლონ ცვლილებებზე დაკვირვება. საოჯახო სასტუმროებში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვიზიტორთა კითხვარები, რათა შესაძლებელი იყოს ვიზიტორთა კმაყოფილების დონის მონიტორინგი *(იხილეთ, აქტივობა 1.4.4.).*

განსახორციელებელი აქტივობები

- ადგილობრივ თემებთან შეხვედრის ორგანიზება მათი ტრენინგის საჭიროებების გამოსავლენად.
- რეგიონში პოტენციური ტრენერების/ექსპერტების (არასამთავრობო ორგანიზაციები) იდენტიფიცირება.
- ტრენინგის წლიური კალენდრის შემუშავება.
- ტრენინგის მოდულების განხორციელება.

მოსალოდნელი შედეგები	ადგილობრივი თემის წევრებმა გაიძლიერეს უნარები და შესაძლებლობები ისეთ საკითხებში, რომლებიც ეხება ტურიზმს, გარემოს დაცვას, ბიზნესის დაგეგმვას და სხვა.
ჩართული უწყებები	არასამთავრობო ორგანიზაციები; ქობულეთის/ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი; ადგილობრივი თემები;

	ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი; შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი; ქობულეთის პროფესიული საგანმანათლებლო ტრენინგცენტრი; მტირალას ეროვნული პარკი.		
კოორდინატორი	დაცული ტერიტორიების სააგენტო		
შეფასების ინდიკატორები	✓ ტრენინგის მინიმუმ 2 კურსი ტარდება ყოველწლიურად ადგილობრივი თემების წევრებისთვის.		
განხორციელების პერიოდი	2017-2020	**პრიორიტეტულობა**	მაღალი X საშუალო ☐ დაბალი ☐
ბიუჯეტი	12.000 ლარი/წელი		

ქმედება	**სასწავლო ტურების ორგანიზება ადგილობრივი თემების წევრებისთვის**	**2.2.2**

დასაბუთება

როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, თეორიულ კურსებზე უფრო ეფექტიანი განვითარებულ დაცულ ტერიტორიებზე სასწავლო ტურები და საველე სამუშაოებია. სასწავლო ტურები საქართველოს მოწინავე დაცულ ტერიტორიებზე, როგორებიცაა ლაგოდეხი და ბორჯომი-ხარაგაული, და სხვა საერთაშორისო დაცულ ტერიტორიებზე ხელს შეუწყობს ტურიზმში ჩართული თემის წევრების შესაძლებლობების გაძლიერებას. თემის წევრები მტირალას ეროვნული პარკის მთავარი დაინტერესებული მხარეები არიან. დაცული ტერიტორიების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივების მხარდაჭერა და მათი მცირე ბიზნესში ჩართვა.

აღწერა

საოჯახო სასტუმროების მფლობელებს, მწარმოებლებს და ტურისტული სერვისის სხვა მიმწოდებლებს აკლიათ ხარისხიანი მომსახურების გაწევის უნარები. ისინი მოტივირებული არიან, განავითარონ მცირე ბიზნესი და იმუშაონ ტურისტულ ბაზარზე და საჭიროებენ დახმარებას სერვისის დონის გაუმჯობესებაში. სასწავლო ვიზიტები დაეხმარება ადგილობრივ თემებს შემდეგ ასპექტებში:

- მათი შესაძლებლობების, თავდაჯერების და ინიციატივების გაძლიერება, შეიმუშაონ მცირე პროექტები;
- ცნობიერების ამაღლება დაცული ტერიტორიების სიკეთეების შესახებ;
- სხვა დაინტერესებულ მხარეებთან მუშაობა;
- ხარისხიანი სერვისების შექმნა და კონტაქტების დამყარება;

- ტრადიციული პროდუქტების გადამამუშავებლების დახმარება ეტიკეტირებასა და მარკეტინგში.

ამ პერიოდის განმავლობაში მინიმუმ 2 სასწავლო ტური უნდა მოეწყოს ტურიზმში ჩართული ადგილობრივი თემების წევრებისთვის. ამ სასწავლო ტურების ორგანიზება შეიძლება კინტრიშის და მაჭახელის ეროვნული პარკების მახლობლად მცხოვრებ თემებთან ერთად.

განსახორციელებელი აქტივობები

- კონტაქტების დამყარებს საქართველოს ორი ან სამი დაცული ტერიტორიის ადგილობრივი თემების წევრებს შორის.
- სასწავლო ტურების ორგანიზება საზღვარგარეთ.

მოსალოდნელი შედეგები	ტურისტულ ბიზნესში ჩართული თემის წევრების პრაქტიკული უნარები გაძლიერებულია.		
ჩართული უწყებები	არასამთავრობო ორგანიზაციები; მტირალას ეროვნული პარკი; ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; ადგილობრივი თემები.		
კოორდინატორი	დაცული ტერიტორიების სააგენტო		
შეფასების ინდიკატორები	✓ საანგარიშო პერიოდში, ტურისტულ ბიზნესში ჩართული თემის წევრებისთვის ორგანიზებულია მინიმუმ 2 სასწავლო ტური ეროვნულ დონეზე. ✓ საანგარიშო პერიოდში, ტურისტულ ბიზნესში ჩართული თემების წევრებისთვის ორგანიზებულია მინიმუმ 1 სასწავლო ტური საერთაშორისო დონეზე.		
განხორციელების პერიოდი	2017-2019	**პრიორიტეტულობა**	მაღალი ☐ საშუალო X დაბალი ☐
ბიუჯეტი	18.000 ლარი		

ქმედება	**ადგილობრივი ფერმერების/მწარმოებლებისთვის ტრენინგის პროგრამის შემუშავება და განხორციელება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციასა და პროდუქტის შეფუთვაზე.**	**2.2.3**

დასაბუთება

ეკოლოგიურად სუფთა მეურნეობა მჭიდროდ უკავშირდება ეკოტურიზმს ან მდგრადი ტურიზმის სხვა ფორმებს. ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობა განმარტებულია როგორც მიდგომა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და სურსათის წარმოებისადმი,

რომელიც ეკოლოგიურად მდგრადია და დადებით ზეგავლენას ახდენს სოფლის მოსახლეობაზე. დაცული ტერიტორიების ვიზიტორები დაინტერესებული არიან ორგანული საკვების და სხვა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მოხმარებით. ეს შესაძლებლობას აძლევს ფერმერებს, დამატებითი შემოსავალი მიიღონ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებიდან, რომლებსაც შესთავაზებენ ადგილობრივ საკვებ ობიექტებს, საოჯახო სასტუმროებს ან მიჰყიდიან ვიზიტორებს.

ადგილობრივი მწარმოებლების მიერ მეურნეობაში ტრადიციული სისტემების გამოყენების პრაქტიკა, რაც ხელს უწყობს ამ სისტემის შენარჩუნებას და უზრუნველყოფს პროდუქციის ეკოლოგიურობას, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ერთგვარი ფორმაა.

აღწერა

მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონის ადგილობრივი თემებისთვის ტურიზმი შემოსავლის დამატებითი წყარო შეიძლება გახდეს. თუმცა, ტურიზმი არ უნდა განიხილებოდეს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ერთადერთ გზად.

სოფლის მეურნეობა დამხმარე ზონის თემების ერთ-ერთი უმთავრესი ეკონომიკური აქტივობაა. ასევე მნიშვნელოვანია მათი ცხოვრების ტრადიციული სტილის დაცვა და მისი მდგრადობის უზრუნველყოფა. ფერმერების უმეტესობას შეუძლია სარგებელი მიიღოსა ორგანული პროდუქტების წარმოებით, რომლებსაც შესთავაზებს ისეთ ტურისტებს, ვისაც საკვების წარმომავლობა და მისი წარმოების ხარისხი აღელვებს.

ფერმერული მეურნეობები ტრადიციების და კულტურის მარკეტინგის ერთ-ერთი კარგი ფორმაცაა და შეიძლება აგროტურიზმის განვითარება.

დაცული ტერიტორიის მახლობლად მცხოვრებ თემებს ხილის რამდენიმე სახეობა და სხვა პროდუქტები მოჰყავთ. ვიზიტორებისთვის მზა საკვების ანდა წვენების დამზადება შემოსავლის დამატებითი წყარო შეიძლება გახდეს. თუმცა, ასაჭიროა დგილობრივი მწარმოებლების სათანადოდ მომზადება, რომ ასეთი ტიპის ბიზნესში ჩაერთონ.

(ეს ქმედება უკავშირდება ქმედებას 3.2.1)

განსახორციელებელი აქტივობები

- ფერმერების იდენტიფიცირება, რომლებსაც სურთ აღნიშნული ტრენინგების გავლა
- ტრენინგის საჭიროებების განსაზღვრა და ტრენინგის კურიკულუმის შემუშავება
- ტრენინგის კურსების განხორციელება

მოსალოდნელი შედეგები	ხდება ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების პოპულარიზაცია.
ჩართული უწყებები	ადგილობრივი თემები; არასამთავრობო ორგაიზაციები
კოორდინატორი	მუნიციპალიტეტები
შეფასების ინდიკატორები	✓ 2018 წლისთვის ტრენინგის მინიმუმ 2 კურსია ჩატარებული ადგილობრივი ფერმერებისთვის.

განხორციელების პერიოდი	2018-2019	**პრიორიტეტულობა**	მაღალი ☐ საშუალო X დაბალი ☐
ბიუჯეტი	5.500 ლარი		

სტრატეგიული მიმართულება 3: ადგილობრივი თემების განვითარება

დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიზანი იქ მცხოვრები თემების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაა. უფრო კონკრეტულად, გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია მდგრად ტურიზმს შემდეგნაირად განსაზღვრავს: *„ტურიზმი, რომლის დროსაც ყველა რესურსის მართვა ხდება იმგვარად, რომ დაკმაყოფილდეს ეკონომიკური, სოციალური და ესთეტიკური საჭიროებები და ამავე დროს, შენარჩუნდეს კულტურული მთლიანობა, ძირითადი ეკოლოგიური პროცესები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემები“* (გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია, 1999). ამიტომ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს და უზრუნველყოფილი იქნეს, რომ პარკის მონახულების მზარდმა დონემ მას სარგებელი მოუტანოს.

დაცული ტერიტორიები განვითარების შესაძლებლობებს უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას. ტურიზმის და მომსახურების ინდუსტრიებში დასაქმების უზრუნველყოფა ტრადიციული ეკონომიკური აქტივობების მხარდაჭერით, ადგილობრივი პროდუქტების შესყიდვის ხელშეწყობით და დასაქმების ახალი ფორმების შექმნით (გამყოლები და სხვა) უნდა მოხდეს.

მტირალას ეროვნული პარკის მახლობლად მცხოვრები ზოგი თემი უკვე იღებს სარგებელს ტურიზმის ამ უბანზე (ჩაქვისთავი) განვითარებისგან; თუმცა არის სხვა პოტენციური უბნები, რომლებსაც სარგებლის მიღება შეუძლიათ პარკის მონახულების მზარდი დონისგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია სხვა აქტივობებიც, რომლებიც შეთავაზებული სერვისების ხარისხის შემოწმებას და გაუმჯობესებას ეხება, რადგან ტურისტული გამოცდილების ხარისხი გადამწყვეტია ვიზიტორების მოსაზიდად. მტირალას პარკის ადმინისტარციულმა პერსონალმა, ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტთან ერთად, უნდა განახორციელოს ტურისტული სერვისების ხარისხის გაუმჯობესების პროგრამა.

ამოცანა 3.1. 2019 წლისთვის მტირალას პარკთან ასოცირებული ტურისტული სერვისების პროვაიდერები აკმაყოფილებენ დაცული ტერიტორიების სააგენტოს/ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტის სტანდარტებს.

ქმედება	განთავსების და კვების სერვისების ადგილობრივი პროვაიდერების მომსახურების ხარისხის შეფასება.	**3.1.1**

დასაბუთება

განთავსების, კვების, გამყოლის და ტრანსპორტირების სერვისების ხარისხი უმნიშვნელოვანესია ნებისმიერი ტურისტული ადგილისთვის, რადგან მომხმარებლებს დღეს მოგზაურობის მეტი გამოცდილება და მაღალი მოლოდინები აქვთ.

აჭარის დაცულ ტერიტორიებსა და მათ შემოგარენში შეთავაზებული სერვისების ხარისხი გასაუმჯობესებელია. მინიმალური პროფესიონალური უნარები და გარკვეული სტანდარტებია საჭირო, რომ დაკმაყოფილდეს ბაზრის მოთხოვნა.

საქართველოში არსებობს საოჯახო სასტუმროს ხარისხის კლასიფიკაციის სტანდარტი, რომელიც „ელკანამ“ (ბიოლოგიური მეურნეობათა ასოციაცია) შეიმუშავა 2008 წელს. ეს სტანდარტები EuroGites-ის ანუ, ევროპის ფერმერული და სოფლის ტურიზმის ფედერაციის (www.eurogites.org) კრიტერიუმების მიხედვით დადგინდა. ამის გამო არასამთავრობო ორგანიზაცია „ელკანა“ EuroGites-ს წევრი გახდა. სტანდარტები თეორიულად უკვე ცნობილია საქართველოში. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, როგორც ჩანს, ფიქრობდა „ელკანას“ სტანდარტების ეროვნულ სტანდარტებად დამტკიცებას, მაგრამ ეს პროექტი შეჩერდა, რადგან ყურადღება, სოფლის საოჯახო სასტუმროების სტანდარტების ნაცვლად, ფოკუსირებული იქნა სასტუმროს სერვისის ხარისხის სტანდარტებზე (ვარსკვლავებზე). „ელკანას“ სტანდარტებს დე ფაქტო იყენებენ ახლადშექმნილი სოფლის ტურიზმის ქსელის (www.ruraltourism.ge) წევრები (არაფორმალური ქსელი, რომელიც „ელკანას“ ქოლგის ქვეშ არსებობს). ისინი არ არის სავალდებულო და ძირითადად მარკეტინგულ ინსტრუმენტად გამოიყენება. ხარისხიანი სერვისის სტანდარტის ნიშნის მიღების მსურველები სტანდარტიზაციის პროცესს გადიან (შემოწმება აუცილებელი მოთხოვნების ჩამონათვალის საფუძველზე). ხარისხის ნიშნის სიმბოლოა „მზე“. არსებობს სოფლის საოჯახო სასტუმროების და კოტეჯების 4 კატეგორია:

1. კატეგორია „სტანდარტული“ (საწყისი დონე);

2. კატეგორია „1 მზე“;

3. კატეგორია “2 მზე“;

4. კატეგორია “3 მზე“.

ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიეწოდა ბორჯომი-ხარაგაულის, ლაგოდეხის და სხვა დაცული ტერიტორიების მახლობლად არსებული საოჯახო სასტუმროების სერვისის ხარისხის შემოწმების მიზნით. დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა სპეციალისტები დაესწრნენ „ელკანას“ ტრენინგებს, მოამზადეს აუცილებელი მოთხოვნების ჩამონათვალი (სტანდარტებზე დაყრდნობით) და შეამოწმეს საოჯახო სასტუმროები. ამ შემოწმების შედეგად, ინფორმაცია იმ საოჯახო სასტუმროების შესახებ, რომლებმაც დააკმაყოფილეს სტანდარტის კატეგორიები, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებგვერდზე განთავსდა.

მტირალას პარკის მახლობლად შეთავაზებული სერვისების ხარისხი გასაუმჯობესებელია (განსაკუთრებით, საოჯახო სასტუმროებში). სერვისების შეთავაზება არ ხდება საკმარისად პროფესიონალურ დონეზე და საჭიროა სტანდარტების დანერგვა.

ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანამ“ ხარიხის სტანდარტები შეიმუშავა სოფლად მოქმედი ტურისტული საწარმოებისთვის, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ დაცულ ტერიტორიაზე სერვისების მიმწოდებლებმა.

აღწერა

სერვისის ხარისხის გასაუმჯობესებლად ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი შიდა სტანდარტების, მოთხოვნათა ჩამონათვალის შემუშავებაა, რომელიც შეიძლება დაეფუძნოს ელკანას/ EuroGites-ს სახელმძღვანელო მითითებებს და მოიცავდეს ეკოტურიზმის პრინციპებს (გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობები). გამყოლის სერვისისთვის შეიძლება ეროვნული სტანდარტების (განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული პროფესიული სტანდარტები) გამოყენება და მათი დანერგვა ადგილობრივ პროვაიდერებს შორის.

დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამამაც დაიწყო მუშაობა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ხარისხის სტანდარტების და ეკოეტიკეტირების შემუშავებაზე. განიხილება სერტიფიცირების სისტემის შექმნის და სერტიფიკატების მინიჭების საკითხი. ამ ეტაპზე რეკომენდებულია ვიზიტორთა სპეციალისტების მომზადება, რომლებიც წამყვანი „ინსპექტორები“იქნებიან და ტრენინგის კურსებს ჩაატარებენ ხარისხის, მათ შორის სერვისის ხარისხის მართვის საკითხებში. ვიზიტორთა სპეციალისტები უნდა გაიწვრთნან „ადგილობრივ ინსტრუქტორებად“; უნდა მომზადდეს მოკლე ანგარიში თითოეულ საოჯახო სასტუმროზე და წარედგინოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს. ამ ანგარიშების საფუძველზე შერჩეული საოჯახო სასტუმროების შესახებ ინფორმაცია განთავსდება დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებგვერდზე და მოხდება ამ სასტუმროების შეთავაზება ვიზიტორებისთვის.

ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად უწყვეტი მხარდაჭერა და მონიტორინგია საჭირო. ეს აქტივობა ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტის მხარდაჭერით შეიძლება განხორციელდეს.

სერვისის პროვაიდერებს ვიზიტორთა კმაყოფილების კითხვარი უნდა ჰქონდეთ, რომ შეფასდეს მათი კმაყოფილების და უკმაყოფილების დონეები, გამოვლინდეს სუსტი მხარეები; გამოველნილი ხარვეზების გამოსწორება ხელს შეუწყობს ტერიტორიის შემდგომ გაუმჯობესებას და მისი ცნობადობის ამაღლებას. სერტიფიკატების მინიჭება უბიძგებს სერვისების პროვაიდერებს, გააუმჯობესონ და რეკლამა გაუკეთონ თავიანთ სერვისებს.

ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი მუშაობს ტურისტული სერვისების სერტიფიცირების დანერგვაზე; დაიწყო პროგრამის „რეკომენდებულია ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტის მიერ“ განხორციელება.

განსახორციელებელი აქტივობები

- ხარისხის სტანდარტების განსაზღვრა ტურისტული სერვისის პროვაიდერებისთვის.
- ტრენინგი ხარისხის სტანდარტებში ვიზიტორთა სპეციალისტებისთვის.
- ტრენინგი ხარისხის სტანდარტებში ტურისტული სერვისების პროვაიდერებისთვის.
- ტურისტული სერვისების პროვაიდერების შეფასება და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება.
- სერტიფიცირების უზრუნველყოფა ტურისტული სერვისების პროვაიდერებისთვის.
- ანგარიშგება.

მოსალოდნელი შედეგები	ტურისტული სერვისების პროვაიდერებს ესმით ხარისხიანი სერვისების მიწოდების მნიშვნელობა და აქვთ სერვისების გაუმჯობესების ინსტრუმენტები.		
ჩართული უწყებები	ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; მტირალას ეროვნული პარკი; დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა/ელკანა; ტუროპერატორები.		
კოორდინატორი	დაცული ტერიტორიების სააგენტო		
შეფასების ინდიკატორები	✓ 2017 წლისთვის მინიმუმ 3 ტრენინგია შემუშავებული სტანდარტებსა და ხარისხზე. ✓ 2018 წლისთვის საოჯახო სასტუმროების მინიმუმ 80% სერტიფიცირებულია.		
განხორციელების პერიოდი	2017-2018	**პრიორიტეტულობა**	მაღალი X საშუალო ☐ დაბალი ☐
ბიუჯეტი	2.800 ლარი		

ამოცანა 3.2. 2020 წლისთვის შექმნილია და ფუნქციონირებს მინიმუმ 5 ახალი ადგილობრივი ბიზნესი.

ქმედება	**ახალი პოტენციური ბიზნესის შეფასება და მხარდაჭერა დამხმარე ზონის თემებში.**	**3.2.1**
დასაბუთება დამხმარე ზონის განვითარება უმნიშვნელოვანესია მტირალას ეროვნულ პარკში მდგრადი ტურიზმის განვითარებისთვის. ახალი ბიზნესების განვითარება ადგილობრივი მოსახლეობისთვის ეკონომიკური და დასაქმების შესაძლებლობების შექმნის მექანიზმს უნდა წარმოადგენდეს. გარდა ამისა, ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერის შედეგად ადგილობრივები მეტად დააფასებენ პარკის კონსერვაციის მნიშვნელობას.		
აღწერა ჩაქვისთავის გარდა არის თემები, რომლებსაც ტურისტული სერვისების განვითარების პოტენციალი აქვთ. ასეთ თემებს შორისაა აგარა და ყოროლისთავი.		

აგარა მტირალას სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. ადგილობრივებს საკუთარი ინიციატივით გაჰყავთ ბილიკი პარკის საზღვრისკენ. თავის მხრივ, პარკის ადმინისტრაციას მეორე ბილიკი გაჰყავს ტურისტული თავშესაფრიდან ცივწყაროს მარშრუტზე, რომელიც აგარის ბილიკს დაუკავშირდება. აგარა შეიძლება ასევე აჭარის დაცული ტერიტორიების კომბინირებული ბილიკის მნიშვნელოვანი პუნქტი გახდეს.

ამ ბილიკის მოწყობა ვიზიტორებს მოიყვანს თემში. გარდა ამისა, სოფლის მოსახლეობა მზად არის, ჩაერთოს ტურისტული სერვისების მიწოდებაში და უკვე რამდენიმე ოთახი აქვს გასაქირავებლად მოწყობილი.

ყოროლისთავი მტირალას სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს და მასთან ახლოსაა პარკში ერთ-ერთი შესასვლელი. ცოტა ხნის წინ ამ შესასვლელთან ახლოს ფრინველებზე სათვალთვალო კოშკი აშენდა. ამ შესასვლელიდან შეიძლება ბილიკის მოწყობა. (იხილეთ **დანართი 2, რუკები 7-8**).

ბილიკის მოწყობა ვიზიტორების საკმაო რაოდენობას მოიყვანს ტერიტორიაზე, რაც მოთხოვნას შექმნის ისეთ დამატებით სერვისებზე, როგორებიცაა საოჯახო სასტუმროები, კვების ობიექტები და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ პარკის ადმინისტრაცია და ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი აქტიურად იყოს ჩართული და ეხმარებოდეს თემებს ამ განვითარებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამატებითი ბიზნესები, რომელთა განვითარებასაც მხარი უნდა დაეჭიროს არის:

1) **საოჯახო სასტუმროები/განთავსების სერვისები.** განთავსების სერვისებს შეიძლება დაემატოს აგროტურისტული აქტივობები, პროდუქტების შეთავაზება, ადგილობრივი სამზარეულო და სხვა. ყოროლისთავს დამატებითი განთავსების შეთავაზების დიდი პოტენცია აქვს.
2) **კვების ობიექტები.** ყოროლისთავში ასევე საჭირო იქნება კვების ობიექტების მოწყობა.
3) **ცხენების გაქირავება**. ამ ტერიტორიაზე დამატებით სერვისად შეიძლება ცხენების გაქირავების შეთავაზება.

თუ ველოტურები შემუშავდება, შესაძლებელია ველოსიპედების შეკეთების სერვისის შეთავაზებაც.

გამყოლის სერვისის შეთავაზება პრიორიტეტი უნდა იყოს აჭარის დაცული ტერიტორიებისთვის; გამყოლები ღირებულებას მატებს დაცულ ტერიტორიას, რადგან მათ მოვალეობაში შედის პარკის ღირებულებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რაც ზრდის პარკის დაფასების გააზრების დონეს. გამყოლობა ასევე დასაქმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა, განსაკუთრებით, ახალგაზრდებისთვის.

განსახორციელებელი აქტივობები

- ადგილობრივი ინიციატივების იდენტიფიცირება
- ბიზნესგეგმების მომზადება
- მცირე გრანტების შექმნა ადგილობრივი ბიზნესის მხარდასაჭერად
- ახალი ბიზნესის და სათემო ინიციატივების მონიტორინგი
- სოფლის ტურიზმის ასოციაციის შექმნის შეფასება

მოსალოდნელი შედეგები	ადგილობრივი თემის წევრები დაინტერესებული არიან ტურისტული ბიზნესის განვითარებით და მათი დახმარება (ადმინისტრაციული, იურიდიული და ეკონომიკური) უზრუნველყოფილია.		
ჩართული უწყებები	მტირალას ეროვნული პარკი; საერთაშორისო დონორები; ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; დაცული ტერიტორიების სააგენტო; არასამთავრობო ორგანიზაციები.		
კოორდინატორი	დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია (თუ შექმნილია) ან მტირალას ეროვნული პარკი.		
შეფასების ინდიკატორები	✓ 2018 წლისთვის შექმნილია მინიმუმ 2 ბიზნესი. ✓ 2018 წლისთვის შექმნილია ადგილობრივი მეწარმეების მხარდაჭერის მექანიზმები.		
განხორციელების პერიოდი	2018-2020	**პრიორიტეტულობა**	მაღალი ☐ საშუალო X დაბალი ☐
ბიუჯეტი	30.000 ლარი		

ამოცანა 3.3. 2020 წლისთვის პარკის ადმინისტრაციამ გამოიკვლია, გააძლიერა და პოპულარიზაცია გაუწია კულტურულ და ტრადიციულ აქტივებს.

ქმედება	**შეფასების ჩატარება მტირალას ეროვნულ პარკსა და მის დამხმარე ზონაში მთავარი კულტურული აქტივების იდენტიფიცირებისთვის.**	**3.3.1**
დასაბუთება მტირალას ეროვნული პარკის შემოგარენში რამდენიმე ისტორიული და კონსერვაციის სხვადასხვა სტატუსის მქონე კულტურული ობიექტია. საჭიროა ამ ობიექტების შესწავლა და შენარჩუნება. ვიზიტორებს აინტერესებთ ადგილების შესწავლა მათი კულტურული ღირსშესანიშნაობების მეშვეობით; კულტურული აქტივების ცოდნა და მათი პოპულარიზაცია შეიძლება მტირალას პარკში დამატებითი ტურისტული პროდუქტის შექმნის ინსტრუმენტად იქნეს გამოყენებული, რაც ტერიტორიაზე ტურისტული შეთავაზების დივერსიფიკაციას შეუწყობს ხელს.		

კვლევითი აქტივობები შეიძლება მოიცავდეს არა მარტო კულტურულ ძეგლებს, არამედ ტრადიციულ პრაქტიკას, ფესტივალებს და სხვა ასპექტებს.

აღწერა

მტირალას შემოგარენში რამდენიმე ციხე-სიმაგრე, რელიგიური ნაგებობა და სხვა ობიექტებია, რომელთაგან ზოგიერთი ნახსენებია *ნაწილში 4.3.1.* ამ ობიექტების გარდა არის მატერიალური კულტურის ელემენტები (ტრადიციული წყლის წისქვილები) და ნანგრევები, რომელთა აღრიცხვა, შესწავლა და პოპულარიზება უნდა მოხდეს.

არსებობს ლეგენდა ჩაქვისთავის დაარსების შესახებ, რომელიც დამატებით არის შესასწავლი და რომელზეც თემატური ბილიკის შემუშავება შეიძლება. მაგალითი, თუ როგორ შემუშავდეს თემატური ბილიკები, მოცემულია დანართში 4.

უნდა გაძლიერდეს ჩვეულებები და ტრადიციები და მოხდეს მათი პოპულარიზება, რადგან ესეც ვიზიტორებს ადგილობრივი კულტურის გაცნობის და ტერიტორიის შეცნობის შესაძლებლობას აძლევს.





გარდა ამისა, სხვადასხვა წყაროს თანახმად, ამ ტერიტორიაზე აბრეშუმის გზა გადიოდა. პროექტმა „შავი ზღვის აბრეშუმის დერეფანი“ ეს ტერიტორია შეიტანა როგორც აბრეშუმის გზი ერთ-ერთი მონაკვეთი.[8] ამ პროექტის მიზანია აბრეშუმის გზის მარშრუტის დასავლეთი მხარის მიკვლევა 4 ქვეყანაში: სომხეთში, საქართველოში, საბერძნეთსა და თურქეთში,

განსახორციელებელი აქტივობები

- მთავარი შესასწავლი ობიექტების იდენტიფიცირება (მონაცემთა ბაზა)
- სამეცნიერო კვლევის ჩატარება
- შედეგების გამოქვეყნება
- ისტორიული აქტივების შენარჩუნების და რეკლამირების გეგმის შემუშავება
- ზოგიერთი ობიექტის აღსადგენად საერთაშორისო ფონდების მოძიება.

მოსალოდნელი შედეგები	ტერიტორიის კულტურული ღირებულებების მნიშვნელობის უკეთ გააზრება კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და პოპულარიზაცია
ჩართული უწყებები	ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; საერთაშორისო დონორები; არასამთავრობო ორგანიზაციები; მტირალას ეროვნული პარკი; ქობულეთის მუნიციპალიტეტი;

[8] დანატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: http://ge.blackseasilkroad.com/en/wiki/Kintrishi/674/790

	სახელმწიფო უნივერსიტეტები.		
კოორდინატორი	განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროები		
შეფასების ინდიკატორები	✓ 2018 წლისთვის გაკეთებულია ტერიტორიის მატერიალური და არამატერიალური კულტურული აქტივების მონაცემთა ბაზა. ✓ 2019 წლისთვის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტთან ან სხვა ეროვნულ უნივერსიტეტებთან ხელმოწერილია შეთანხმება ტერიტორიაზე ისტორიული კველვის ჩატარებაზე და კულტურული რესურსების კონსერვაციის სტატუსის შეფასებაზე. ✓ 2020 წლისთვის შემუშავებულია ტერიტორიაზე არსებული ზოგიერთი კულტურული აქტივის აღდგენის გეგმა.		
განხორციელების დრო	2018-2020	**პრიორიტეტულობა**	მაღალი ☐ საშუალო ☐ დაბალი X
ბიუჯეტი	40.000 ლარი		

სტრატეგიული მიმართულება 4: ტურისტული ინფრასტრუქტურის და პროდუქტის განვითარება.

პროდუქტების შემუშავება და ინფრასტრუქტურის განვითარება ტურისტული ადგილის მთავარი ელემენტებია ტურისტული შეთავაზების შესაქმნელად. აჭარის დაცულ ტერიტორიებზე განსახორციელებელი და რენტაბელური აქტივობების შემუშავება უმნიშვნელოვანესია ტურისტების მოსაზიდად და მათი კმაყოფილების დონის ასამაღლებლად. ინფრასტრუქტურა და ობიექტები ტურისტული პროდუქტების განვითარების ხელშესაწყობად უნდა შეიქმნას.

ნებისმიერ ტურისტულ ადგილს უნდა ჰქონდეს პროდუქტების პორტფელის კარგი სტრატეგია, რომ შეძლოს ტურიზმის განვითარება და ტურისტული ადგილის სპეციალიზაცია. ეს პორტფელი არსებულ ღირსშესანიშნაობებს და რესურსებს უნდა ემყარებოდეს, მაგრამ ამავე დროს ითვალისწინებდეს აუცილებელ ინფრასტრუქტურას, ობიექტებსა და სერვისებს, რომლებიც საჭიროა რეალური განვითარებისთვის.

მტირალას პარკი ვიზიტორებს რამდენიმე რეკრეაციულ აქტივობას სთავაზობს. ვიზიტორთა ინფრასტრუქტურაც კარგ მდგომარეობაშია და მსხვილ ინვესტიციას არ საჭიროებს. ახალი ტურისტული სერვისები და ინფრასტრუქტურა ისე უნდა დაიგეგმოს და განვითარდეს, რომ ტურისტული ნაკადი ნაკლებ განვითარებული უბნებისკენ მიმართოს და შემცირდეს ტურიზმის ზეწოლა ჩაქვისთავზე. გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ვიზიტორთა კმაყოფილება და უსაფრთხოება.

ამოცანა 4.1. 2017 წლისთვის, მტირალას ეროვნულ პარკთან მისვლა ადვილად და კომფორტულად შეიძლება.

ქმედება	**ხელშეკრულების გაფორმება საგზაო დეპარტამენტთან მტირალას ეროვნულ პარკთან მისასვლელი გზის გაუმჯობესებაზე.**	**4.1.1**
დასაბუთება აჭარის დაცულ ტერიტორიებთან მისასვლელი გზების შეკეთება და მოვლა-პატრონობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამაღლდეს ვიზიტორების და ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების და კმაყოფილების დონე. ამას ტუროპერატორებიც ითხოვენმ რომ მომხმარებლები დაცულ ტერიტორიაზე მოიყვანონ.		
აღწერა მტირალას ეროვნულ პარკსა და კინტრიშის დაცულ ტერიტორიასთან მისასვლელი გზების ცუდი მდგომარეობა მგზავრობას დამღლელს და არაკომფორტულს ხდის. მტირალასთან		

მისასვლელი გზის ზოგი მონაკვეთი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, რაც ამცირებს ვიზიტორების კმაყოფილების დონეს. ამ მონაკვეთების გასაუმჯობესებლად ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს საგზაო დეპარტამენტთან. გარდა ამისა, გზის გაუმჯობესება უნდა შეეხოს მტირალას პარკის მახლობლად მცხოვრებ თემებს. გასაუმჯობესებელია ასევე ყოროლისთავის შესასვლელამდე მინიმუმ 2კმ-ის სიგრძის მონაკვეთი.			
შესასრულებელი აქტივობები • შეხვედრები აჭარის მთავრობის გზების რეაბილიტაციის დეპარტამენტთან. • გზის რეაბილიტაციის პროექტის მომზადება. • გზის შეკეთება და რეაბილიტაცია.			
მოსალოდნელი შედეგები	მტირალას ეროვნულ პარკამდე მგზავრობა უსაფრთხო და კომფორტულია.		
ჩართული უწყებები	ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; გარემოს დაცვის დეპარტამენტი; ქობულეთის/ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები; აჭარის მთავრობის გზების რეაბილიტაციის დეპარტამენტი.		
კოორდინატორი	მუნიციპალიტეტები		
შეფასების ინდიკატორები	✓ გზის რეაბილიტაციის პროექტის დამტკიცება 2017 წლის ბოლოსთვის.		
განხორციელების პერიოდი	2016-2017	**პრიორიტეტულობა**	მაღალი X საშუალო ☐ დაბალი ☐
ბიუჯეტი	350 ლარი (შეხვედრებში მონაწილეობა)		

ქმედება	**პარკის უბნებთან მისასვლელის გაუმჯობესება და მანქანების სადგომისთვის შესაფერისი ადგილის უზრუნველყოფა.**	**4.1.2**
დასაბუთება საზოგადოებრივი ტრანსპორტი ჩაქვისთავამდე ძალიან შეზღუდულია. ტურისტული სეზონის დროს საკმაოდ ბევრი მანქანაა დაყენებული ვიზიტორთა ცენტრის წინ, რაც ადგილობრივ სოფლებთან მისვლას და ტერიტორიაზე მოძრაობის ართულებს.		
აღწერა		

მტირალას პარკში ვიზიტორები ძირითადად კერძო მანქანებით მიდიან. კერძო მანქანები მოძრაობას აფერხებს ვიზიტორთა ცენტრთან ჩაქვისთავში, განსაკუთრებით ტურისტული სეზონის დროს. პარკის ადმინისტრაციამ უნდა გამოყოს შესაფერისი ადგილი მანქანების სადგომისთვის, რათა შემცირდეს ვიზიტორთა ცენტრის წინ დაყენებული მანქანების რაოდენობა.

ბათუმიდან და ქობულეთიდან ვიზიტორები ჩაქვში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მიდიან, ხოლო ჩაქვიდან ტაქსით აგრძელებემ გზას ჩაქვისთავამდე. მისვლის გასაადვილებლად ტურისტული სეზონის დროს უნდა დაინიშნოს მიკროავტობუსები, რომლებიც სტუმრებს ვიზიტორთა ცენტრამდე მოიყვანს.

2016 წელს ბათუმის ფრინველთა ფესტივალის დროს, ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტმა ღონისძიების ორგანიზატორებთან გააფორმა შეთანხმება საფესტივალო ადგილამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტის უზრუნველყოფაზე. ამ ინიციატივამ კარგად იმუშავა; იგივე უნდა გაკეთდეს მტირალას ეროვნული პარკისთვის.

განსახორციელებელი აქტივობები

- შეხვედრები ტაქსის და სხვა სატრანსპორტო საშუალებების პროვაიდერებთან.
- ბათუმიდან და ქობულეთიდან მტირალას ეროვნულ პარკამდე მიკროავტობუსებით ტრანსპორტირების ორაგნიზება ტურისტული სეზონის დროს.
- მანქანების სადგომისთვის შესაფერისი ადგილის განსაზღვრა და მოწყობა.

მოსალოდნელი შედეგები	ვიზიტორები საზოგადოებრივი და კერძო სატრანსპორტო საშუალებებით ადვილად მიდიან მტირალას ეროვნულ პარკთან.		
ჩართული უწყებები	ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; ქობულეთის/ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები; დაცული ტერიტორიების სააგენტო.		
კოორდინატორი	მუნიციპალიტეტები		
შეფასების ინდიკატორები	✓ 2017 წლისთვის იდენტიფიცირებულია შესაფერისი ადგილი მანქანების პარკინგისთვის.		
განხორციელების პერიოდი	2016-2017	**პრიორიტეტულობა**	მაღალი ☐ საშუალო X დაბალი ☐
ბიუჯეტი	5.200 ლარი		

ამოცანა 4.2. 2018 წლისთვის 50%-ით იზრდება მოთხოვნა ტურისტულ პროდუქტებზე.

ქმედება	**არსებული საჭიროებების განსაზღვრა ისეთი აქტივობების ეფექტიანი განხორციელებისთვის, როგორებიცაა საცხენოსნო ლაშქრობა და კანოეინგი.**	**4.2.1**

დასაბუთება

მტირალას პარკში რამდენიმე რეკრეაციული აქტივობაა, თუმცა ისინი არაეფექტიანად ხორციელდება. ახალი აქტივობების შემუშავებამდე პარკის ადმინისტრაციამ ფოკუსირება არსებული აქტივობების პოპულარიზებაზე უნდა გააკეთოს.

აღწერა

2013 და 2014 წლებში გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პროექტის „საქართველოს მხარდაჭერა დაცული ტერიტორიების განვითარების სფეროში“ ფარგლებში შემუშავდა კანოეინგის და ზიპლაინის აქტივობები. ორივე აქტივობის წარსამართავად ტრენინგი ჩაუტარდათ რეინჯერებს. ზიპლაინი წარმატებით დაინერგა, ხოლო კანოეინგის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი.

კანოეინგი თავგადასავლების მოყვარულთა ერთ-ერთი საინტერესო აქტივობაა, რომლის მეშვეობიტაც მტირალას ხეობების ნახვა შეიძლება. რეინჯერების თქმით, ამ აქტივობის განხორციელების ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი სათანადო აღჭურვილობის არქონაა. გარდა ამისა, ზოგი რეინჯერი წინააღმდეგია, იკისროს ტურიზმთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები.

კანოეინგისთვის საჭირო აღჭურვილობის შეძენა პარკის ადმინისტრაციის ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს. ასევე, რეინჯერებმა უნდა მიიღონ ეკონომიკური კომპენსაცია ამ ტიპის აქტივობებში ჩართვისთვის. ეკონომიკური სტიმულის უზრუნველყოფა წაახალისებს რეინჯერებს, განახორციელონ და შეიმუშავონ ეს აქტივობები.

ადმინისტრაციულმა პერსონალმა სათავგადასავლო ტურიზმის პროვაიდერებთან უნდა განიხილოს ამ აქტივობის მართვის მესამე მხარისთვის გადაცემის შესაძლებლობა, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ. ეს შეიძლება იყოს პარკში ტურისტული აქტივობების განხორციელების გაუმჯობესების ერთ-ერთი შესაძლებლობა.

ცხენით სეირნობაც ის პროდუქტია, რომელიც ყოველთვის არ არის ხელმისაწვდომი. ცხენებისთვის სივრცე გამოყოფილი უნდა იყოს ვიზიტორთა ცენტრთან ახლოს, განსაკუთრებით, ტურისტული სეზონის დროს, რათა ხელი შეეწყოს ამ სერვისის მიწოდებას.

უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჭირო აღჭურვილობა.

განსახორციელებელი აქტივობები

- კანოეინგის და ცხენით სეირნობის აქტივობების განსახორციელებლად საჭირო აღჭურვილობის განსაზღვრა და შეძენა.
- ამ აქტივობების რეკლამირება ვიზიტორთა შორის.
- ამ აქტივობების განხორციელების მონიტორინგი ხარვეზების და სისუსტეების გამოსავლენად.

მოსალოდნელი შედეგები	კანოეინგი და ცხენით სეირნობა პოპულარული აქტივობები გახდა მტირალას ეროვნულ პარკში.
ჩართული უწყებები	ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; დაცული ტერიტორიების სააგენტო;

	ჩაქვისთავის ადგილობრივი თემი.		
კოორდინატორი	მტირალას ეროვნული პარკი		
შეფასების ინდიკატორები	✓ 2017 წლისთვის, ჩაფხუტები და კანოეინგისთვის საჭირო სხვა აღჭურვილობა ხელმისაწვდომია.		
განხორციელების პერიოდი	2017	**პრიორიტეტულობა**	მაღალი X საშუალო ☐ დაბალი ☐
ბიუჯეტი	2.500 ლარი		

ამოცანა 4.3. 2018 წლისთვის შემუშავებულია ახალი და მდგრადი ტურისტული ინფრასტრუქტურა და პროდუქტები, რაც ვიზიტორებს შესაძლებლობას აძლევს შეისწავლონ და აღმოაჩინონ მტირალას ეროვნული პარკის ახალი უბნები.

ქმედება	**ყოროლისთავში ახალი ბილიკის მოწყობა და განვითარება.**	**4.3.1**

დასაბუთება

რეკრეაციული ბილიკები ხელს უწყობს ადამიანებს, ისიამოვნონ ბუნებით; ასევე ხელს უწყობს სხვადასხვა აქტივობის, მაგალითად, ლაშქრობის, მთებზე ასვლის, ველოტურების, საცხენოსნო ტურების პოპულარიზაციას და განხორციელებას. ბილიკების შემუშავების მიზანია ვიზიტორების გამოცდილება გახდეს სასიამოვნო, უსაფრთხო და სახალისო.

ბილიკები უმნიშვნელოვანესია იმის უზრუნველსაყოფად, რომ გარე რეკრეაციული აქტივობები ჰარმონიულად ერწყმოდეს გარემოს.

მტირალას პარკში დამატებითი ბილიკების შექმნა 2 სხვადასხვა მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს: (ა) საშუალებას მისცემს ვიზიტორებს, ისიამოვნონ პარკის ბუნებრივი და კულტურული ღირებულებებით; (ბ) მრავალფეროვანს გახდის ტურისტულ შეთავაზებას და ტურისტების ნაკადებს მიმართავს ნაკლებ განვითარებული უბნებისკენ.

აღწერა

მტირალას პარკში განისაზღვრა მიმზიდველი ბილიკი. ბილიკი დაიწყება ყოროლისთავში არსებული პარკის შესასვლელიდან. ამ უბანს ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. ცოტა ხნის წინ აქ ფრინველებზე სათვალთვალო კოშკი აშენდა.

შეიძლება შემუშავდეს კულტურული ტური, რომელიც დაემყარება ამ ადგილის ისტორიულ წარსულს (რუსების ყოფნა) ან მდიდარ ველურ ბუნებას.

ეს ბილიკი გაუყვება არსებულ მარშრუტს მე-9 კმ-მდე. აქედან ბილიკს ორი ალტერნატივა იქნება:

- **1-ლი ალტერნატივა.** საბჭოთა ნანგრევების მიმართულებით. ამ ბილიკის სიგრძე 10.40 კმ-ა. ეს მარშრუტი უფრო შესაფერისი იქნება საფეხმავლო, საველოსიპედე და საცხენოსნო ლაშქრობებისთვის. ეს მარშრუტიც კარგ მდგომარეობაშია და მხოლოდ მცირე მოცულობის სამუშაოებს საჭიროებს.

- **მე-2 ალტერნატივა.** ჩაქვისთავის მიმართულებით. ამ ბილიკის სიგრძე 15 კმ. იქნება. რადგან ჩაქვისთავში მისასვლელად ვიზიტორებს ხიდის გადავლა მოუწევთ, ეს ბილიკი არ იქნება რეკომენდებული ცხენით გასეირნებისთვის (ველოსიპედით სეირნობისთვის ამ ბილიკის შესაფერისობა უნდა შემოწმდეს).

ამ ბილიკის სრული შეფასება არ ჩატარებულა და შესაბამისად, შესასწავლია.

ეს მარშრუტი ასევე შეიძლება დაიწყოს ჩაქვისთავის მხრიდან; თუმცა, ასვლა უფრო რთული იქნება.

ეს ბილიკი შესაფერისია სხვადასხვა აქტივობისთვის - საფეხმავლო, საველოსიპედე და საცხენოსნო ლაშქრობებისთვის. ბილიკი ასევე შესაფერისია ზამთარში თოვლზე საბიჯებელი თხილამურებით სეირნობისთვის.

თოვლით დაფარული მთები არაჩვეულებრივ შესაძლებლობას იძლევა ზამთრის ბუნების ფოტოგრაფირებისთვის, ასევე თოვლზე ცხოველების ნაკვალევის გაყოლის ან სხვა ველური ბუნების აქტივობისთვის (იხილეთ ქმედება *4.3.2).*

ამ მარშრუტზე (8 კმ) რამდენიმე შენობაა, რომელთა განახლება და გამოყენება თავშესაფრად/მთის კოტეჯად ან რეკრეაციულ ადგილად შეიძლება. რეკრეაციული სერვისების გასაუმჯობესებლად შესაძლებელია საპიკნიკე მაგიდების განთავსება. მომავალში რეკომენდებულია ხის კოტეჯების ჩადგმა, რათა ჰარმონიაში იყოს გარემოსთან. მოვლა-პატრონობის ხარჯების შესამცირებლად ეს კოტეჯები მარტივი ნაგებობები უნდა იყოს.

სხვა ინფრასტრუქტურა, რომელიც ამ ბილიკის გასწვრივ შეიძლება მოეწყოს, მოიცავს საპიკნიკე ადგილებს (საბჭოთა ნანგრევებთან ახლოს), სხვა.



ამ ბილიკის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემული დანართში 2.

განსახორციელებელი აქტივობები

- სამუშაოების განსაზღვრა, რომლებიც საჭიროა ამ ბილიკის მოსაწყობად (სამუშაოები, საგზაო ნიშნები, განმარტებითი მასალები, ინფრასტრუქტურა, სხვა).
- საჭირო ინფრასტრუქტურის მოსაწყობი გეგმის შემუშავება.
- ბილიკის მოწყობა.

მოსალოდნელი შედეგები	ახალი რეკრეაციული ინფრასტრუქტურა და სერვისები უზრუნველყოფილია პარკის სხვა უბნებში.
ჩართული უწყებები	საერთაშორისო დონორები; მრჩეველთა რეგიონული საბჭო; დაცული ტერიტორიების სააგენტო; ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი.
კოორდინატორი	მტირალას ეროვნული პარკი
შეფასების ინდიკატორები	✓ 2017 წლისთვის მთელი ბილიკი შეფასებულია ✓ 2018 წლის ბოლოსთვის საჭირო ინფრასტრუქტურა აშენებულია.

განხორციელების პერიოდი	2017-2018	**პრიორიტეტულობა**	მაღალი X საშუალო ☐ დაბალი ☐
ბიუჯეტი	38.000 ლარი		

ქმედება	**ახალი პროდუქტების შემუშავება და განხორციელება ნიშური სეგმენტებისთვის.**	**4.3.2**

დასაბუთება

მტირალას ეროვნული პარკი, როგორც აჭარის ერთ-ერთი დაცული ტერიტორია, ბევრ მნახველს იღებს ზაფხულის თვეებში, განსაკუთრებით მაისიდან სექტემბერამდე პერიოდში. პარკს პოტენციალი აქვს, აგნავითაროს ისეთი ახალი აქტივობები, რომლებიც ბაზრის სპეციფიკურ სეგმენტს არატურისტული სეზონის დროსაც იზიდავს. მონახულების პერიოდის გახანგრძლივება პარკის გრძელვადიანი ამოცანა უნდა იყოს მდგრადობის გასაძლიერებლად.

აღწერა

მტირალას პარკს მნიშვნელოვანი რესურსები აქვს, რომლებმაც შეიძლება სპეციფიკური და შესაბამისი ეკოტურისტული სეგმენტი მოიზიდოს.

პირველი არის ბერდვოჩინგი, რაც მზარდი ტურისტული აქტივობაა მთელ მსოფლიოში. მტირალას პარკი ფრინველებზე თვალთვალის მნიშვნელოვანი ადგილია და ეს პოტენციალი უნდა განვითარდეს. მსხვილმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სხვა კერძო კომპანიებმა რეგიონში უნდა მოაწყონ ყოველწლიური ღონისძიება ბერდვოჩერების მოსაზიდად.

პარკმა უნდა შეიმუშაოს და განავითაროს სპეციალური პროდუქტები ბერდვოჩერებისთვის, მათ შორის, სათვალთვალო ადგილები, ექსპერტი გამყოლები, განთავსება, ტრანსპორტირება, სხვა. უნდა შემუშავდეს კომბინირებული ტურები, რომლებიც მოიცავს ფრინველებთან დაკავშირებულ სხვა ადგილებს, როგორიცაა სოფელი შუამთა, სახალვაშო და სხვა.

მნიშვნელოვანია ბათუმის საერთაშორისო ფრინველთა ფესტივალში მონაწილეობაც.

ტერიტორიაზე მსხვილი ძუძუმწოვრებია - მურა დათვი, სხვა. შეიძლება შემუშავდეს ველური ბუნებაზე თვალთვალის ტურისტული პროდუქტები. ევროპას და მსოფლიო სხვა ქვეყნებს შემუშავებული აქვთ ველური ბუნების სპეციფიკური ტურები და თემატური აქტივობები. ეს აქტივობები არა მარტო მნიშვნელოვან ეკონომიკურ შემოსავლებს ქმნის, არამედ ამაღლების ცნობიერების დონეს სახეობების მნიშვნელობის შესახებ.

ყოროლისთავის უბანს ველური ბუნების ტურების განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. ტური უნდა მოიცავდეს განმარტებით ინფორმაციას მურა დათვების შესახებ, რათა ვიზიტორებმა შეიტყონ მათი ჩვევების, ჰაბიტატის და სხვა საკითხების შესახებ. ტური

ორგანიზებული უნდა იყოს ვიზიტორებისა და მურა დათვების უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვით.

გარდა ამისა, ტერიტორიაზე რამდენიმე მდინარე და ნაკადია გაშოლტვით თევზაობის აქტივობებისთვის. 2016 წელს, ამ აქტივობასთან დაკავშირებით მტირალას ეროვნულ პარკში მნიშვნელოვანი ღონისძიება მოეწყო. ეს აქტივობა ვიზიტორთა საკმაო რაოდენობას იზიდავს. ეროვნულ დონეზე შექმნილია გაშოლტვით თევზაობის ასოციაცია.

თევზის დაჭერის და გაშვების ეს აქტივობა შეიძლება რამდენიმე კვირის განმავლობაში ჩატარდეს პარკის ტერიტორიაზე.

არატურისტულ სეზონზე ამ აქტივობების ორგანიზება სეზონს გაახანგრძლივებდა და მნახველების რაოდენობას გაზრდიდა მთელი წლის განმავლობაში.

განსახორციელებელი აქტივობები

- პოტენციური ტურების განსაზღვრა მათი შემუშავებისთვის
- მარშრუტის პოტენციალის შეფასება ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტთან ერთად
- ძირითადი აქტივების შერჩევა რეკლამირებისთვის და ტურის სცენარის განსაზღვრა (ამოცანები, მთავარი გაჩერებები, თემები, სხვა)
- ტურების რეკლამირება.

მოსალოდნელი შედეგები	ტურისტული სეზონი მტირალას ეროვნულ პარკში გახანგრძლივებულია.		
ჩართული უწყებები	ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; ადგილობრივი თემები; ტურიზმის პროვაიდერები; არასამთავრობო ორგანიზაციები; ბათუმი რაპტორ ქაუნთი; გაშოლტვით მეთევზეთა ასოციაციები; დაცული ტერიტორიების სააგენტო.		
კოორდინატორი	მტირალას ეროვნული პარკი		
შეფასების ინდიკატორები	✓ 2019 წლისთვის მინიმუმ 2 დამატებითი სპეციფიკური ტურისტული პროდუქტია შექმნილი		
განხორციელების პერიოდი	2016-2018	**პრიორიტეტულობა**	მაღალი ☐ საშუალო X დაბალი ☐
ბიუჯეტი	5.500 ლარი		

ამოცანა 4.4. 2019 წლისთვის სრულად ფუნქციონირებს ახალი ბილიკი, რომელიც ვიზიტორებს შესაძლებლობას აძლევს, მოინახულონ აჭარის 3 დაცული ტერიტორია.

ქმედება	**ბილიკის შექმნა, რომელიც მტირალას ეროვნულ პარკს კინტრიშის დაცულ ტერიტორიასა და მაჭახელის ეროვნულ პარკთან აკავშირებს.**	**4.4.1**

დასაბუთება

აჭარის რეგიონში კოლხური ტყეების სამი მნიშვნელოვანი ტერიტორიაა მდიდარი ბუნებრივი და კულტურული რესურსებით. აუცილებელია დაცული ტერიტორიების მენეჯერებმა ითანამშრომლონ ერთობლივი მარშრუტის განსაზღვრაში, რათა ვიზიტორებს უფრო ფართო არჩევანის შესაძლებლობა მიეცეს და გაიზარდოს რეგიონის მთლიანი კონკურენტულობა. სამივე დაცული ტერიტორიის მიმართ ინტეგრირებული მიდგომა (როგორც უკვე შემოთავაზებულია აჭარის დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში) ძალიან სასიკეთოდ წაადგება თითოეულ ტერიტორიას და მთლიანად აჭარის რეგიონს როგორც ტურისტულ ადგილს.

აღწერა

მტირალას პარკი კინტრიშის დაცულ ტერიტორიას ესაზღვრება, რაც მტირალადან კინტრიშამდე მარშრუტის შემუშავების შესაძლებლობას იძლევა. გარდა ამისა, მტირალასა და მაჭახელას შორის მოკლე მანძილია და შესაძლებელია ერთი პარკიდან მეორეში ფეხით გადასვლა.

ეს ბილიკი შესაძლებლობას მისცემს ვიზიტორებს, შეისწავლონ და ისიამოვნონ კოლხური ტყით. ბილიკის ტური 3-4 დღიანი უნდა იყოს, რომლის დროსაც ვიზიტორები კოტეჯებში ან საოჯახო სასტუმროებში გაჩერდებიან, სადაც ტრადიციულ კერძებს დააგემოვნებენ.

1) **ბილიკი კინტრიშის დაცული ტერიტორიისკენ**

პოტენციური მარშრუტი კინტრიშის დაცული ტერიტორიისკენ მკაცრი დაცვის ზონას კვეთს და საჭიროა მისი ფრთხილად დაგეგმვა და მართვა.

ამჟამად, მარშრუტის ეს მონაკვეთი შეუფერებელია ლაშქრობისთვის (ძირითადად, უსაფრთხოების მოსაზრებების გამო), თუმცა ზოგი ვიზიტორი მას უკვე იყენებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს მარშრუტი უძველეს სავაჭრო გზას მიუყვება ჩაქვისთავიდან ხინომდე (აბრეშუმის გზა), მის განსავითარებლად დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი.

წყაროების თანახმად, არსებობდა ამ ორი დაცული ტერიტორიის დამაკავშირებელი გზა, რომელსაც სავაჭრო გზად იყენებდნენ. ამ გზას რუსებიც იყენებდნენ. საჭიროა ამ პოტენციური ბილიკის ისტორიული წარსულის შესწავლა და პოპულარიზება.

მარშრუტი იწყება სოფელ ჩაქვისთავის ბოლოს, მაგრამ ბილიკი, რომელსაც შეიძლება გაუყვე, თითქმის არ არსებობს *(იხილეთ სურათი 1).* ეს საწყისი მონაკვეთი მდინარეს მიუყვება *(იხილეთ სურათი 2)* და მასში ჩავარდნის რისკი დიდია. ამიტომ, სხვა სამუშაოებთან ერთად, უსაფრთხოების მოაჯირების მოწყობაა საჭირო.

ამ ბილიკის მთლიანი სიგრძე (კინტრიშის დაცული ტერიტორიის საზღვრამდე) 8 კმ-ია. კინტრიშთან მისვლის შემდეგ ვიზიტორებს შეუძლიათ ვიზიტორთა ცენტრისკენ წავიდნენ ან მოგზაურობა ხინოს და ტბიყელის ტბის მიმართულებით გააგრძელონ.



სურათი 1



სურათი 2

2) ბილიკი მაჭახელის ეროვნული პარკისკენ.

მაჭახელისკენ მიმავალი ეს ბილიკი შეიძლება ორ სხვადასხვა მიმართულებას გაყვეს:

ამ წერტილიდან მტირალამდე მისვლის ორი ვარიანტი არსებობს:

1) **აგარის გავლით:** ამ გზას პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები აქვს:
    a. ნეგატიური: უსაფრთხოების საკითხები: აგარამდე ვიზიტორებს ქედისკენ მიმავალ გზაზე 10 კმ-ზე მეტი მანძილის გავლა მოუწევთ..
    b. პოზიტიური: აგარის თემი ჩართულია ტურიზმის განვითარებაში; ამჟამად სოფლის მოსახლეობა ბილიკის მოწყობაზე მუშაობს, რომელიც მათ თემს მტირალას პარკთან დააკავშირებს. ეს ბილიკი მალე ამოქმედდება. ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ მტირალას ადმინისტრაციულ პერსონალთან.
2) **ზუნდაგის გავლით:** ამ გზას პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები აქვს:
    a. ნეგატიური: ზუნდაგის თემი არ არის ინფორმირებული ტურიზმის განვითარების შესახებ და მათ შეზღუდული კავშირები აქვთ ორივე დაცულ ტერიტორიასთან - მაჭახელასა და მტირალასთან.
    b. პოზიტიური: ზუნდაგამდე მისასვლელი გზა უფრო იოლია, რადგან არ მიუყვება ქედისკენ მიმავალ გზას.

რეკომენდებულია, დაიწყოთ აგარის მარშრუტის გამოყენებით, რადგან ეს ტერიტორია უფრო განვითარებულია. თუმცა, ვიზიტორები გაფრთხილებული უნდა იყვნენ აგარამდე მანძილის და უსაფრთხოების საკითხების შესახებ. კმაყოფილების კვლევა უნდა ჩატარდეს პოტენციურ ვიზიტორებს შორის, რათა შეფასდეს მათი მოსაზრებები ამ მარშრუტის თაობაზე.

აჭარის დაცული ტერიტორიების კომბინირებული მარშრუტი ვიზიტორებს მოიზიდავს და სამივე დაცული ტერიტორიის კონკურენტული უპირატესობა იქნება ეროვნულ დონეზე. ტურისტები უნიკალურ გამოცდილებას მიიღებენ, რადგან შეძლებენ განსხვავებული თვისებების და ლანდშაფტების მქონე სამი დაცული ტერიტორიის მონახულებას ერთ რეგიონში.

ამ მარშრუტის შემუშავებიდან მიღებული სხვა სიკეთეებია:

- ტურიზმის განვითარებაში დამატებითი ადგილობრივი თემების ჩართვის ხელშეწყობა, მაგალითად, ზუნდაგის, აგარის და სხვა (განსაკუთრებით მტირალას და მაჭახელის ეროვნული პარკებისთვის).
- სამი დაცული ტერიტორიის ცნობადობის უზრუნველყოფა.

ეს შესამუშავებელი მარშრუტი შეგიძლიათ იხილოთ **დანართში 2 - რუკები**. ამ რუკაში ასევე ნაჩვენებია სრული მარშრუტი სამივე დაცული ტერიტორიისთვის.

უნდა მოხდეს ამ მარშრუტის (მაჭახელის მონაკვეთის ჩათვლით) როგორც ერთიანი მარშრუტის კონცეფციის შემუშავება და ფოკუსირება კოლხური ტყეების მნიშვნელობაზე; დაცული ტერიტორიების მენეჯერები უნდა შეთანხმდნენ თემებზე, რომლებიც ამ მარშრუტის ირგვლივ შემუშავდება, ასევე ობიექტებზე, რომლებიც ამ მარშრუტის გასწვრივ განლაგდება და სხვა საკითხებზე.

განსახორციელებელი აქტივობები

- ტერიტორიის ზონირების სტატუსის პოტენციური ცვლილების და პოტენციური ეკოლოგიური ზემოქმედების შეფასება.
- ბილიკის საჭიროებების შეფასება.
- ბილიკის განვითარების გეგმის შემუშავება (თითოეული პარკი პასუხისმგებელი უნდა იყოს საკუთარ ტერიტორიაზე საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სამუშაოების ჩატარებაზე, თუმცა კონცეფცია და პროექტი ერთმანეთთან უნდა შეათანხმონ).
- მთლიანი მარშრუტის კონცეფციის მომზადება.

მოსალოდნელი შედეგები	სალაშქრე მარშრუტი, რომელიც მაჭახელის დაცულ ტერიტორიას და მტირალას ეროვნულ პარკს აკავშირებს ამოქმედებულია.
ჩართული უწყებები	მუნიციპალიტეტები; ადგილობრივი თემები; ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; დაცული ტერიტორიების სააგენტო; მტირალას ეროვნული პარკი; მაჭახელის ეროვნული პარკი; კინტრიშის დაცული ტერიტორია .
კოორდინატორი	დაცული ტერიტორიების სააგენტო

შეფასების ინდიკატორები	✓ 2018 წლისთვის ვიზიტორებს უსაფრთხოდ შეუძლიათ მტირალას ეროვნული პარკიდან კინტრიშის დაცულ ტერიტორიასა და მაჭახელის ეროვნულ პარკში გადასვლა.		
განხორციელების პერიოდი	2016-2018	**პრიორიტეტულობა**	მაღალი X საშუალო ☐ დაბალი ☐
ბიუჯეტი	16.500 ლარი		

ამოცანა 4.5. 2020 წლისთვის ადგილობრივებისა და ვიზიტორებისთვის ფუნქციონირებს კომპლექსური გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო პროგრამა.

ქმედება	**ადგილობრივებისა და ვიზიტორებისთვის გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო და განმარტებითი პროგრამის შემუშავება და განხორციელება.**	**4.5.1**

დასაბუთება

გარემოს დაცვის საკითხებზე განათლება და განმარტება ის ორი თემაა, რომლებიც დაკავშირებული უნდა იყოს ტურიზმთან დაცულ ტერიტორიებზე. ისინი აუცილებელი ინსტრუმენტებია ბუნებრივი ნაკრძალების და მათი ურთიერთკავშირის, ფუნქციების და სხვა ასპექტების შესახებ ცოდნის გასაფართოებლად. განმარტებასა და ტურიზმს შორის მჭიდრო ურთიერთობაა. განმარტება ეხება ვიზიტორებისთვის ინფორმაციის მიწოდებას იმ ადგილების შესახებ, სადაც იმყოფებიან და მათ მოტივირებას, დააფასონ და იზრუნონ ამ ადგილებზე.

მტირალას პარკს უკვე განთავსებული აქვს რამდენიმე დაფა არსებულ მარშრუტებზე; ეწყობა მწვანე კალენდრის აქტივობები და ღონისძიებები; თუმცა ეს აქტივობები გასაუმჯობესებელი და გასაფართოვებელია.

აღწერა

ეროვნული პარკის ერთ-ერთი ამოცანაა ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება პარკის ბუნებრივი და კულტურული ღირებულებების შესახებ. ამიტომ მნიშვნელოვანია, შემუშავდეს კომპლექსური პროგრამა სხვადასხვა ჯგუფების ინფორმირებისთვის მტირალას ეროვნული პარკის გარემოს კონსერვაციისა და ღირებულებების შესახებ.

ეს პროგრამა უნდა მოიცავდეს სხვადასხვა აქტივობას, როგორებიცაა:

1) ***ვიდეო მასალის მომზადება ვიზიტორთა ცენტრში ჩვენებისთვის.*** *ვიზიტორთა ცენტრში სტუმრების გამოცდილების გასამდიდრებლად, ეროვნულმა პარკმა უნდა*


მოამზადოს 5-10 წუთიანი ვიდეო კლიპი. ამ ვიდეოს ვიზიტორთა ცენტრში უჩვენებენ სკოლების მოსწავლეებს ან დაინტერესებულ ვიზიტორებს.


2) *განმარტებითი მასალების დამზადება*

a. *ეროვნული პარკის პოპულარიზაციის და კონსერვაციის მნიშვნელობის შესახებ ბუკლეტების და პლაკატების მომზადება და დაბეჭდვა.* ბუკლეტის თემები შეიძლება იყოს: ფლორისა და ფაუნის ძირითადი სახეობები, კოლხური ეკოსისტემის მნიშვნელობა და სხვა.

b. *ბუკლეტების შემუშავება და დაბეჭდვა ეროვნული პარკის აქტივობების/მარშრუტების შესახებ.*

c. *სპეციფიკური განმარტებითი მასალების დამზადება (განმარტებითი დაფები) შესამუშავებელი მარშრუტებისთვის (იხილეთ ქმედებები 4.3.1/4.4.1)*





ნახატი 23: დაცული ტერიტორიების ბუკლეტების ნიმუშები. წყარო: HIDRIA.

3) ***პრეზენტაციები.*** *პრეზენტაციები უნდა მომზადდეს განმარტებითი ფორმით, რათა უკეთ შესრულდეს ცოდნის გაღრმავების და ქცევის შეცვლის დასახული ამოცანები.*

a. *პრეზენტაციები სკოლებისთვის*
b. *პრეზენტაციები სპეციფიკური ჯგუფებისთვის (სასტუმროები/განთავსების პროვაიდერები, ფერმერები, სხვა).*

4) სპეციალური დღეების აღნიშვნა

ეროვნული პარკის ადმინისტრაცია უკვე აწყობს ღონისძიებებს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მსოფლიო დღეების აღსანიშნად, მაგალითად, გარემოს საერთაშორისო დღე, ტყის საერთაშორისო დღეს.

ეს ღონისძიებები გარემოსდაცვითი პრობლემების შესახებ ცნობიერების ამაღლებისთვის უნდა გამოიყენებოდეს და რამდენიმე აქტივობა უნდა მოეწყოს აჭარის სხვა დაცული ტერიტორიების და დაცული ტერიტორიების სააგენტოს შესაბამისად.

5) ***დასუფთავების/რეციკლირების კამპანიების და სხვა გარემოსდაცვით საკითხებზე სემინარების მოწყობა***

არსებობს ნარჩენების მართვის პრობლემები, განსაკუთრებით ადგილობრივ თემებში, რომლებიც ეხება ნარჩენების მდინარეში ჩაყრას, ნაგავსაყრელებს, სხვა. რეგულარულად უნდა ჩატარდეს ნარჩენებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების კამპანიები განსაკუთრებული ფოკუსირებით ბავშვებსა და ახალგაზრდებზე.

ოჯახებისა და ბავშვებისთვის შესამუშავებელი სემინარების თემების მაგალითები მოცემულია დანართში 4.

. გარდა ამისა, ვიზიტორების ყოფნა აძლეირებს ზეწოლას ბუნებრივ რესურსებზე, ამიტომ, უნდა მოხდეს ცნოებირების ამაღლება გარემოს სისუფთავის დაცვის მნიშვნელობის შესახებ; შეიძლება შემუშავდეს ქცევის კოდექსი „არ დატოვო კვალი“ და სხვა			
განსახორციელებელი აქტივობები • გამოსაყენებელი მასალების და მათი შინაარსის განსაზღვრა • აქტივობების განრიგის შედგენა • გაწერილი აქტივობების განხორციელება და შედეგებზე ანგარიშის მომზადება.			
მოსალოდნელი შედეგები	სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფისთვის წარმატებით ხორციელდება განმარტებითი და საგანმანათლებლო პროგრამა.		
ჩართული უწყებები	დაცული ტერიტორიების სააგენტო; ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი; გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები (საბუკო, სხვა).		
კოორდინატორი	მტირალას ეროვნული პარკი		
შეფასების ინდიკატორები	✓ 2017 წლისთვის შემუშავებულია გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო პროგრამა. ✓ 2018 წლისთვის დაბეჭდილია რამდენიმე ბროშურა პარკის ბუნებრივი რესურსების პოპულარიზაციისთვის.		
განხორციელების პერიოდი	2017-2019	**პრიორიტეტულობა**	მაღალი ☐ საშუალო X დაბალი ☐
ბიუჯეტი	5.500 ლარი		

ქმედება	**მოხალისეთა პროგრამის შემუშავება და განხორციელება უნივერსიტეტებსა და რეგიონულ**	**4.5.2**
დასაბუთება მოხალისეები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დაცული ტერიტორიების ღირებულებების შესახებ ცნობიერების ამაღლების და მათი დაცვის საქმეში. ისინი ასევე მოტივაციას უჩენენ სხვებს, ჩაერთონ დაცული ტერიტორიების კონსერვაციაში. სწორად მართვის შემთხვევაში, მოხალისეები თავიანთი შრომით ეხმარებიან დაცულ ტერიტორიებს, ხოლო თავად მოხალისეები მნიშვნელოვან პრაქტიკულ გამოცდილებას და ღირებულ ცოდნას იძენენ დაცული ტერიტორიების მართვის შესახებ.		

კარგად შემუშავებული მოხალისეთა პროგრამა ხელს უწყობს დაცული ტერიტორიების ამოცანების და მიზნების მიღწევას და მათი ცნობადობის ზრდას.

აღწერა

მტირალას პარკს მოხალისეთა პროგრამის შემუშავების დიდი პოტენციალი აქვს. ამ ტიპის პროგრამებით დაინტერესებული ჯგუფები ან ინდივიდები ჩაერთვებიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც უზრუნველყოფს პარკის პოპულარიზაციას, პარკის საგანმანათლებლო როლის ზრდას, საჯარო ინსტიტუტებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას და სხვა.

ამ პროგრამის **ამოცანები** იქნება:

- დაცული ტერიტორიების საგანმანათლებლო როლის ხელშეწყობა.
- პარკის უკეთ პოპულარიზება ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.
- ბუნების კონსერვაციის და ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა.
- ვიზიტორთა გამოცდილების გაძლიერების ხელშეწყობა.
- ეროვნული პარკის ადმინისტრაციული პერსონალის გაძლიერება.

საერთაშორისო მოხალისეების ყოფნა ეროვნულ პარკს დაეხმარება სხვადასხვა ეროვნების ვიზიტორების მიღებაში, განსაკუთრებით ტურისტული სეზონის დროს.

მოხალისის პასუხისმგებლობები მრავალფეროვანი შეიძლება იყოს, მათ შორის, რეინჯერების დახმარება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგსა თუ ბილიკების აღდგენაში, კონსერვაციის აქტივობების შესრულება, როგორიც, მაგალითად, ტყეების აღდგენის აქტივობებია ან ჯგუფების გამყოლობაც კი.

განსახორციელებელი აქტივობები

- მოხალისეთა პროგრამის შექმნა (ეროვნული და საერთაშორისო)
- მოწვევა დაინტერესების გამოხატვაზე
- პროგრამის განხორციელება და მის შესახებ ანგარიშის მომზადება.

მოსალოდნელი შედეგები	მოხალისეთა რეგულარული ჯგუფი გარკვეულ დროს ატარებს მტირალას ეროვნულ პარკში და მონაწილეობს გარემოსდაცვითი აქტივობების შემუშავებაში.
ჩართული უწყებები	ადგილობრივი თემები; ქობულეთის/ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები; დაცული ტერიტორიების სააგენტო; უნივერსიტეტები.
კოორდინატორი	მტირალას ეროვნული პარკი
შეფასების ინდიკატორები	✓ 2019 წლისთვის შემუშავებულია მოხალისეთა ეროვნული პროგრამა.

	✓ 2020 წლისთვის საერთაშორისო მოხალისეები დაინტერესებული არიან მტირალას ეროვნულ პარკში მოხალისეობით.		
განხორციელების პერიოდი	2018-2020	**პრიორიტეტულობა**	მაღალი ☐ საშუალო ☐ დაბალი X
ბიუჯეტი	6.000 ლარი/წელი		

სტრატეგიული მიმართულება 5: მარკეტინგი და რეკლამირება

უნდა შემუშავდეს ყოველწლიური მარკეტინგული გეგმები, რომლებითაც განისაზღვრება პრიორიტეტული ქმედებები პარკის და მისი ღირებულებების პოპულარიზებისათვის. ეს გეგმები უნდა შემუშავდეს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან, ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტთან და კერძო სექტორთან თანამშრომლობით. ეს საოპერაციო გეგმები უნდა მოიცავდეს ონლაინ მარკეტინგულ აქტივობებს.

ახალი ტექნოლოგიები ცვლის ადამიანების მოგზაურობის და მგზავრობის ორგანიზების ჩვევებს. დაცული ტერიტორიის ვიზიტორების კვლევის მიხედვით, ინტერნეტი ინფორმაციის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. ამიტომ, მტირალას ეროვნული პარკის შესახებ განახლებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც პარკის ვებგვერდზე, ასევე დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტის ვებგვერდებზე. ონლაინ კამპანია უნდა გაფართოვდეს და არ შემოიფარგლოს Facebook-ის პროფილით; გასათვალისწინებელია სხვა ტექნოლოგიები, როგორიცაა მობილური აპლიკაციები.

ღონისძიებები და საგანმანათლებლო და რეკრეაციული აქტივობები დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორების მოსაზიდი ინსტრუმენტი იქნება, განსაკუთრებით არატურისტულ სეზონში. ეს ღონისძიებები ხელს შეუწყობს ტრადიციების და აჭარის დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური ღირებულებების პოპულარიზებას.

ამოცანა 5.1. 2020 წლისთვის მტირალას ეროვნული პარკი ცნობილი იქნება ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

ქმედება	**მარკეტინგის წლიური საოპერაციო გეგმის შემუშავება.**	**5.1.1**
დასაბუთება მარკეტინგი და რეკლამა უმნიშვნელოვანესია დაცული ტერიტორიების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად და შესაბამისად, ვიზიტორების რაოდენობის გასაზრდელად. მარკეტინგული აქტივობები ყურადღებით უნდა დაიგეგმოს, რომ მიწვდეს სასურველ ბაზრებს და შეესაბამებოდეს დასახულ ამოცანებს. წლიური საოპერაციო გეგმა უნდა შემუშავდეს მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად.		
აღწერა მარკეტინგის წლიური საოპერაციო გეგმა უნდა მოიცავდეს წლის განმავლობაში პარკის რეკლამირებისთვის შესასრულებელ ძირითად აქტივობებს. საოპერაციო გეგმის აქტივობებს შორის არის:		

- **საზოგადოებასთან ურთიერთობის ღონისძიების მოწყობა**. ეს ღონისძიებები სეზონის დაწყებამდე უნდა ჩატარდეს და ემსახურებოდეს ახალი მნიშვნელოვანი აქტივობის რეკლამირებას (ახალი ბილიკი, ახალი ტურისტული სერვისი, სხვა)
- **სარეკლამო/საგანმანათლებლო ფილმი**. უნდა მომზადდეს მოკლე საგანმანათლებლო ფილმი (დაახლოებით 10 წუთიანი) პარკის ღირებულებების შესახებ. ამ ფილმმა ვიზიტორებს მტირალას პარკი, მისი მნიშვნელობა და ღირებულებები უნდა გააცნოს. ფილმის ჩვენება შეიძლება ადმინისტრაციული შენობის საგამოფენო სივრცეში და ის ვიზიტორებს პარკის სიმდიდრის შესახებ ზოგად წარმოდგენას შეუქმნის.
- **ბროშურების/პლაკატების/რუკების მომზადება და დაბეჭდვა.** ბროშურების მთავარი სამიზნე ჯგუფები უნდა იყვნენ: ტუროპერატორები/სამოგზაურო სააგენტოები (ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული დონის) და ტურისტები. ბროშურებს მიმზიდველი ვიზუალი უნდა ჰქონდეს და სხვადასხვა ენაზე იყოს დაბეჭდილი (ქართული, ინგლისური და რუსული). ვიზიტორებს უნდა დაურიგდეს დეტალური რუკები მათზე აღნიშნული მარშრუტებით, განსაკუთრებით, შესასვლელი ბილეთის შემოღების შემდეგ.
- **დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან/ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტთან ერთად ბაზრობებში, სარეკლამო ღონისძიებებში მონაწილეობა.** დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტთან ერთად მონაწილეობის მიღება შესაბამის ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრობებში სარეკლამო ვიდეოკლიპების, ბროშურების და სხვა მასალის გაგზავნის გზით.
- **ადგილობრივი ღონისძიებების ორგანიზება და მათში მონაწილეობა.** მტირალას პარკის შემოგარებში რამდენიმე კულტურულ და ტრადიციულ მოვლენას ზეიმობენ. ადმინისტრაცია აქტიურად უნდა ჩაერთოს ამ აქტივობებში პარკის შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად. ამ ღონისძიებებში მონაწილეობა ადგილობრივი თემების განვითარებაში ეროვნული პარკის ჩართულობის მაჩვენებელიცაა.

გეგმა ასევე უნდა მოიცავდეს აქტივობებს, რომლებიც განსაზღვრულია აჭარის დაცული ტერიტორიების გეგმაში.

განსახორციელებელი აქტივობები

- მარკეტინგული/გრაფიკული დიზაინის ექსპერტის დაქირავება ლოგოს/ბრენდის შესამუშავებლად
- თანამონაწილეობითი ფორმით ეროვნული პარკის ბრენდისა და იმიჯის განსაზღვრა
- მარკეტინგის საოპერაციო გეგმაში შესატანი ძირითადი აქტივობების განსაზღვრა (მათ შორის ბიუჯეტი და ქმედებების კალენდარი)
- მარკეტინგული სტრატეგიის დამტკიცება

მოსალოდნელი შედეგები	ეროვნული პარკის ცნობადობის გაზრდა ქვეყნის მოსახლეობასა და უცხოელებს შორის შემუშავებულ ტურისტულ აქტივობებზე მოთხოვნის ზრდა
ჩართული უწყებები	მტირალას მრჩეველთა საბჭოს წევრები

კოორდინატორი	მტირალას ეროვნული პარკი		
შეფასების ინდიკატორები	✓ 2017 წლისთვის მარკეტინგის საოპერაციო გეგმა შემუშავებულია და მოწონებულია დაინტერესებული მხარეების მიერ.		
განხორციელების პერიოდი	2017-2020	**პრიორიტეტულობა**	მაღალი X საშუალო ☐ დაბალი ☐
ბიუჯეტი	18.000 ლარი		

ქმედება	**მონაწილეობა აჭარის დაცული ტერიტორიების საწევრო ბარათის შექმნაში.**	**5.1.2**

დასაბუთება

აჭარაში ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგიაში შემოთავაზებულია „აჭარის დაცული ტერიტორიების მეგობართა ბარათი“ როგორც რეკლამირების და ინფორმირების ეფექტიანი ინსტრუმენტი, განსაკუთრებით ადგილობრივი ბაზრისთვის. ბარათის შექმნა მიჩნეულია პოზიტიურ საშუალებად, რომელიც ხელს უწყობს არა მარტო დაცული ტერიტორიების მონახულებას, არამედ ბარათის მფლობელთა ინფორმირებას დაცული ტერიტორიების პროექტების, სიახლეების, ღონისძიებების და სხვა აქტივობების შესახებ.

ბარათის გამოყენება შემოსავლების გასაზრდელადაც შეიძლება.

აღწერა

„აჭარის დაცული ტერიტორიების მეგობართა ბარათის“ მიზანია აჭარის დაცული ტერიტორიების და მათთან ასოცირებული სერვისების პოპულარიზაცია.

ამ ბარათის სამიზნე ჯგუფია ინდივიდები, რომლებიც სარგებელს მიიღებენ ამ ბარათიდან. ასეთი სარგებელია, მაგალითად, ფასდაკლება ასოცირებული პროვაიდერებისგან, ასევე საინფორმაციო ბიულეტენის მეშვეობით შეთავაზებების, ღონისძიებების და სხვა საკითხების შესახებ ინფორმირება.

მეორე მხრივ, იმისთვის რომ გაფართოვდეს შესათავაზებელი ფასდაკლებების სპექტრი, საჭიროა აქტიური თანამშრომლობა ტურიზმის პროვაიდერებთან. ტურიზმის პროვაიდერები ამ ბარათის მეორე სამიზნე ჯგუფია. ჩართულობის სანაცვლოდ, ისინი შემდეგ სარგებელს მიიღებენ:

a) აღიარება დაცული ტერიტორიების მხარდამჭერებად, რაც გააუმჯობესებს მათი როგორც მდგრადი და ხარისხიანი სერვისების მიმწოდებლების იმიჯს;
b) მათი ცნობადობის გაზრდა მსხვილი ინვესტირების გარეშე.

მტირალას პარკი უშუალოდ უნდა ახორციელებდეს ბარათის სარგებლის რეკლამირებას რეგიონის ტურისტული სერვისების პროვაიდერებს შორის. ამ ბარათის დანერგვის საცდე ტერიტორიად მტირალას პარკის გამოყენება შეიძლება, რადგან ეს შედარებით მაღალგანვითარებული ტერიტორიაა რამდენიმე ახლომდებარე საოჯახო სასტუმროთი, რომლებსაც ბარათის სიკეთეების შეთავაზება შეუძლიათ.			
განსახორციელებელი აქტივობები • შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებსა და პოტენციურ პარტნიორებთან. • ბარათის რეკლამირება (ბროშურა, პრეზენტაციები, კონკურსები, სხვა). • მონიტორინგი და ანგარიშგება.			
მოსალოდნელი შედეგები	დაცული ტერიტორიის ცნობადობის გაზრდა ადგილობრივ ტურისტულ ბაზარზე კერძო სექტორის ჩართულობა ეროვნული პარკის რეკლამირებაში		
ჩართული უწყებები	ტურისტული სერვისის პროვაიდერები		
კოორდინატორი	მტირალას ეროვნული პარკი/დაცული ტერიტორიების სააგენტო		
შეფასების ინდიკატორები	✓ 2018 წლისთვის ჩატარებულია რამდენიმე შეხვედრა ტურისტული სერვისის პროვაიდერებთან აჭარის დაცული ტერიტორიების საწევრო ბარათის პოპულარიზაციისთვის.		
განხორციელების პერიოდი	2017-2018	**პრიორიტეტულობა**	მაღალი X საშუალო ☐ დაბალი ☐
ბიუჯეტი	1.500 ლარი		

ქმედება	**ღონისძიებათა კალენდრის შედგენა ეროვნული პარკის ცნობადობის გასაზრდელად.**	**5.1.3**
დასაბუთება ღონისძიებები კარგი შესაძლებლობაა დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორების მოსაზიდად, განსაკუთრებით არატურისტული სეზონის დროს. ღონისძიებები შეიძლება უკავშირდებოდეს კულტურულ, გარემოსდაცვით ან რეკრეაციულ საკითხებს, რათა მოზიდული იქნეს სხვადასხვა ტიპის ვიზიტორი. ეს ღონისძიებები ტერიტორიების შესწავლის საშუალებას უნდა ქმნიდეს.		
აღწერა მტირალას პარკმა უნდა შეადგინოს ღონისძიებათა კალენდარი, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში მოეწყობა. ამ ღონისძიებების აღნიშვნა ხელს შეუწყობს პარკის ცნობადობის და მონახულების რაოდენობის გაზრდას არატურისტულ სეზონზე.		

პარკის ადმინისტრაციამ ღონისძიებათა კალენდარი მინიმუმ ერთი წლით ადრე უნდა შეადგინოს, რათა მათი ორგანიზებისთვის საკმარისი დრო ჰქონდეს. ღონისძიებების უნდა ჩატარდეს ადმინისტრაციებთან, ადგილობრივ თემებთან (კოორდინირებული უნდა იქნეს რეგიონულ საკონსულტაციო საბჭოსთან) და ასევე აჭარის სხვა დაცულ ტერიტორიებთან თანამშრომლობის გზით.ზოგი მოვლენა უნდა დაიგეგმოს მაჭახელის ეროვნულ პარკსა და კინტრიშის დაცულ ტერიტორიასთან ერთად.

ზეიმის მოწყობის საფუძველი გახდეს შემდეგი:

1. **გაზაფხულის/შემოდგომის** ფესტივალი**:** ეპიგეას ყვავილობა
2. **დედამიწის დღე** (და სხვა საერთაშორისო დღეები)
3. **ღია კარის დღე**. კონკრეტული თარიღებისთვის, როგორებიცაა მტირალას ეროვნული პარკის დაარსების დღე, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაარსების დღე, დაცული ტერიტორიების სისტემის შექმნის დღე თუ სხვა. უნდა დაიგეგმოს სპეციალური აქტივობები ბავშვებისთვის, სპეციალური უფასო გამყოლიანი ტურები და სხვა. ეს ღონისძიებები ახალი ვიზიტორების პარკში მოზიდვის შესაძლებლობა იქნება.
4. **თაფლის ღონისძიებები** (აჭარის მეფუტკრეთა ასოციაციასთან ერთად, სხვა).
5. აქტიური მონაწილეობა **ადგილობრივ ზეიმებში**, როგორებიცაა ჩაქვისწყლის ხეობის სახალხო ზეიმი.
6. ბერდვოჩინგის აქტივობებში მონაწილეობა.

ეს ღონისძიებები უნდა ემსახურებოდეს გარემოსდაცვითი განათლების გავრცელებას ვიზიტორებს შორის.

ამ ღონისძიებების რეკლამირება ვებგვერდითა და სოციალური ქსელების პროფილებით უნდა მოხდეს.

განსახორციელებელი აქტივობები

- მტირალას ეროვნულ პარკსა და მის შემოგარენში ჩასატარებელი ღონისძიებების წლიური პროგრამის შემუშავება (ერთი წლით ადრე უნდა შემუშავდეს ბიუჯეტირების მიზნებისთვის).
- თანამშრომლობის ხელშეკრულებების დადება პოტენციურ პარტნიორებთან (არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი თემები, სხვა) და მაჭახელის ეროვნულ პარკსა და კინტრიშის დაცულ ტერიტორიებთან.
- საოპერაციო გეგმის განსაზღვრა ღონისძიებების ორგანიზებისა და განხორციელებისთვის.
- სარეკლამო აქტივობების განსაზღვრა და განხორციელება.
- მონიტორინგი და ანგარიშგება.

მოსალოდნელი შედეგები	მტირალას ეროვნული პარკის ცნობადობის გაზრდა
ჩართული უწყებები	ადგილობრივი თემები; მუნიციპალიტეტები; არასამთავრობო ორგანიზაციები;

	ასოციაციები; ტურიზმის კერძო სექტორი.		
კოორდინატორი	მტირალას ეროვნული პარკი		
შეფასების ინდიკატორები	✓ 2020 წლისთვის მინიმუმ 3 ღონისძიებაა ჩატარებული.		
განხორციელების პერიოდი	2017-2020 (წლიური)	**პრიორიტეტულობა**	მაღალი ☐ საშუალო X დაბალი ☐
ბიუჯეტი	3.000 ლარი/წელი		

ქმედება	**ახალი სარეკლამო მასალების შემუშავება და დამზადება, რომლებშიც ასახულია ახალი პროდუქტები, მარშრუტები.**	**5.1.4**

დასაბუთება

შემუშავებული ბილიკების და აქტივობების, ასევე, ეროვნული პარკის და მისი ღირებულებების რეკლამირებისა და ბაზარზე გატანისთვის, საჭიროა სარეკლამო მასალების დამზადება. საინფორმაციო ბროშურები, რუკები, ბუკლეტები უნდა შემუშავდეს, დაიბეჭდოს და გავრცელდეს ადგილობრივ ტუროპერატორებსა და ტურიზმის სხვა პროვაიდერებს შორის.

აღწერა

სარეკლამო მასალები დაეხმარება ვიზიტორებს, გაიაზრონ დაცული ტერიტორიების ღირებულება და მიიღონ ინფორმაცია იმ აქტივობების შესახებ, რომლებიც პარკში შეუძლიათ განახორციელონ. ამ მასალებში მოცემული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია ეროვნული პარკის შესახებ და გამიზნული იყოს ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორებისთვის

სარეკლამო მასალებში ხაზგასმული უნდა იყოს მოსანახულებელი ადგილების ბუნების მოწყვლადობა და მოცემული უნდა იყოს რჩევები მომავალი ვიზიტორებისთვის.
მნიშვნელოვან მასალებს შორის, რომლებიც უნდა დამზადდეს არის:

- პარკის რუკები, რომლებზეც აღნიშნულია ბილიკები და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები.
- ბროშურები, რომლებშიც მოცემულია ზოგადი ინფორმაცია ტერიტორიის შესახებ, ტერიტორიაზე განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალი, ძირითადი სახეობები, რომელთა ნახვაც შეიძლება, ტერიტორიის რეგულაციები და სხვა.
- სუვენირები, გარკვეული ტიპის სუვენირები (კალენდრები, ფანქრები და სხვა), რომლებიც დაინტერესებულ მხარეებს დაურიგდება, ხელს შეუწყობს დაცული ტერიტორიების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

განსახორციელებელი აქტივობები

• სარეკლამო მასალების ტიპის და შინაარსის განსაზღვრა • მიმზიდველი მასალების შემუშავება და დაბეჭდვა • მასალების გავრცელება პარტნიორებს, დაინტერესებულ მხარეებს თუ სხვა პირებს შორის.			
მოსალოდნელი შედეგები	ეროვნული პარკის შესახებ ცნობიერების ამაღლება არსებულ აქტივობებზე მოთხოვნის ზრდა		
ჩართული უწყებები	დაცული ტერიტორიების სააგენტო; ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; ტუროპერატორები; ტურიზმის პროვაიდერები; ტრანსპორტირების სერვისები (ავტობუსი/ტაქსი/აეროპორტი/მატარებელი).		
კოორდინატორი	მტირალას ეროვნული პარკი		
შეფასების ინდიკატორები	✓ 2019 წლისთვის დაბეჭდილია ახალი და მიმზიდველი ბროშურები. ✓ 2018 წლისთვის ტერიტორიის რუკები ხელმისაწვდომია ვიზიტორებისთვის.		
განხორციელების პერიოდი	2018-2019	**პრიორიტეტულობა**	მაღალი ☐ საშუალო X დაბალი ☐
ბიუჯეტი	9.000 ლარი		

ქმედება	**გაცნობითი ტურების ორგანიზება სასტუმროებისთვის.**	**5.1.5**
დასაბუთება მტირალას ეროვნული პარკის მთავარი დაინტერესებული მხარეები ბათუმის და ქობულეთის სასტუმროებია. ისინი დაინტერესებული არიან კლიენტებისთვის დამატებითი სერვისების შექმნით, განსაკუთრებით არატურსიტულ სეზონზე. სასტუმროები უზრუნველყოფენ ტრანსპორტირებას და გამყოლის მომსახურებას, მაგრამ მათ არა აქვთ ინფორმაცია მტირალას ეროვნული პარკის რეკრეაციული რესურსების შესახებ. ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტმა უკვე მოაწყო რამდენიმე გაცნობითი ტური ტუროპერატორებისა და ჟურნალისტებისთვის.		
აღწერა		

ბათუმის და ქობულეთის სასტუმროები და სხვა სერვისების პროვაიდერები მნიშვნელოვან ბაზარს წარმოადგენს აჭარის დაცული ტერიტორიებისთვის. ეს ზღვისპირა რეგიონი მნიშვნელოვანი ტურისტული ადგილია როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე და იქ ათასობით ვიზიტორი ჩადის ყოველწლიურად. ზოგი ვიზიტორი ასევე დაინტერესებულია სოფლების მონახულებით და აქტივობებით ბუნების წიაღში. სასტუმროების პერსონალს ინფორმაცია უნდა ჰქონდეს ტურისტული შეთავაზების შესახებ, რათა ის კლიენტებს მიაწოდოს. ტურიზმის ინდუსტრიაში ძალიან რთულია ვირტუალური პროდუქტის გაყიდვა ცოდნისა და გამოცდილების გარეშე. რეკომენდებულია სასტუმროების წარმომადგენლების (მიმღების თანამშრომლების, ვიზიტორთა სპეციალისტების და მენეჯერების) მოწვევა მტირალას პარკში პარკის ობიექტების და ინფრასტრუქტურის დასათვალიერებლად.			
განსახორციელებელი აქტივობები • გასაცნობი ტურის პროგრამის მომზადება (ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტთან ერთად) • სარეკლამო მასალები სასტუმროებში გასავრცელებლად • დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობაზე შეთანხმების მიღწევა			
მოსალოდნელი შედეგები	ვიზიტორების რაოდენობის გაზრდა		
ჩართული უწყებები	სასტუმროების და განთავსების სხვა პროვაიდერები მტირალას ეროვნული პარკი ადგილობრივი თემები		
კოორდინატორი	ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი		
შეფასების ინდიკატორები	✓ 2018 წლისთვის მინიმუმ 2 გაცნობითი ტური მოეწყო რეგიონის სასტუმროებისთვის.		
განხორციელების პერიოდი	2018	**პრიორიტეტულობა**	მაღალი ☐ საშუალო ☐ დაბალი X
ბიუჯეტი	4.000 ლარი		

ამოცანა 5.2. მტირალას ეროვნული პარკის შესახებ ინფორმაციის მიღება ადვილია ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით.

ქმედება	**გამოსაყენებლად მოსახერხებელი და საძიებო სისტემებისთვის ოპტიმიზებული ტურისტული ვებგვერდის შექმნა მტირალას ეროვნული პარკისთვის.**	**5.2.1**

დასაბუთება

ვებგვერდებს არსებითი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ტურისტული ადგილის თუ დაცული ტერიტორიის პოპულარიზაციისთვის. ტურიზმის მომხმარებლებს სულ უფრო მზარდი მოთხოვნები აქვთ ისეთი ტურისტული ვებგვერდების და სოციალური მედია-პლატფორმების შინაარსის მიმართ, რომლებიც მათ საჭიროებებს შეესაბამება. აჭარის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა თითქმის 40% ინტერნეტით მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყდნობით გეგმავს თავის ვიზიტს. ამიტომ, ინტერნეტისთვის მეტი რესურსების დამატება პოტენციურ ვიზიტორებს გაუადვილებს, მოიპოვონ ყველა შესაბამისი ინფორმაცია მოგზაურობის უკეთ ორგანიზებისთვის.

ამჟამად, აჭარის დაცული ტერიტორიების შესახებ ინფორმაციის უდიდესი ნაწილი დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებგვერდზეა განთავსებული. ეს ვებგვერდი არ არის მომხმარებელზე ორიენტირებული, განსაკუთრებით რეკლამირების მიზნების თვალსაზრისით. ვებგვერდზე ქვეყნდება ინფორმაცია ამ ტერიტორიების შესახებ, მაგრამ ეს ინფორმაცია არ ეხება „დამხმარე ზონებს“ - არ არის ინფორმაცია, როგორ შეიძლება ამ ტერიტორიებთან მისვლა, ტრანსპორტის რა სახეობებია ხელმისაწვდომი და ა.შ.

ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტს ასევე აქვს ონლაინ ბროშურები და ინფორმაცია პარკთან დაკავშირებით, მაგრამ ეს ინფორმაცია არ არის საკმარისად დეტალური. პარკის მიმზიდველობის გასაუმჯობესებლად უნდა შეიქმნას ცალკე ვებგვერდი, რომელიც მომხმარებლებთან ინტერაქციის შესაძლებლობას იძლევა.

აღწერა

მტირალას პარკს უნდა ჰქონდეს ვებგვერდი, რომლითაც არა მარტო დაცული ტერიტორიის ღირებულებების პოპულარიზება მოხდება, არამედ დეტალური ინფორმაციის მიწოდება პარკის აქტივობების, სპეციალური ღონისძიებების, განთავსების საშუალებების (მათ შორის ადგილობრივი საოჯახო სასტუმროების) და სხვა საკითხების შესახებ.

ვებგვერდის ზოგი მთავარი ელემენტია:

1) დროულად დაწერილი და განახლებული მასალები (სამიზნე აუდიტორიების ენებზე)
2) დანიშნულების ადგილების ხარისხიანი და პოზიტიური იმიჯები (ვიზუალური დიზაინი)
3) მოხმარების სიადვილე
4) სამიზნე ბაზრებისთვის მიმზიდველობა
5) სხვადასხვა მოწყობილობით (სტატიკური და მობილური) წაკითხვის შესაძლებლობა.

ეს ვებგვერდი ინტეგრირებული უნდა იყოს სოციალური ქსელის პროფილებთან, რათა ხელი შეეწყოს მომხმარებელთან ინტერაქციას. დაცული ტერიტორიის პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ტრენინგი ახალი მასალებით ვებგვერდის რეგულარულ განახლებაზე.

გამოყენებული უნდა იყოს გუგლ ანალიტიკსი ვებგვერდის ტრეფიკის გასაზომად. სასარგებლო იქნება ელექტრონული ფოსტის მისამართების სიის ან საინფორმაციო ბიულეტენის შექმნა, რათა ამ სიის წევრებს შეატყობინოთ აჭარის დაცული ტერიტორიების სიახლეები. პოზიციონირების კიდევ ერთი ინსტრუმენტია საძიებო სიტყვების გამოყენება; ეს

ონლაინ მარკეტინგის წარმატების მნიშვნელოვანი ელემენტია. საჭიროა დაახლოებით 120 სიტყვის ჩამონათვალის შედგენა (მათ შორის, სხვადასხვა სამიზნე ბაზრისთვის საინტერესო სიტყვების), რომლებიც გამოყენებული იქნება მთელ საიტზე.

ტურისტული ადგილის ვებგვერდის კარგი მაგალითია ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ვებგვერდი: www.gobatumi.ge. ამ ვებგვერდზე უკვე განთავსებულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია რეგიონის და აჭარის დაცული ტერიტორიების შესახებ. ეს ინფორმაცია რეგულარულად უნდა განახლდეს და გამდიდრდეს მასალებით დაცულ ტერიტორიაზე შემუშავებული ახალი ბილიკებისა და პროდუქტების შესახებ.

ამ ვებგვერდიდან შესაძლებელია ბროშურების და რუკების ჩამოტვირთვა. ეს შესაძლებლობა გამოყენებული უნდა იქნეს აჭარის დაცული ტერიტორიების შესახებ ბროშურების პოპულარიზებისთვის.

ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტსა და აჭარის დაცულ ტერიტორიებს შორის ამ მარკეტინგული სტრატეგიის ირგვლივ თანამშრომლობის გაძლიერება გაუმჯობესებს აღნიშნული ტურისტული ადგილის იმიჯს და შეამცირებს მასალის შექმნის და რეკლამირების ხარჯებს.

განსახორციელებელი აქტივობები:

- ვებგვერდის მოთხოვნების განსაზღვრა
- ვებსაიტების შემუშავება
- ვებსაიტების რეგულარული განახლება
- ვებსაიტის გამოყენების მონიტორინგი და მის შესახებ ანგარიშის მომზადება

მოსალოდნელი შედეგები	მტირალას ეროვნული პარკის ონლაინ ცნობადობის გაზრდა		
ჩართული უწყებები	დაცული ტერიტორიების სააგენტო; საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი; მტირალას მრჩეველთა საბჭო.		
კოორდინატორი	მტირალას ეროვნული პარკი		
შეფასების ინდიკატორები	✓ 2019 წლისთვის მტირალას ეროვნული პარკის ვებგვერდი ამოქმედებულია.		
განხორციელების პერიოდი	2017-2018	**პრიორიტეტულობა**	მაღალი ☐ საშუალო X დაბალი ☐
ბიუჯეტი	3.500 ლარი		

ქმედება	**მულტიმედიურად ჩამოტვირთვადი ბილიკების შექმნა და აჭარის დაცული ტერიტორიების შესახებ დეტალური ინფორმაციის შეტანა გოუბათუმი აპლიკაციაში.**	**5.2.2**

დასაბუთება

ლაშქრობა ერთ-ერთი პოპულარული აქტივობაა აჭარის დაცულ ტერიტორიებზე და შესანიშნავი შესაძლებლობა, დატკბეთ მათი სილამაზით.

ბილიკების შესახებ დეტალური ინფორმაცია ძალიან სასარგებლოა იმ მოლაშქრეებისთვის, ვისაც ამ აქტივობით დაკავება სურს. ინტერაქტიული რუკების უზრუნველყოფა დამატებითი ღირებულებაა იმათთვის, ვინც გამყოლის გარეშე ლაშქრობას ირჩევს.

მტირალას ეროვნულ პარკს რამდენიმე ბროშურა აქვს, მაგრამ მათი ხარისხის გასაუმჯობესებელია.

აღწერა

რუკები ღირებული ინსტრუმენტია მოლაშქრეებისთვის და რუკის ჩამოტვირთვის და სმარტფონით მისი გამოყენების შესაძლებლობა ქაღალდის და ბეჭდვის ხარჯებს ამცირებს და დამატებით ღირებულებას წარმოადგენს მოლაშქრეებისთვის.

რუკები მზად უნდა იყოს დაცული ტერიტორიების ვებგვერდებიდან ჩამოსატვირთად და ვიზიტორები ინფორმირებული უნდა იყვნენ ამ შესაძლებლობის შესახებ.

დამატებითი შესაძლებლობაა მობილური აპლიკაციის შემუშავება ან გოუბათუმი აპლიკაციის გამოყენება აჭარის დაცული ტერიტორიების შესახებ საჭირო ინფორმაციის ჩამოსატვირთად, რათა ვიზიტორებმა გამოიყენონ ეს აპლიკაცია ტერიტორიების მოსანახულებლად (ძირითადი ღირსშესანიშნაობები, სასარგებლო ინფორმაცია, რის გაკეთება შეიძლება აჭარის დაცულ ტერიტორიებზე და სხვა).

National Geographic-ს შემუშავებული აქვს აპლიკაცია ამერიკის ყველაზე პოპულარული ეროვნული პარკებისთვის, რომელიც მოიცავს ფოტო გალერეას, ვიზიტორებისთვის ინფორმაციას და რუკებს, რაც ამდიდრებს ვიზიტორების გამოცდილებს. აპლიკაცია ასევე მოიცავს ინფორმაციას განთავსების შესაძლებლობების და სხვა საკითხების შესახებ.

აპლიკაციის ჩამოტვირთვა უფასო უნდა იყოს და ადაპტირებული შემდეგი სისტემებისთვის: Android, IOs და Windows Phone.

განსახორციელებელი აქტივობები

- ბილიკების შესახებ საჭირო ინფორმაციის შეგროვება
- ოფიციალური მობილური აპლიკაციის შემუშავება სხვადასხვა მობილური საოპერაციო სისტემისთვის, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს ვიზიტორებს, შეისწავლონ არსებული ბილიკები
- სარეკლამო აქტივობები
- მონიტორინგი და ანგარიშგება

მოსალოდნელი შედეგები	ბილიკების შესახებ ინფორმაციის ჩამოტვირთვა შესაძლებელია

	გოუბათუმი აპლიკაცია დეტალურ ინფორმაციას სთავაზობს მომხმარებლებს აჭარის დაცული ტერიტორიების შესახებ.		
ჩართული უწყებები	აჭარის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია; დაცული ტერიტორიების სააგენტო; ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.		
კოორდინატორი	ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი		
შეფასების ინდიკატორები	✓ 2019 წლისთვის პარკში არსებული ყველა ბილიკის რუკა შეიძლება ჩამოიტვირთოს ვებგვერდის ან აპლიკაციის მეშვეობით.		
განხორციელების პერიოდი	2019	**პრიორიტეტულობა**	მაღალი ☐ საშუალო ☐ დაბალი X
ბიუჯეტი	3.000 ლარი		

ქმედება	**სოციალური მედიის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება სხვადასხვა არხის გამოყენების გზით.**	**5.2.3**

დასაბუთება

სოციალური ქსელების სარეკლამოდ გამოყენებას სოციალურ მარკეტინგს უწოდებენ. სოციალური მედია ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს მოგზაურობის და ტურიზმის ინდუსტრიის ყველა ასპექტში. არდადეგების/შვებულების დროს მოგზაურთა საკმაოდ დიდი ნაწილი სოციალურ მედიაში ანთავსებს ფოტოებს სმარტფონების გამოყენებით.

სოციალური მედია ინფორმაციის ახალი წყაროა მოგზაურებისთვის. ტურისტები გადაწყვეტილებებს სხვა მოგზაურების კომენტარებზე დაყრდნობით იღებენ. სოციალური მედიის სტრატეგიის შემუშავება ხელს შეუწყობს მტირალას პარკის უკეთ პოზიციონირებას ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე. სხვა მოგზაურების მოსაზრებები ძალიან ღირებულია და უნდა წახალისდეს პარკის ვიზიტორების აქტიური მონაწილეობა სოციალურ მედიის პროფილებში.

აღწერა

მტირალას პარკს უკვე აქვს Facebook-ის პროფილი, მაგრამ მისი აქტივობა ძალიან დაბალია. დამატებითი პროფილები უნდა შეიქმნას სოციალური მედიის სხვა არხებზე, როგორებიცაა Flickr, Instagram ან YouTube. საჭიროა ვიზიტორების სტიმულირება, ატვირთონ ფოტოები და ვიდეოები ამ პროფილებზე, რითიც მიმდევრების თემი შეიქმნება. სოციალურ მედიაში აქტიურობა ხელს შეუწყობს ტერიტორიის უკეთ პოზიციონირებას გუგლის საძიებო სისტემაში.

სოციალური მედიის პროფილები უნდა გამოიყენებოდეს პარკის ღონისძიებების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ მიმდევრების მუდმივი ინფორმირებისთვის; შესაბამისად, საჭიროა ამ პროფილების რეგულარული მართვა. გარდა ამისა, მტირალას პარკის ვიზიტორთა სპეციალისტებმა უნდა შეისწავლოს პოტენციური ვიზიტორების კომენტარები, განსაკუთრებით მათი, ვისაც ისეთ აქტივობაში მიუღია მონაწილეობა, რომელიც პარკში უნდა შემუშავდეს. ეს შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოტენციურად ცუდი კომენტარების იდენტიფიცირებისთვის და იმ ასპექტების გამოსწორებისთვის, რომლებმაც ვიზიტორთა უკმაყოფილება გამოიწვია.			
განსახორციელებელი აქტივობები • სოციალური მედიის ორწლიანი სტრატეგიის განსაზღვრა • სტრატეგიის განხორციელება • მონიტორინგი და ანგარიშგება • სოციალური მედიის სტრატეგიის განახლება			
მოსალოდნელი შედეგები	მტირალას ეროვნული პარკის ცნობადობის გაზრდა სოციალურ მედიაში.		
ჩართული უწყებები	დაცული ტერიტორიების სააგენტო; ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.		
კოორდინატორი	მტირალას ეროვნული პარკი		
შეფასების ინდიკატორები	✓ 2017 წლისთვის შემუშავებულია სოციალური მედიის ორწლიანი სტრატეგია.		
განხორციელების პერიოდი	2017-2020	**პრიორიტეტულობა**	მაღალი ☐ საშუალო X დაბალი ☐
ბიუჯეტი	1.200ლარი/წელი		

9. აქტივობების შეჯამება

სტრატეგიული მიმართულება 1: მართვა და მმართველობა										
ამოცანა 1.1. 2017 წლისთვის მრჩეველთა რეგიონული საბჭო წარმოადგენს აჭარის დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარების კოორდინირების მექანიზმს.										
კოდი	**ქმედება**	**კოორდინატორი**	**ჩართული უწყებები**	**ბიუჯეტი**	**პრიორიტეტულობა**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**
1.1.1	რეგიონულ დონეზე მრავალაქტორიანი პლატფორმის - მრჩეველთა რეგიონული საბჭოს - ჩამოყალიბების მხარდაჭერა და მასში აქტიური მონაწილეობა.	ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი	აჭარის გარემოს დაცვის დეპარტამენტი; აჭარის მუნიციპალიტეტები; აჭარის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები/დაცული ტერიტორიების სააგენტო; ტურიზმის კერძო სექტორი (ტუროპერატორები/ტურისტული სააგენტოები, სასტუმროები, რესტორნები და სხვა); ადგილობრივი თემები; არასამთავრობო ორგანიზაციები.	300 ლარი/წელი (შეხვედრები)	მაღალი					
1.1.2	პოტენციურ პარტნიორებთან თანამშრომლობის ალიანსების შექმნა.	მტირალას ეროვნული პარკი	აჭარის ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტები; შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი;	450 ლარი/წელი	საშუალო					

			ტურიზმის კერძო სექტორი (ტუროპერატორები/ტურისტული სააგენტოები, სასტუმროები, რესტორნები, სატრანსპორტო კომპანიები და სხვა); ადგილობრივი თემები; არასამთავრობო ორგანიზაციები.							
ამოცანა 1.2. 2017 წლისთვის თანამონაწილეობითი მექანიზმი მმართველობის გასაძლიერებლად შექმნილია თანამონაწილეობითი მექანიზმი დაცული ტერიტორიის დონეზე										
კოდი	**ქმედება**	**კოორდინატორი**	**ჩართული უწყებები**	**ბიუჯეტი**	**პრიორიტეტულობა**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**
1.2.1	მტირალას ეროვნული პარკის მრჩეველთა საბჭოს შექმნა.	მტირალას ეროვნული პარკი	აჭარის ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; აჭარის გარემოს დაცვის დეპარტამენტი; ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტები; საერთაშორისო დონორები; დაცული ტერიტორიების სააგენტო ტურიზმის კერძო სექტორი (სასტუმროები, რესტორნები, სხვა); ადგილობრივი თემები: ჩაქვისთავი, აგარა, ზუნდაგა; არასამთავრობო ორგანიზაციები.	2.500 ლარი	მაღალი					
ამოცანა 1.3. 2020 წლისთვის მტირალას ეროვნულ პარკში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი იზრდება 50%-ით.										

კოდი	ქმედება	კოორდინატორი	ჩართული უწყებები	ბიუჯეტი	პრიორიტეტულობა	2016	2017	2018	2019	2020
1.3.1	შესასვლელი ბილეთის შემოღება მტირალას ეროვნული პარკის კონსერვაციის და მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად.	მტირალას ეროვნული პარკი	მტირალას მრჩეველთა საბჭოს და მრჩეველთა რეგიონული საბჭოს წევრები.	27.000 ლარი	საშუალო					
1.3.2	არსებული ინფრასტრუქტურის ადეკვატური მართვის უზრუნველყოფა.	მტირალას ეროვნული პარკი	დაცული ტერიტორიების სააგენტო	700 ლარი	მაღალი					
ამოცანა. 1.4. 2019 წლის ბოლოსთვის მონიტორინგის და შეფასების სისტემა განსაზღვრული და დანერგილია, რათა გამოავლინოსვიზიტორების ზემოქმედება ბუნების ღირებულებებსა და ადგილობრივ თემებზე.										
კოდი	**ქმედება**	**კოორდინატორი**	**ჩართული უწყებები**	**ბიუჯეტი**	**პრიორიტეტულობა**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**
1.4.1	კვლევის მომზადება მტირალას ეროვნულ პარკში ვიზიტორთა გამტარუნარიანობის მართვაზე.	მტირალას ეროვნული პარკი	დაცული ტერიტორიების სააგენტო; ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; სოფელი ჩაქვისთავი	21.000 ლარი	მაღალი					
1.4.2	ვიზიტორთა ზეგავლენის მონიტორინგის სისტემის შემუშავება და დანერგვა.	მტირალას ეროვნული პარკი	დაცული ტერიტორიების სააგენტო; მტირალას ეროვნული პარკის პერსონალი (რეინჯერები, ვიზიტორთა სპეციალისტები, სხვა)	8.500 ლარი	საშუალო					
1.4.3	კვლევის შემუშავება ტურიზმისადმი ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულების შესასწავლად.	მტირალას ეროვნული პარკი	ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; ადგილობრივი თემები; მუნიციპალიტეტები.	1.100 ლარი	საშუალო					
1.4.4	ვიზიტორთა კმაყოფილების კვლევის შემუშავება და ჩატარება.	დაცული ტერიტორიების სააგენტო	ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი;	1.100 ლარი	საშუალო					

			დაცული ტერიტორიების სააგენტო; ტურისტული სერვისის პროვაიდერები (სასტუმროები, საოჯახო სასტუმროები, სხვა)							
სტრატეგიული მიმართულება 2: შესაძლებლობების გაძლიერება.										
ამოცანა 2.1. დაცული ტერიტორიის პერსონალის შესაძლებლობების და უნარების გაძლიერება მდგრადი ტურიზმის, გარემოს დაცვის და ბიზნეს დაგეგმვის საკითხებში.										
კოდი	**ქმედება**	**კოორდინატორი**	**ჩართული უწყებები**	**ბიუჯეტი**	**პრიორიტეტულობა**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**
2.1.1	დაცული ტერიტორიის პერსონალისთვის ტრენინგის პროგრამის შემუშავება და განხორციელება.	დაცული ტერიტორიების სააგენტო	მტირალას ეროვნული პარკი; ქობულეთის პროფესიული საგანმანათლებლო ტრენინგცენტრი; არასამთავრობო ორგანიზაციები; ქობულეთის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები; ადგილობრივი თემები; ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი; შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი.	12.000 ლარი	მაღალი					
2.1.2	სასწავლო ტურების ორგანიზება რეინჯერებისთვის/დაცული ტერიტორიის პერსონალისთვის.	დაცული ტერიტორიების სააგენტო	მტირალას ეროვნული პარკი	18.000 ლარი	საშუალო					
ამოცანა 2.2. ადგილობრივი თემების ცოდნის გაღრმავება დაცული ტერიტორიის გარემოსდაცვითი ღირებულებების და ტურიზმთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.										
კოდი	**ქმედება**	**კოორდინატორი**	**ჩართული უწყებები**	**ბიუჯეტი**	**პრიორიტეტულობა**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**

2.2.1	ადგილობრივი თემებისთვის ტრენინგის პროგრამის შემუშავება და განხორციელება.	დაცული ტერიტორიების სააგენტო	არასამთავრობო ორგანიზაციები; ქობულეთის/ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი; ადგილობრივი თემები; ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი; შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი; ქობულეთის პროფესიული საგანმანათლებლო ტრენინგცენტრი; მტირალას ეროვნული პარკი.	12.000 ლარი	მაღალი						
2.2.2	სასწავლო ტურების ორგანიზება ადგილობრივი თემების წევრებისთვის.	დაცული ტერიტორიების სააგენტო	არასამთავრობო ორგანიზაციები; მტირალას ეროვნული პარკი; ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; ადგილობრივი თემები.	18.000 ლარი	საშუალო						
2.2.3	ადგილობრივი ფერმერების/მწარმოებლებისთვის ტრენინგის პროგრამის შემუშავება და განხორციელება ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და პროდუქტის შეფუთვაზე.	მუნიციპალიტეტები	ადგილობრივი თემები; არასამთავრობო ორგაიზაციები	5.500 ლარი	საშუალო						
სტრატეგიული მიმართულება 3: ადგილობრივი თემების განვითარება.											
ამოცანა 3.1. 2019 წლისთვის მტირალას პარკთან ასოცირებული ტურისტული სერვისების პროვაიდერები აკმაყოფილებენ დაცული ტერიტორიების სააგენტოს/ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტის სტანდარტებს.											
კოდი	**ქმედება**	**კოორდინატორი**	**ჩართული უწყებები**	**ბიუჯეტი**	**პრიორიტეტულობა**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**	

3.1.1	განთავსების და კვების სერვისების ადგილობრივი პროვაიდერების მომსახურების ხარისხის შეფასება.	დაცული ტერიტორიების სააგენტო	ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; მტირალას ეროვნული პარკი; დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა/ელკანა; ტუროპერატორები.	2.800 ლარი	მაღალი					
ამოცანა 3.2. 2020 წლისთვის შექმნილია და ფუნქციონირებს მინიმუმ 5 ახალი ადგილობრივი ბიზნესი.										
კოდი	**ქმედება**	**კოორდინატორი**	**ჩართული უწყებები**	**ბიუჯეტი**	**პრიორიტეტულობა**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**
3.2.1	ახალი პოტენციური ბიზნესის შეფასება და მხარდაჭერა დამხმარე ზონის თემებში.	დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია (თუ შექმნილია) ან მტირალას ეროვნული პარკი.	მტირალას ეროვნული პარკი; საერთაშორისო დონორები; ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; დაცული ტერიტორიების სააგენტო; არასამთავრობო ორგანიზაციები.	30.000 ლარი	საშუალო					
ამოცანა 3.3. 2020 წლისთვის პარკის ადმინისტრაციამ გამოიკვლია, გააძლიერა და პოპულარიზაცია გაუწია კულტურულ და ტრადიციულ აქტივებს.										
კოდი	**ქმედება**	**კოორდინატორი**	**ჩართული უწყებები**	**ბიუჯეტი**	**პრიორიტეტულობა**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**
3.3.1	შეფასების ჩატარება მტირალას ეროვნულ პარკსა და მის დამხმარე ზონაში მთავარი კულტურული აქტივების იდენტიფიცირებისთვის.	განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროები	ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; საერთაშორისო დონორები; არასამთავრობო ორგანიზაციები;	40.000 ლარი	დაბალი					

			მტირალას ეროვნული პარკი; ქობულეთის მუნიციპალიტეტი; სახელმწიფო უნივერსიტეტები.							
სტრატეგიული მიმართულება 4: ინფრასტრუქტურის განვითარება										
ამოცანა 4.1. 2017 წლისთვის, მტირალას ეროვნულ პარკთან მისვლა ადვილად და კომფორტულად შეიძლება.										
კოდი	**ქმედება**	**კოორდინატორი**	**ჩართული უწყებები**	**ბიუჯეტი**	**პრიორიტეტულობა**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**
4.1.1	ხელშეკრულების გაფორმება საგზაო დეპარტამენტთან მტირალას ეროვნულ პარკთან მისასვლელი გზის გაუმჯობესებაზე.	მუნიციპალიტეტები	ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; გარემოს დაცვის დეპარტამენტი; ქობულეთის/ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები; აჭარის მთავრობის გზების რეაბილიტაციის დეპარტამენტი.	350 ლარი (შეხვედრები)	მაღალი					
4.1.2	პარკის უბნებთან მისასვლელის გაუმჯობესება და მანქანების სადგომისთვის შესაფერისი ადგილის უზრუნველყოფა.	მუნიციპალიტეტები	ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; ქობულეთის/ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები; დაცული ტერიტორიების სააგენტო.	5.200 ლარი	საშუალო					
ამოცანა 4.2. 2018 წლისთვის 50%-ით იზრდება მოთხოვნა ტურისტულ პროდუქტზე.										
კოდი	**ქმედება**	**კოორდინატორი**	**ჩართული უწყებები**	**ბიუჯეტი**	**პრიორიტეტულობა**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**

4.2.1	არსებული საჭიროებების განსაზღვრა ისეთი აქტივობების ეფექტიანი განხორციელებისთვის, როგორებიცაა საცხენოსნო ლაშქრობა და კანოეინგი.	მტირალას ეროვნული პარკი	ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; დაცული ტერიტორიების სააგენტო; ჩაქვისთავის ადგილობრივი თემი.	2.500 ლარი	მაღალი		[redacted]			
ამოცანა 4.3. 2018 წლისთვის შემუშავებულია ახალი და მდგრადი ტურისტული ინფრასტრუქტურა და პროდუქტები, რაც ვიზიტორებს შესაძლებლობას აძლევს შეისწავლონ და აღმოაჩინონ მტირალას ეროვნული პარკის ახალი უბნები.										
კოდი	**ქმედება**	**კოორდინატორი**	**ჩართული უწყებები**	**ბიუჯეტი**	**პრიორიტეტულობა**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**
4.3.1	ყოროლისთავში ახალი ბილიკის მოწყობა და განვითარება.	მტირალას ეროვნული პარკი	საერთაშორისო დონორები; მრჩეველთა რეგიონული საბჭო; დაცული ტერიტორიების სააგენტო; ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი.	38.000 ლარი	მაღალი		[redacted]	[redacted]		
4.3.2	ახალი პროდუქტების შემუშავება და განხორციელება ნიშური სეგმენტებისთვის.	მტირალას ეროვნული პარკი	ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; ადგილობრივი თემები; ტურიზმის პროვაიდერები; არასამთავრობო ორგანიზაციები; ბათუმი რაპტორ ქაუნთი; გაშოლტვით მეთევზეთა ასოციაციები; დაცული ტერიტორიების სააგენტო.	5.500 ლარი	საშუალო	[redacted]	[redacted]	[redacted]		
ამოცანა 4.4. 2019 წლისთვის სრულად ფუნქციონირებს ახალი ბილიკი, რომელიც ვიზიტორებს შესაძლებლობას აძლევს, მოინახულონ აჭარის 3 დაცული ტერიტორია.										

კოდი	ქმედება	კოორდინატორი	ჩართული უწყებები	ბიუჯეტი	პრიორიტეტულობა	2016	2017	2018	2019	2020
4.4.1	ბილიკის შექმნა, რომელიც მტირალას ეროვნულ პარკს კინტრიშის დაცულ ტერიტორიასა და მაჭახელის ეროვნულ პარკთან აკავშირებს.	დაცული ტერიტორიების სააგენტო	მუნიციპალიტეტები; ადგილობრივი თემები; ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; დაცული ტერიტორიების სააგენტო; მტირალას ეროვნული პარკი; მაჭახელის ეროვნული პარკი; კინტრიშის დაცული ტერიტორია .	16.500 ლარი	მაღალი					
ამოცანა 4.5. 2020 წლისთვის ადგილობრივებისა და ვიზიტორებისთვის ფუნქციონირებს კომპლექსური გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო პროგრამა.										
კოდი	**ქმედება**	**კოორდინატორი**	**ჩართული უწყებები**	**ბიუჯეტი**	**პრიორიტეტულობა**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**
4.5.1	ადგილობრივებისა და ვიზიტორებისთვის გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო და განმარტებითი პროგრამის შემუშავება და განხორციელება.	მტირალას ეროვნული პარკი	დაცული ტერიტორიების სააგენტო; ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი; გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები (საბუკო, სხვა).	5.500 ლარი	საშუალო					
4.5.2	მოხალისეთა პროგრამის შემუშავება უნივერსიტეტებსა და რეგიონულ საგანმანათლებლო ცენტრებთან კოორდინირებით.	მტირალას ეროვნული პარკი	დაცული ტერიტორიების სააგენტო; უნივერსიტეტები.	6.000 ლარი/წელი	დაბალი					
სტრატეგიული მიმართულება 5: მარკეტინგი და რეკლამირება.										
ამოცანა 5.1. 2020 წლისთვის მტირალას ეროვნული პარკი ცნობილი იქნება ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.										

კოდი	ქმედება	კოორდინატორი	ჩართული უწყებები	ბიუჯეტი	პრიორიტეტულობა	2016	2017	2018	2019	2020
5.1.1	მარკეტინგის წლიური საოპერაციო გეგმის შემუშავება.	მტირალას ეროვნული პარკი	მტირალას მრჩეველთა საბჭოს წევრები	18.000 ლარი	მაღალი					
5.1.2	მონაწილეობა აჭარის დაცული ტერიტორიების საწევრო ბარათის შექმნაში.	დაცული ტერიტორიების სააგენტო/მტირალას ეროვნული პარკი	ტურისტული სერვისის პროვაიდერები	1.500 ლარი	მაღალი					
5.1.3	ღონისძიებათა კალენდრის შედგენა ეროვნული პარკის ცნობადობის გასაზრდელად.	მტირალას ეროვნული პარკი	ადგილობრივი თემები; ქობულეთის/ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები; არასამთავრობო ორგანიზაციები; ასოციაციები; ტურიზმის კერძო სექტორი.	3.000 ლარი	საშუალო					
5.1.4	ახალი სარეკლამო მასალების შემუშავება და დამზადება, რომლებშიც ასახულია ახალი პროდუქტები, მარშრუტები.	მტირალას ეროვნული პარკი	დაცული ტერიტორიების სააგენტო; ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი; ტუროპერატორები; ტურიზმის პროვაიდერები; ტრანსპორტირების სერვისები (ავტობუსი/ტაქსი/აეროპორტი/მატარებელი).	9.000 ლარი	საშუალო					
5.1.5	გაცნობითი ტურების ორგანიზება სასტუმროებისთვის.	ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი	ქობულეთის/ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები; ადგილობრივი თემები	4.000 ლარი	დაბალი					
ამოცანა 5.2. მტირალას ეროვნული პარკის შესახებ ინფორმაციის მიღება ადვილია ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით.										
კოდი	**ქმედება**	**კოორდინატორი**	**ჩართული უწყებები**	**ბიუჯეტი**	**პრიორიტეტულობა**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**

5.2.1	გამოსაყენებლად მოსახერხებელი და საძიებო სისტემებისთვის ოპტიმიზებული ტურისტული ვებგვერდის შექმნა მტირალას ეროვნული პარკისთვის.	მტირალას ეროვნული პარკი	დაცული ტერიტორიების სააგენტო; საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი; მტირალას მრჩეველთა საბჭო.	3.500 ლარი	საშუალო					
5.2.2	მულტიმედიურად ჩამოტვირთვადი ბილიკების შექმნა და აჭარის დაცული ტერიტორიების შესახებ დეტალური ინფორმაციის შეტანა გოუბათუმი აპლიკაციაში.	ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი	აჭარის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია; დაცული ტერიტორიების სააგენტო; ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.	3.000 ლარი	დაბალი					
5.2.3	სოციალური მედიის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება სხვადასხვა არხის გამოყენების გზით.	მტირალას ეროვნული პარკი	დაცული ტერიტორიების სააგენტო; ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.	1.200 ლარი	საშუალო					

10. დანართები


10.1 დანართი 1: ვიზიტორის კითხვარი

10.2. დანართი 2: რუკები

10.3 დანართი 3: შემოთავაზება ბილიკის შემუშავებაზე

მარშრუტის დასახელება	ყოროლისთავის მარშრუტი
მოკლე აღწერა	ეს მარშრუტი დაიწყება პარკის შესასვლელიდან, რომელიც სოფელ ყოროლისთავთან ახლოს მდებარეობს (იხილეთ რუკები 7 და 8); ბილიკი გაყვება არსებულ მარშრუტს და ამიტომ, დიდი სამუშაოების ჩატარება არ არის საჭირო. ადგილი ძალიან საინტერესოა გეოლოგიური თვალსაზრისით და მოიცავს რამდენიმე ბუნებრივ ობიექტს, რომლებიც პეიზაჟს მეტ მომხიბლაობას მატებს (ჩანჩქერები, ტყე, სხვა). ამ ადგილიდან ქობულეთის და ჩაქვის უბნების ლამაზი ხედები იშლება. ბილიკის მდგომარეობიდან გამომდინარე, ის შესაფერისი იქნება ველოსიპედით, ფეხით და ასევე ცხენით სეირნობისთვის. ეს ბილიკი გაყვება არსებულ მარშრუტს მე-9 კმ-მდე. ამ წერტილიდან ბილიკს 2 ალტერნატივა ექნება: - ***1-ლი ალტერნატივა.*** საბჭოთა ნანგრევების მიმართულებით. ამ ბილიკის სიგრძე 10.40 კმ-ია. ის უფრო შესაფერისია საფეხმავლო, საველოსიპედე და საცხენოსნო გასეირნებისთვის. ეს მარშრუტიც კარგ მდგომარეობაშია და მხოლოდ მცირე მოცულობის სამუშაოებს საჭიროებს. - ***მე-2 ალტერნატივა.*** ჩაქვისთავის მიმართულებით. ამ ბილიკის სიგრძე 15 კმ-ია. რადგან ჩაქვისთავში მისასვლელად ვიზიტორებს ხიდის გადასვლა მოუწევთ, ბილიკი არ არის ცხენით სეირნობისთვის რეკომენდებული. ეს მარშრუტი ასევე შეიძლება დაიწყოს ჩაქვისთავის მხრიდან; თუმცა, ასვლა უფრო რთული იქნება. ამ ბილიკის სრული შეფასება არ ჩატარებულა და შესაბამისად, შესასწავლია. ამ ბილიკს ასევე დიდი პოტენციალი აქვს ზამთრის აქტივობების განსავითარებლად, როგორიცაა თოვლზე საბიჯებელები

	თხილამურებით სეირნობა. ამ აქტივობებისთვის ბილიკის მოსაწყობად სპეციალური სამუშაოების ჩატარებაა საჭირო (განსაკუთრებით ბილიკის მარკირება). ვინაიდან ბილიკის საწყის მონაკვეთზე განთავსებულია ფრინველებზე სათვალთვალო კოშკი, ამ ბილიკის მთავარი თემა ველურ ბუნებაზე დაკვირვება შეიძლება იყოს. ასევე მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს ამ ბილიკის ისტორიული ასპექტები.
სიგრძე	ამ მარშრუტის მთლიანი სიგრძე 11 კმ-ა (საბჭოთა ნანგრევების მიმართულებით) – 15 კმ-ა ჩაქვისთავის მიმართულებით.
მარშრუტის მთავარი ელემენტები	ამ ბილიკის მთავარი ელემენტები, ხოლო მომავალი განმარტებითი საკითხები დაემყარება შემდეგს: - მთიანი ლანდშაფტი - გეოლოგია - პეიზაჟის სილამაზე (ტყე, ჩანჩქერები, ტბა) - ველური ბუნება (ძირითადად, მურა დათვები) - ისტორიული ადგილები
სურათები	 სურათი 1



სურათი 2



სურათი 3

მახასიათებლები

- სირთული კატეგორია: *საშუალო.*
- ტიპი: *ლაშქრობა (ალტერნატივები 1 და 2)*

	ველოსიპედით და ცხენით გასეირნება. ზამთრის აქტივობები (ალტერნატივა 1)
პოტენციური ბაზარი	ამ მარშრუტის პოტენციურ ბაზარს პასიური ეკოტურისტები წარმოადგენენ, რომლებსაც აინტერესებთ ბუნებრივ გარემოში ლაშქრობისას დაცული ტერიტორიის ღირებულებების გაცნობა. ბილიკი ასევე შესაფერისია ველოსიპედით ან ცხენით, თხილამურებით სეირნობისთვის და ამრიგად, შესაფერისი იქნება თავგადასავლების მოყვარული ტურისტებისთვისაც. ასაკობრივი ჯგუფი: 18 – 55 წელი. პოტენციური ვიზიტორები ძირითადად ადგილობრივი ტურისტები და საერთაშორისო ვიზიტორები მეზობელი ქვეყნებიდან (სომხეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, რუსეთი და სხვა) და ევროპული ქვეყნებიდან - პოლონეთი, გერმანია, გაერთიანებული სამეფო, სხვა.
მოთხოვნები - ტურისტული ობიექტები	ამ მარშრუტის ასამოქმედებლად საჭიროა: 1. სამუშაოები: ეს ბილიკი მიუყვება არსებულ გზას მე-9 კმ-მდე და ამიტომ, რაიმე დიდი სამუშაოების ჩატარება არ არის საჭირო. 1-ლი ალტერნატიული ბილიკი დიდი სამუშაოების ჩატარებას არ მოითხოვს. საჭიროა ბილიკის მარკირება და გაწმენდა სარეველა მცენარეების, ტოტებისგან და ა.შ. მე-2 ალტერნატიული ბილიკი სრულად არ შეფასებულა, თუმცა ახლა ბილიკი არ არის სათანადოდ მარკირებული. 2. ბილიკის აქსესუარები: - **ნიშნები,** შემოთავაზებულის შემდეგი ტიპის ნიშნები: ✓ **მიმართულების მაჩვენებელი ნიშნები**: უჩვენებს გზაჯვარედინებს, მანძილებს, შესაბამის ობიექტებს: საკემპინგე და საპიკნიკე ადგილებს, გადასახედ ბაქნებს, წყლის წყაროებს. თუ ბილიკი თოვლზე საბიჯებელი თხილამურებისთვისაც იქნა გათვალისწინებული, საჭიროა მისი სათანადოდ მარკირება. ✓ **ბილიკის დასაწყისის/დასასრულის აღმნიშვნელი საინფორმაციო დაფა**: ბილიკის გამომყენებელს აწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას: მარშრუტის რუკა, ბილიკის სირთულის კატეგორია, ბილიკის სიგრძე, გადაუდებელი დახმარების სერვისის საკონტაქტო მონაცემები, მოკლე აღწერა, სხვა ✓ **განმარტებითი დაფები.** მიუთითებს ზოგიერთ ბუნებრივ და კულტურულ რესურსზე.

3. ობიექტები:

- **საპიკნიკე ადგილი.** რეკომენდებულია, მოეწყოს საპიკნიკე/დასასვენებელი ადგილი საბჭოთა ნანგრევების უბანში (დაცული ტერიტორიების სააგენტოს სტანდარტების მიხედვით). ამ ადგილას ვიზიტორები შეძლებენ შეისვენონ უკან დაბრუნების წინ.

- **ზამთრის კოტეჯები /დასასვენებელი ადგილი.** ამ ბილიკზე რამდენიმე მიტოვებული კოტეჯია. ეს კოტეჯები უნდა მოეწყოს ზამთრის კოტეჯებად/თავშესაფრად. ეს კოტეჯები დასასვენებლად მოლაშქრეებმა/მოთხილამურეებმა უნდა გამოიყენონ. უნდა დაპროექტდეს მარტივი ხის კოტეჯები, სადაც განთავსებისთვის საბაზისო მაგრამ კომფორტული პირობები იქნება.

გარდა ამისა, ამ მიმართულებით უნდა გაუმჯობესდეს საგზაო ნიშნები. უკვე განთავსებულია რამდენიმე ნიშანი, რომელიც უჩვენებს მიმართულებას და მანძილს ფრინველებზე სათვალთვალო კოშკამდე, მაგრამ ამ ნიშნებზე არ არის ნახსენები მტირალას ეროვნული პარკი.

10.4. დანართი 4: თემატური ტურების და საოჯახო საგანმანათლებლო აქტივობის მომზადების მაგალითები

<table>
<tr><td>თემატური ტურის ნიმუში</td><td colspan="3">დაცული ტერიტორიის ხეები</td></tr>
<tr><td rowspan="3">განხორციელება</td><td colspan="2">მტირალას ეროვნული პარკი</td><td>X</td></tr>
<tr><td colspan="2">კინტრიშის დაცული ტერიტორია</td><td>X</td></tr>
<tr><td colspan="2">მაჭახელის ეროვნული პარკი</td><td>X</td></tr>
<tr><td>მოსამზადებელი თემა/საკითხი</td><td colspan="3">ხეები და სხვა საინტერესო მცენარეული საფარი დაცულ ტერიტორიაზე</td></tr>
<tr><td>საზოგადოებრივი ამოცანა</td><td colspan="3">ფართო საზოგადოება/ოჯახები</td></tr>
<tr><td>აქტივობის ხანგრძლივობა</td><td>1’20“</td><td>მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა</td><td>15</td></tr>
<tr><td rowspan="3">აქტივობის ტიპი</td><td colspan="2">საგანმანათლებლო</td><td></td></tr>
<tr><td colspan="2">განმარტებითი</td><td>X</td></tr>
<tr><td colspan="2">ეროვნული პარკის/დაცული ტერიტორიის ღირებულებების პოპულარიზაცია</td><td>X</td></tr>
<tr><td colspan="4">მიზნები</td></tr>
<tr><td colspan="4">ხეების და ფოთლების სხვადასხვა ფორმების გაცნობა/
გარემოსთან ხეების ადაპტირების ზოგიერთი თავისებურების გაცნობა/
ხეების და ხალხის ტრადიციული ურთიერთობის გაცნობა (ხეების ტრადიციული გამოყენება, სხვა)/
შეგრძნებების (ყნოსვა, ხედვა და შეხება) სტიმულირება დაცული ტერიტორიის ღირებულებების შესახებ შესწავლის პროცესში.</td></tr>
<tr><td colspan="4">აღწერა</td></tr>
<tr><td colspan="4">4-5 კმ-ის სიგრძის თემატური ტურის ჩატარება, რამდენიმე გაჩერებით, რომლის დროსაც მოკლე განმარტებები გაკეთდება. მნიშვნელოვანია ვიზიტორების წახალისება, გამოიყენონ თავიანთი შეგრძნებები: დააკვირდნენ, შეეხონ, დაყნოსონ, მოუსმინონ ბუნებასა და მცენარეებს.</td></tr>
<tr><td colspan="4">აქტივობის მომზადება</td></tr>
<tr><td colspan="4">გამყოლმა/ვიზიტორთა სპეციალისტმა უნდა განსაზღვროს ყველაზე მოსახერხებელი ადგილები აქტივობის ჩასატარებლად და შესაბამისი ადგილები გაჩერებისთვის (დაახლოებით 4/5). გაჩერების ეს ადგილები უნდა იყოს იქ, სადაც კონკრეტული/ენდემური სახეობებია, ან სხვა ადგილებში, რომლებიც ასახნელ თემებს უკავშირდება.</td></tr>
<tr><td colspan="4">შემუშავება</td></tr>
<tr><td colspan="4">* გამყოლის პრეზენტაცია - მოამზადეთ ეფექტური პრეზენტაცია
* აქტივობის პრეზენტაცია (გამყოლმა ვიზიტორებს უნდა აუხსნას ბილიკის მიზანი, რამდენი ხანი დასჭირდება მის გავლას და რამდენი გაჩერება იქნება ტურის დროს).
* ტურის სიგრძე უნდა იყოს 5/6 კმ, რომლის გავლისასაც ვიზიტორები შეიტყობენ პარკის ძირითადი სახეობების, მათი თავისებურებების და სხვა ასპექტების შესახებ.
* გამყოლები ენთუზიაზმით უნდა ეკიდებოდნენ თავიანთ საქმეს, საუბრობდნენ გასაგებად, არ უგულებელყონ ტექნიკური დონე, შექმნან მოლოდინები გაჩერების ერთი ადგილიდან მეორემდე და უპასუხონ ყველა შეკითხვას, რომლებიც ვიზიტორებს შეიძლება გაუჩნდეთ,</td></tr>
<tr><td colspan="4">ადამიანური რესურსები/მასალები</td></tr>
<tr><td colspan="4">გამყოლი/ექსპერტი და მასალები აქტივობის მხარდასაჭერად. სასურველია, გამყოლს/ექსპერტს ჰქონდეს ცოდნა გარემოს დაცვის საკითხებზე განმარტებების გასაკეთებლად. აქტივობის მხარდასაჭერი მასალები შეიძლება მოიცავდეს ხეების ფოტოებს წელიწადის სხვადასხვა დროს, წარსულში ხისგან დამზადებულ პროდუქტებს, არომატულ ფოთლებს და სხვა.</td></tr>
<tr><td colspan="4">ადაპტირება</td></tr>
<tr><td colspan="4">ტურის შინაარსი ადაპტირებული უნდა იყოს ფართო საზოგადოებისა და ბავშვებისთვის.</td></tr>
<tr><td colspan="4">შეფასება</td></tr>
</table>

აქტივობა უნდა შეფასდეს. შეფასების კითხვარი უნდა დაურიგდეს მონაწილეებს სემინარის დასრულების შემდეგ. შეფასების კითხვარი უნდა გააანალიზოს ვიზიტორთა სპეციალისტმა.

დაცული ტერიტორიები როგორც ბუნებრივი აფთიაქები			**მაგალითი 01**
განხორციელება	მტირალას ეროვნული პარკი		X
	კინტრიშის დაცული ტერიტორიები		X
	მაჭახელის ეროვნული პარკი		X
მოსამზადებელი თემა/საკითხი	ეროვნული პარკის სამედიცინო მცენარეები		
საზოგადოებრივი ამოცანა	15 წლზე მეტი ასაკის ბავშვები		
აქტივობის ხანგრძლივობა	1’15“	**მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა**	20
აქტივობის ტიპი	საგანმანათლებლო		X
	განმარტებითი		
	ეროვნული პარკის ღირებულებების პოპულარიზაცია		X

მიზნები

* ეროვნული პარკის ზოგი სამედიცინო მცენარის, მათი ტრადიციული გამოყენების და სამედიცინო თვისებების გაცნობა.
* დაცული ტერიტორიების სიმდიდრის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლება.

აღწერა

ბუნებრივი კოსმეტიკური საშუალებების დამზადება: მწერების ნაკბენის დამამშვიდებელი სტიკი, თავის ტკივილის დამაამებელი ბალზამი, სამედიცინო მცენარეებისგან დამზადებული ტუჩის საცხი (მაგალითად, როზმარინის, ლავანდის და სხვა).
შენიშვნა: მცენარეები უნდა შეირჩეს ადგილზე არსებული მცენარეების მიხედვით.

შემუშავება

*ექსპერტის და აქტივობის პრეზენტაცია. *ეროვნული პარკის და მისი ღირებულებების მნიშვნელობის შესახებ მოკლე განმარტება (შეიძლება Power Point-ის პრეზენტაციის გამოყენება). *მცენარეების და მათი სამედიცინო თვისებების აღწერა და ახსნა, რომლებიც გამოყენებული იქნება კოსმეტიკური საშუალების დასამზადებლად. * გამყოლი უძღვება აქტივობას და ამზადებს თითოეულ შემოთავაზებულ კოსმეტიკურ საშუალებას; დამზადების წესი მარტივია და მოიცავს შემდეგ საფეხურებს: ეკოლოგიური ცვილის გახურება, სამედიცინო მცენარეების ზეთისა და ესენციების შერევა. * დამზადების შემდეგ კონტეინერებს გაუკეთდება სტიკერები. * შეჯამება და შეფასება.

ადამიანური რესურსები/მასალები

აქტივობა უნდა ჩაატაროს გამყოლმა/ბუნებრივი რესურსების ექსპერტმა (ასევე შეიძლება ადგილობრივი ექსპერტის მოწვევა). კოსმეტიკური საშუალების დასამზადებლად საჭირო მასალებია: ელექტრო ღუმელი, ქვაბი, ეკოლოგიური ცვილი, სამედიცინო მცენარეებისგან მიღებული ზეთები, ზეთის ესენციები, მინის/პლასმასის კონტეინერები, ჯოხები.
შენიშვნა: ეს აქტივობა შეიძლება ჩანაცვლდეს ფუტკრის ცვილის ფიგურების დამზადებით ან მეფუტკრეობა/თაფლთან დაკავშირებული სხვა პროდუქტებით, ეკოლოგიურად სუფთა საპნის დამზადებით და სხვა.

რეკომენდაციები

* გამოსაყენებელი მცენარეები უნდა იყოს ბაღებში მოკრეფილი ან კულტივირებული (არ გამოიყენოთ ველური მცენარეები). *თავი აარიდეთ ფესვიანად მცენარეების მოკრეფას. *მოკრიფეთ ზრდადასრულებული მცენარე, როდესაც მისი აქტიური ინგრედიენტები უკვე განვითარებულია.

შეფასება

აქტივობა უნდა შეფასდეს. შეფასების კითხვარი უნდა დაურიგდეს მონაწილეებს სემინარის დასრულების შემდეგ. შეფასების კითხვარი უნდა გააანალიზოს ვიზიტორთა სპეციალისტმა.

ფოტოები		
		

ჩიტის სახლის დამზადება			მაგალითი 02
განხორციელება	მტირალას ეროვნული პარკი		X
	კინტრიშის დაცული ტერიტორიები		X
	მაჭახელის ეროვნული პარკი		X
მოსამზადებელი თემა/საკითხი	ჩიტები დაცულ ტერიტორიაზე		
საზოგადოებრივი ამოცანა	ოჯახები 7 წლზე მეტი ასაკის ბავშვებით		
აქტივობის ხანგრძლივობა	1’30“	მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა	15
აქტივობის ტიპი	საგანმანათლებლო		X
	განმარტებითი		
	ეროვნული პარკის ღირებულებების პოპულარიზაცია		X

მიზნები

* ეროვნული პარკის ზოგი ჩიტის გაცნობა.
* დაცული ტერიტორიების სიმდიდრის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლება.

აღწერა

ბავშვები ისწავლიან ჩიტის სახლის დამზადებას. ჩიტის სახლი იცავს ბარტყებს მტაცებელი ფრინველებისა და ცუდი ამინდისგან. ბავშვებს შეუძლიათ სახლში წაიღონ ჩიტის სახლი და მერე შეღებონ და მოხატონ ის.
შენიშვნა: სხვა მსგავსი აქტივობები შეიძლება იყოს: ტრადიციული კალათის დამზადება (ადგილობრივი ექსპერტის ხელმძღვანელობით), საყვავილე ქოთნების გაკეთება და სხვა.

შემუშავება

*ექსპერტის და აქტივობის პრეზენტაცია. *ეროვნული პარკის და მისი ღირებულებების (განსაკუთრებით ჩიტების) მნიშვნელობის შესახებ მოკლე განმარტება (შეიძლება Power Point-ის პრეზენტაციის გამოყენება). *ჩიტის სახლის აღწერა და მისი მნიშვნელობის ახსნა. *გამყოლი უძღვება ჩიტის სახლის დამზადების აქტივობას. *შეჯამება და შეფასება.

ადამიანური რესურსები/მასალები

აქტივობა უნდა ჩაატაროს რეინჯერმა ან სხვა თანამშრომელმა. ჩიტის სახლის დასამზადებლად საჭირო მასალებია: ხის ნაჭრები, ეკოლოგიური წებო.

უაფრთხოების საკითხები

აქტივობა უსაფრთხოა ბავშვებისთვის: ისინი ააწყობენ/შეართებენ ხის ნაჭრებს, რომლებიც წინასწარ არის დახერხილი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბასრი საგნების გამოყენება.

შეფასება

აქტივობა უნდა შეფასდეს. შეფასების კითხვარი უნდა დაურიგდეს მონაწილეებს სემინარის დასრულების შემდეგ. შეფასების კითხვარი უნდა გააანალიზოს ვიზიტორთა სპეციალისტმა.

ფოტოები





10.5. დანართი 5: შეხვედრის ოქმი - სტრატეგიის საბოლოო შეთანხმები სემინარი

11. ბიბლიოგრაფია

- **ASSESSMENT OF CAPACITY DEVELOPMENT NEEDS OF PROTECTED AREA STAFF IN EASTERN EUROPE.** ProPark (2014)

- **აჭარის დაცული ტერიტორიების ეკოსისტემური სერვისების ღირებულების და სარგებლის შეფასება. საველე კვლევები და შეფასება სამიზნე დაცულ ტერიტორიებზე: კინტრიშის დაცული ტერიტორია, მტირალას და მაჭახელის ეროვნული პარკები.** გაეროს განვითარების პროგრამის/გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის პროექტი: „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა“ (პროექტი, 2015 წლის ნოემბერი).

- **A PRACTICAL GUIDE TO TOURISM DESTINATION MANAGEMENT**. World Tourism Organization (2007).

- **ფრინველებზე თვალთვალის ადგილები შავი ზღვის აუზის რეგიონში: სომხეთი, ბულგარეთი, საქართველო, თურქეთი.** ინოვაციური სოფლის ტურიზმის ხელშეწყობა შავი ზღვის აუზის რეგიონში. შავი ზღვის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა.

- **საქართველოს დაცული ტერიტორიების ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობა. დაცული ტერიტორიების მდგრადი ფინანსური გეგმის შემუშავება და დაცული ტერიტორიების სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება დაცული ტერიტორიების ეკონომიური მართვისთვის.** შემოსავლების ვარიანტების და ეკონომიური შესაძლებლობების ზოგადი შეფასება UNDP/GEF (2011).

- **CBI PRODUCT FACTSHEET: BIRDWATCHING TOURISM FROM EUROPE**. CBI Ministry of Foreign Affairs (2015).

- **CONDITIONS FOR THE MANAGEMENT OF CARRYING CAPACITY IN THE PARKS OF PARKS&BENEFITS.** BRANDT AND HOLMES.

- **ECOTOURISM DEVELOPMENT. A Manual for Conservation Planners and Managers**. Volume I and II. The Nature Conservancy.

- **ეკორეგიონალური ბუნების დაცვის პროგრამა, სამხრეთ კავკასია, III ფაზა.** გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KFW). 2011 წლის იანვარი.

- **FINANCIAL PARTICIPATORY APPROACH FOR SOCIO-ECONOMIC DEVELOPMENT.** Catalysing local initiatives for Protected Areas. Implementation Manual & Toolbox. AHT Group AG January 2015.

- **FORGING LINKS BETWEEN PROTECTED AREAS AND THE TOURISM SECTOR. How tourism can benefit conservation.** UNEP. 2005.

- **საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზა.** http://www.biodiversity-georgia.net/

- **GOVERNANCE OF PROTECTED AREAS: FROM UNDERSTANDING TO ACTIONS. Best Practices Protected Areas Guidelines**. Borrini-Feyerabend et. al., IUCN 2013.

- **დაცული ტერიტორიის პერსონალის ტრენინგი. დაგეგმვის და მართვის სახელმძღვანელო პრინციპები.** IUCN, 2011.

- **„აჭარის რეგიონის ტყიანი დაცული ტერიტორიების დამხმარე ზონებში სერვისების უზრუნველყოფა თემების პროფილების მიხედვით და დასახლებების თანამონაწილეობითი განვითარების დაგეგმვა“.** დავალება II მტირალას და კინტრიშის დაცული ტერიტორიების დამხმარე ზონების თემების პროფილები. შავი ზღვის ეკო აკადემია/გაეროს განვითარების პროგრამა 2016.

- **SUSTAINABLE TOURISM IN PROTECTED AREAS. Guidelines for Planning and Management.** Best Practice Protected Area Guidelines Series No. 8. World Commission on Protected Areas. (IUCN).

- **TIES GLOBAL ECOTOURISM FACT SHEET.** TIES.2006

- **TOURISM CONCESSIONS IN PROTECTED NATURAL AREAS. GUIDELINES FOR MANAGERS.** UNDP 2014

- **TOURISM AND VISITOR MANAGEMENT IN PROTECTED AREAS. GUIDELINES FOR SUSTAINABILITY.** Developing Capacity for a Protected Planet. IUCN. 2015